

K 372
2

თბილისის სსრ მეცნიერებათა აკადემია
მარტვილის სახელმწიფო მუზეუმი

საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმის
ქართულ ხელნაწერთა
აღწერილობა

● მ მ ი ■

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შრომები
თბილისი—1946

მ. 2015ა/13883

საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმის
ქართულ ხელნაწერთა
კატალოგი

2/1372

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია)
აკად. ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით

ტომი I

დასაბუთად მომზადებულია ხელნაწერთა განყოფილების
თანამშრომლების ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ

ილია აბულაძის

ხელმძღვანელობითა და რედაქციით

031(=353.1)

Académie des Sciences de la République Soviétique Socialiste de Géorgie
Musée d'État de Géorgie

DESCRIPTION DES MANUSCRITS
GEORGIENS DU MUSEE D'ETAT DE GEORGIE

Manuscrits de l'ancien Musée géorgien de la Société d'Histoire et
d'Ethnographie (collection H)

Sous la rédaction générale de l'académicien S. Djanachia

T o m e I

Préparée pour la publication par les collaborateurs de la Section des manuscrits
L. Koutateladzé et N. Kasradzé

Sous la direction et rédaction du prof. Ilia Abouladze

Edition de l'Académie des Sciences de Géorgie

Tbilissi—1946

ОПИСАНИЕ ГРУЗИНСКИХ РУКОПИСЕЙ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

Рукописи быв. Музея Грузинского Общества
Истории и Этнографии (коллекция Н)

Под общей редакцией акад. С. Джанашиа

Т о м I

Подготовлено к печати сотрудниками Отдела рукописей
Л. Кутателадзе и Н. Касрадзе

Под руководством и редакцией

И л ь и А б у л а д з е

Издательство Академии Наук Грузинской ССР
Тбилиси—1946



დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმის განკარგულებით.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ა. აფაქიძე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების
თვრასეთი წლისთავს ეძღვნის საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმის კოლექციები ამ წაწრთვს.

*Двадцатипятилетию установления Советской
власти в Грузии посвящается коллективом
Государственного Музея Грузии настоящий труд.*

Le présent ouvrage est dédié par les collaborateurs
du Musée d'Etat de Géorgie au vingt-cinquième anni-
versaire du Pouvoir Sovjétique en Géorgie.

მუზეუმის დირექციისაბან

დიდი ხანია არსებობს საჭიროება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა სრული აღწერილობის გამოქვეყნებისა. ამას განსაკუთრებით გრძნობდნენ ისინი, ვისაც ქართული ფილოლოგიის ან ისტორიულ-კულტურული საკითხების შესწავლა-გარკვევისათვის ოდესმე ხელი მოუკიდია. ამის გამო იყო, რომ მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში 1939 წელს, აწ განსვენებული აკად. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით, დაიწყო ქართულ ხელნაწერთა აღწერა. აღწერისათვის საჭირო პირველი ინსტრუქცია თითონ აკად. ივ. ჯავახიშვილმა შეიმუშავა.

დაწყებულია ქართულ ხელნაწერთა ამ უდიდესი საგანძურის სრული და ერთიანი წესით შედგენილი აღწერილობის გამოქვეყნება. ამ აღწერილობამ უნდა გამოამჟღავნოს ხელნაწერის ყველა არსებითი დამახასიათებელი ნიშანი, გვიჩვენოს ყოველი ხელნაწერის გარეგნული და შინაგანი სახე. ასეთი ტიპის აღწერილობაში შედის შემდეგი ელემენტები: 1. ხელნაწერთა ნომრის ჩვენება, 2. ფურცელთა რაოდენობა, 3. ზომა, 4. მასალა (ქალაღლი, ეტრატი, ქილი და სხვა), 5. აკინძლობა და ყდა, 6. დაცულობის დახასიათება, 7. ხელი (ნუსხური, მხედრული), 8. თარიღი, 9. გადამწერის ვინაობა, 10. შემზადების ადგილი, 11. მინიატურებიანი ადგილების მითითება. ასეთ გარეგან აღწერილობას მისდევს ხელნაწერის შინაარსის გამოვლინება: 1. ავტორი, 2. სათაური, 3. ტექსტის დასაწყისი და ბოლო (თუ ტექსტი ნაკლულია). თუ ხელნაწერი კრებულს წარმოადგენს, ცალ-ცალკე აიწერება მასში შემავალი თვითეული სტატია (გვერდების მითითებით); თუ ხელნაწერს გააჩნია ანდერძი (ავტორის, მთარგმნელის, შემკვეთის, გადამწერის და სხვა), მისი განსაკუთრებული სამეცნიერო მნიშვნელობის გამო, ის მთლიანად და უცვლელად იქნება წარმოდგენილი.

აღწერილობათა ყოველ ტომს დაერთვის სათანადო საძიებლები.

წინამდებარე წიგნი ზემოთ მითითებული გეგმის მიხედვითაა შედგენილი, ილია აბულაძის ხელმძღვანელობით, ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლების და ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ. ის საქართველოს სარსტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის (საქართველოს მუზეუმის H კოლექცია) ხელნაწერთა ერთი ნაწილის აღწერილობას შეიცავს. ამ კოლექციის აღწერილობათა გამოქვეყნება ექვს ტომადაა განზრახული; გამოცემა დასრულდება 1950 წლისათვის.

აღწერილობათა ექვსტომეულს მოყვება ჩვენს მუზეუმში დაცულ სხვა კოლექციათა აღწერილობანიც. ამრიგად ჩვენ მივიღებთ ქართველი ხალხის ამ უმდიდრესი და უნიკალური მემკვიდრეობის სრულ პირველად აღწერილობას.

გადაწყდა პირველ რიგში საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის კოლექციის აღწერილობათა შედგენა და გამოქვეყნება იმის გამო, რომ ამ ფონდის პირველადი აღწერილობა საერთოდ არასდროს არ შეუდგენიათ და ის ამიტომ სპეციალისტთათვის ხელმისაწვდომი არ იყო.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექტივმა არაფერი დაზოგა იმისათვის, რომ ეს პირველადი აღწერილობა დამაკმაყოფილებელი და დაინტერესებულ მკვლევართათვის სასარგებლო ყოფილიყო. ჩვენი კოლექტივი კარგად გრძნობს იმას, რომ ეს აღწერილობა სრულყოფილი და უნაკლო არ არის, მაგრამ ეს პირველი ნაბიჯია და მკითხველთაგან მიღებული მითითებები სიამოვნებით იქნება გათვალისწინებული, მორიგი ტომების შედგენისა და გამოცემისას. მუზეუმის კოლექტივი იმედოვნებს, რომ ამ გზით ის მიაღწევს ქართულ ხელნაწერთა ასე საშურ აღწერილობათა დამაკმაყოფილებელ გამოქვეყნებას.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექცია

წინამდებარე ტომი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის, აწ საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების H კოლექციის პირველი ხუთასი ხელნაწერის აღწერილობას შეიცავს. თუ ხელნაწერთა სხვა ფონდებისათვის¹ აღწერილობა ბეჭდური თუ გამოუქვეყნებელი (მ. ჯანაშვილისა) არსებობს და ასე თუ ისე ხელმისაწვდომია პომეპარკებისათვის, ხელნაწერთა H ფონდის აღწერილობა—თუ არას ვიტყვივით ერთი დარგობლივი საძიებლის შესახებ, რომელიც ბარათული წესით არის დამუშავებული ვანსვენტული ს. გორგაძის მიერ და ხელნაწერად არის დაცული საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, —სრულიად არ მომზადებულა. ჩვენნი ნაშრომი პირველი ცდაა ამ მხრივ, როპელიც ერთიმეორის მიმდევროდ იხილავს აღნიშნულ ფონდში დაცულ ხელნაწერებს.

საერთოდ ქართულ ხელნაწერთა სისტემური აღწერილობის საჭიროება დიდი ხანია მწვავედ იგრძობა ჩვენს სამეცნიერო საქმიანობაში. ქართველი ხალხის მდიდარი კულტურული იემკვიდრეობა წერილობითი რიგისა ჩვენს სიძველეთსაცავებშია დაცული. მათი ზოგადი ვაცნობა, ამათჟმ დარგის შესახები მასალის გამოკრება და უკანასკნელის შემცველ წყაროებზე წარმოდგენის გამომუშავება, რაც მკვლევარი სპეციალისტისათვის არის აუცილებელი, შეიძლება მიღწეულ იქნეს ავითეული ხელნაწერის მოკულობისა და შინაარსის აღნუსხვით. ხელნაწერი ფონდების პირველადი აღწერა საშუალებას იძლევა შემდეგში სპეციალურად იქნეს შესწავილილ-დაფასებული მკვლევარი სპეციალისტის მიერ ხელნაწერ ფონდებში წარმოდგენილი ესათვის დარგი ქართული წარსული ცხოვრებისა და აზრისა, იქნება ეს მოცემული რომელიმე დარგის მასალის ცალკეული აღწერილობისა, თუ ამ მასალაზე აგებულე ტენიერული გამოკვლევის სახით.

პირველადი აღწერილობის გეგმა, რომელიც წინამდებარე წიგნშია ვატარებული, საქართველოს მუზეუმის კონსულტანტის, აწ განსვენებული აკად. ივანე ჯავახიშვილის მიერ იქნა მონახული ჯერ კიდევ 1939 წელს. ამ გეგმას ჩვენ დავურთეთ მხოლოდ ხელნაწერებში დაცული ანდერძები, ან სხვა სახის მოწმობები, რომლებიც ნათესს ჰქენს თვით ხელნაწერისა, ან მასში დაცული თხზულებების აღოცენებას, და ამასთანავე მეტად ძვირფას წყაროს წარმოადგებს ქართული წარსული კულტურისა და მისი ამათემი მოამგის ცხოვრებისა და შემოქმედების ხასიათის ვარკვევისათვის.

ხელნაწერებში წარმოდგენილი თხზულებანი სრული სათაურითაა მოცემული აღწერილობაში, თუ კი ასეთი მათ გააჩნიათ, თუ არა და სათაური, ან ავტორი, ზოგჯერ ანდერძებიდან ვვაქვს გამოკრებილი, ნოლო სადაც ამის შესაძ-

¹ ასეთები: A—ყოფილი საეკლესიო მუზეუმისა; S—ყოფილ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმისა; Q—საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყ-ისა.

² A ფონდისა: Описание рукописей Тифлиского церковного музея..., составл. Ф. Д. Жордания, книги I и II, Тифлис, 1901—1902; книга III, составл. М. Г. Джанашивили, Тифлис 1908. S ფონდისა კი: ვაროკაშვილი დავით, კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ-საცავისა, თბ., 1904 წ.; Е. Такайшвили, Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, т. т. I—II, Тифлис, 1902—1906—1912; ა. შანიძე, და ა. ბაოამიძე, საქართველოს მუზეუმის S ფონდის აღწერილ ხელნაწერთა საძიებელი: «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», ნაკვ. II, თბ. 1939 წ.

ღმებლობა არ იყო, ჩვენ შევარქვეთ. სათაურს ტექსტის დასაწყისი მოსდევს, სათაური ტექსტის დასაწყისისაგან ტირეთია(—) გამოყოფილი. თუ სათაური ანდერძიდან არის აღებული, მაშინ ის კვიან ბრჭყალებშია (...ა)ჩსმული, ხოლო როცა ჩვენ ვაღდგენთ სათაურს, მაშინ კვადრატულ ფორჩხილებში ([]) ვსვამთ მას. ტექსტი კი (სათაურის არ-ქონების შემთხვევაშიც) ყველგან ჩვეულებრივ ბრჭყალებში („“) გვაქვს მოთავსებული. როცა ტექსტს დასაწყისი სიტყვები აკლდა, რაც იშვიათი მოვლენა არაა, მაშინ ჩვეულებრივი ბრჭყალების წინ სამ-წერტილს ვსვამთ; პირველ შემთხვევაში კი, ე. ი. როცა ბოლო აკლია, ჩვეულებრივ ბრჭყალსა ვწვრთ დამამთავრებელი სიტყვის შემდეგ, ხოლო დახაკლისს მომდევნო სამი წერტილთა აღვნიშნავთ. ტექსტის ამონაწერის ფარგლებში გადაღებული, ან დაკლებული სიტყვების ადვილას აგრეთვე წერტილები გვაქვს დასმული.

აღწერილობას საძიებლებიც დავერთეთ: პირველი ხელნაწერთა ქრონოლოგიურ ტაბულას წარმოადგენს (იქვე აღვნიშნეთ აღვილიც, სადაც შესრულებულია ხელნაწერი, როცა ასეთი ცნობა მოგვევალებოდა ანდერძებში), მეორე კი დარგობლივია. აქ ხელნაწერები დასახელებულია დარგების მიხედვით. ეს საძიებელი ზოგადია, რადგან დაწვრილებითი თემატური სურათი ხელნაწერებში დაცული თხზულებებისა განზრახულია მთელ ფონის დაერთოს ერთად და არა ცალკეულ ტომს. დაბოლოს, პირთა საძიებელიც გავუკეთეთ აღწერილობას. ეს პირები ან ავტორებია, ან სათაურში დასახელებული სხვა აღამიანები (რომლებსაც თხზულებები ეხება და ამდენად მათი აღნიშვნა საჭირო იყო). ანდა ანდერძებსა და სხვა მისებრი ხასიათის ამონაწერებში მოხსენებულ პერსონები.

ძველი მწიგნობრები, რომლებიც ამზადებდნენ წიგნებს მკითხველი წრებისათვის, დარწმუნებულნი იმაში, რომ მათი ნაღვაწი ყოველთვის სრულ მოწონებას ვერ დაიმსახურებდა, ანდერძებში ხშირად აღნიშნავდნენ: „დაკლებისათვის ნუ გვემობთო“, რაც სრული ზედმიწევნილობით უნდა გავიმოროთ აქ ჩვენც, რადგან უნაკლებად არც ჩვენ წარმოგვიდგენია ჩვენი ნაშრომი. მას, ბუნებრივია, ნაკლი აღმოაჩნდება, როგორც შინაგანს, ისე გარეგანს, ტექნიკურ ნაწილში (მაგალითად ქარაგმის ნიშნების უქონლობის გამო ხელნაწერების დაქარაგმებული ზოგიერთი სიტყვები, რომლებიც ენობრივი რიგის მოსაზრებათა გამო ხელუხლებელი უნდა დაგვეტოვებინა, აქ უქარაგმოდ არის გაშვებული). ამას ნაწილობრივ ეხლაც ვგრძნობთ, მაგრამ უმადური არ დავრჩებით, რასაკვირველია, თუ საქმიან შენიშვნას, რომელიც შემჩნეულ ნაკლს მომავლისათვის მაინც გამოგვასწორებინებს, ამთავითვე მოვისმენთ მიუდგომელი მკითხველისაგან.

აღწერილობის წინამდებარე ტომში წარმოადგენილ ხელნაწერთა აღწერაზე მუშაობდნენ საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლები — ლ. ქუთათელიაძე და ნ. კასრაძე. მათ მიერ მომზადებული აღწერილობა ჩემი მითითებების თანახმად იქნა მათივე ხელით განართული და სასტამბოდ გამზადებული. უნდა აღინიშნოს, რომ მათ არ დაუზოგავთ ენერგია და არც შეუწყულებიათ გარჯა, რომელიც ერთი უმთავრესი პირობათაგანია აღწერილობის საქმისათვის.

კორექტურისა და პირთა საძიებლის გამართვაში ნებმარებოდნენ ხსენებულ პირებთან ერთად ლ. მეფარიშვილი და თ. ენუქიძე.

აღნიშნული ტომის გამოქვეყნებისათვის დიდად დავალებული ვართ მუზეუმის დირექციისა და განსაკუთრებით ხელნაწერთა განყოფილების გამგის, დოც. კ. გრიგოლიასაგან, რომელთაც მადლობას მოვასხენებ.

ილია პაპულაძე

სამართლის წიგნები—XIX

316 ფ.; 35X23; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა. მხედრული; [XIX ს.] დაუწერელია ფ.ფ. 1, 22v, 60v, 72v, 73, 244, 265v, 301v, 313v—316v.

1. **სამართალი მოსესია:** „კარი პირველი. დასაწყისი წიგნისა სამართლისა, რომელ მოსცა ღმერთმან მოსესს, რომელი დაწერა მან, მოსე, წიგნსა მეორე რჯულისასა და გამოსულთასა. მცნება ღთისაგან, სამართალი მოსესი. მცნება ღთისაგან.—თავ უყუვ მამასა შენსა და ღედასა შენსა, ვითარცა გამცნო შენ უფალმან ღთნ...“ 63r—72v.

2. **სამართალი ბერძელია:** „ღევან ბრძენისა და კონსტანტინესი და სხვათა კელმწიფეთა მიერ თქმული და განწესება სჯულის, კანონი მეფე და სიმართლისა მოსამართლეთათვის, რაფა რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამას შინა, მცირედიცა არა განავდოთ, არამედ ყოველივე ვისმინოთ და ვყოცდა.—რომ მოხდეს და დადგეს კაცი ვინმე მსაჯულად სასამართლოდ კაცსა ზედა, უკეთუ ენებოს კაცსა მას მსაჯულად სახელის წოდება, ამა წესთა და რითა ნუ განავდებს...“ 74r—134v.

3. **სამართალი სომხურია:** „ესე წიგნი არს ღიდის სომხეთისა სამართლის წიგნთა ზედა გაღმთარგმნებული და ეწოდების სახელი სამართლისა, თუ იკითხავთ და შეტყობა ვინდათ, თუ რომლის წიგნისაგან შეგვიკრებია, მოვახსენებთ...“ 135r—232v.

4. **სამართალი კათალიკოზისა:** სახელითა ღთისათა მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზმან, პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აბხაზეთის კათალიკოზმან მამათ-მთავარმან ევდემონ დავსხელით და შეგვიკრებნით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანი...“ 233r—235v.

5. **ძველის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერა:** „ჩვენ მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მეფის ღმიტრისამან, დავდევით ძველი, განაჩენი ესე, მას ჟამსა, ოდეს შევედით მთიულთ შიგან...“ 236r—243v.

6. **სამართალი აღბუღასია:** „შევიყარნით კოლთა მინდობილნი და აწყურისა ღთისმშობლისანი და გაქცევისა.—დავდევით წინა პატრონისა პაპისა ჩემისა მანდატურთ-უხუცესის ბექას განაჩენი და იგი აგრევე სრულობით და უკლებლად დავსწერეთ...“ 245r—265v.

7. **სამართალი ბატონის შვილის ვახტანგისა:** „ყოფისა უმყოფისა, არისსა და უარისსა და მარსისა მქებნი, არა თუ ღირსად და შეძლე-

ბისა ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უღებად მქონე, მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი დღე მრეენი კელთა მარგალიტთა შინა და ჰპოებენ მიძიეთა (ღით-მე და უხილველობისათვის აღიღებენ და შთასდებენ...“ 266r—313r.

შენიშვნა: ხელნაწერს წინ უძღვის: ა. [საძიებელი] «ანბანზედ შედგენილი ზან-დუქისა გინა სარჩევისა» (2r—22r); ბ. მუხლობრივი საძიებელი (ცხრილები სამართლის ყველა წიგნისა; 23r—60r); და გ. [წინასიტყვაობა კრებულის შემდგენელისა:] «დასაბამითგანვე დამდებელმან საფურძველთა ქვეყანისათამან, დამქსელვმან ცათამან, უფსკრულთა გამოკვლვლმან და სივრცეთა სოფლისათა გარეშემცველმან, ყოველთა არსთა არსებად მოპყვანებელმან...“ (61r—62v).

2

სამართლის წიგნები—XVIII

239 ფ.; 39×25; ქაღალდი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა (ზედა—გატეხილი) ნუსხური (სათაურები სინგური); [XVIII ს.]; გადამწერი—მირთროფანე გრიგოლაშვილი (9v, 189r, 235v.); დაუწერილი ფ.ფ.: 52, 136, 152, 126v, 129v.

1. ეს ამართალი მოსესია: «კარი პირველი. დასაწყისი წიგნისა სამართლისა, რომელი მოსცა ღმერთმან მოსეს, რომელი დაწერა მან, მოსე, წიგნისა მეორე სჯულისასა და გამოსულათასა. მცნება ღთისაგან, სამართალი მოსესი. ა. მცნება ღთისაგან. — თავ უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა...“ 3r—9v.

2. ეს ამართალი ბერძულია: «ლევიან ბრძენისა და კონსტანტინესი და სხვათა კელმწიფეთა მიერ თქმული და განწესება სჯულისა, კანონი მეფეთა და სამართლისა მოსამართლეთათვის, რათა რაოდენიცა ეწეროს წიგნისა ამას შინა, მცირედიცა არა განეგდოთ, არამედ ყოველივე ვისმინოთ და ვყოლცა. ა.—რომ მოხდეს და დადგეს მსაჯულად კაცი ვინმე სასამართლოდ კაცსა ზედა, უკეთუ ენებოს კაცსა მას მსაჯულად საკელის წოდება, ამა წესთა და რიგთა ნუ განაგდებს...“ 10r—15v.

3. ეს ამართალი სომხურია: «ეცე წიგნი არს დიდის სომხეთისა სამართლის წიგნთა ზედა გადმოთარგმანებული და ეწოდების სახელი სამართლისა, თუ იკითხაეთ და შეტყობა გინდათ, თუ რომლის წიგნისაგან შეგვიკრებია, მოგახსენებთ...“ 53r—126r.

4. ეს ამართალი კათოლიკოზისაა: «სახელით ღთისათა მექრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათოლიკოზმან, პატრიარქმან მალაქია, მექრისტეს მიერ კურთხეულმან აბხაზეთის კათოლიკოზმან მამათ-მთავარმან ევდემონ დავსხედით და შეგვიკრებნით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისა...“ 127r—129r.

5. ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერა: «ჩვენ მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მე-

ფის დიმიტრისამან, დადევით ძეგლი, განაჩენი ესე, მას ჟამსა, ოდეს შე-
ვედით მთიულთ შიგან...“ 130r—135v.

6. «სამართალი აღბულასია: „შეეყარენით კოლთა მინდობილნი
და აწყურისა ღთისმშობლისანი და გაქცევისა.—დადევით წინა პატრონისა
პაპის ჩემისა მანდატურთ-უხუცესის ბექას განაჩენი და იგი აგრევე სრულო-
ბით და უკლებლად დაესწერეთ...“ 137r—151v.

7. «სამართალი ბატონი შვილის ვახტანგისა: „მყოფისა უმ-
ყოფისა, არსისა და უარისა და მპარისა მქებნი, არა თუ ღირსად და შეძლებისა
ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უღებად მქონე, მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა
მეფენი ღლითი დღე მრეენი კელთა მარგილიტთა შინა და ჰპოებენ მძიეთა რა-
თამე და უხილველობისათვის აღიღებენ და შთასდებენ...“ 153r—187r.

შენიშვნა: ხელნაწერს წინ უძღვის: [წინასიტყვაობა კრებულის შემდგენელისა:]
„დასაბამითგანვე დამბადებულმან საფუძველთა ქვეყანისათამან და დამქველმან ცათა-
მან, უფსკრულთა გამომკვეველმან და სიერცეთა სოფლისათა გარეშემცველმან, ყოველთა
არსთა და არაარსთა არსებად მომყვანებულმან...“ (2r—3r). ხელნაწერს ბოლოს ერთ-
ვის: მუსლობრივი საძიებელი (ცხრილები სამართლის ყველა წიგნისა; 190r—235v).

მინაწერები (მხედრული) მოიპოვება: ზედა ყდის v-ზე, 1r-v, 9v, 46v, 47-v,
126r, 189r-v, 190r, 235v, 236r-v, 237r-v, 238r, 239r-v და ქვედა ყდის r-ზე.

ანდერძი: „აღიწერა კელითა მიტროფანე გრიგოლაშვილისათა. ვინც
კაი სამართალი გააჩინოთ, მომიხსენეთ ღთის გულისათვის, და თქვენც ღმერთმან მოგიხ-
სენოსთ“ (235v).

3

იოანე ოქროპირი: იოანეს სახარების თარგმანება—1768

352ფ.; 32X22; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური (სათაურები
სინგურით); 1768 წ. (348r); გადამწერი—სიონის დეკანოზის შვილი ზუცესი ხახარია (348r);
დამკვეთი—ბატონიშვილი გიორგი (348r); ადგილი—[თბილისი]; დაუწერელია ფ. ფ. 1, 351, 352.

„წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩნისა იოანე ოქროპირისა კოსტან-
ტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა თარგმანება იოანეს სახარებისა, თავი პი-
რულცი; წმიდისა იოანესთვის მხარებელისა და ღისმეტყუელისა.—ძვედარ-
თა ამის სოფლისათა რაქამს იხილიან ახლად მოსრული ვინმე უცხოხსა ქუეყა-
ნისა მკედარი, ახოანი და სახელგანთქმული, მეყსეულად ყოველნი შემოკრბიან
ხილუად კელოვნებისა მისისა და ბოძოლისა...“ 2r—348r.

შენიშვნა: ბოლოში ერთვის: «ზანდუკი ამა წიგნისა» (348v—350r).

ანდერძი: „უფალმან მრავალჟამიერ ჰყვენ-პატრონი ბატონის შუალი გიორ-
გი, რომელმან აღმაწერინა ესე წმიდა თარგმანი იოანეს სახარებისა მე ყოვლად
უსახურსა მონა-მსახურსა სიონის დეკანოზის შუალს, უცვებს ზუცესს ხახა-
რიას. ნუ მწყევთ, უკეთუ იხილოთ რამე წერილი შეცთომილად, მე სიმართლე ვიმეყა-
დინე და დედანზე აღმოვიკითხე, გარნა უცთომელი მხოლოდ ღმერთი არს. აღიწერა
იანვარს 9, წელსა ქს განკორციელებითგან 1768, ხოლო ქართულსა ქრონიკონსა: ოწწ“
(348r).

შარამანიანი—1859

532ფ. (1066 გვ.); 35×22; ქალაღი; მოცილებული მუყაოს ყდა (ალაგ-ალაგ ფურცლები ამოცვენილია); ნაკლები (დაუზრებელია); მხედრული (სხვადასხვა ხელით, სათაურები სინგურით); 1859 წ. (366წ); დაუწერლად არის გაშვებული ფ. ფ.: 247v, 320r, 444v, 448v, 523v—532r.

„ანბანი ყარამანიისა სპარსულთაგან ქართულსა ენასა გარდართარგმნული ორბელიანისა სარდლისა ქეშიქიბაშისა ავთანდილისაგან, თუმცა რომჯერთა ხანთა შეწყობილი არს, მაგრამ ამას დავწერთ ქართულსა თარგმანსა ზედა, ვინიღან წიგნი ყარამანიისა აქამდინ არ იპოებოდა და აწ ვისაც გენიავთ საამო სასმენელი.—პირველ კამთა სპარსეთსა შიგან იყო კელმწიფე დიდი, რომელსა სახელად ეწოდებოდა თახმურად. ესე იყო მალალი და აღმატებული ყოველსა ზედა...“ 1r—523r.

წყდებან... ამ სიტყვაზედ ოხერ ჯინს გაცივან და უთხრან: თქვენ უგუნურნო, თქვენთვის იყავით, მე დრო კარგათ ვიცი. ესე უთხრა და დაჩემდნენ. ორი დღე მის ზღვის პირსა მოისვენეს, დღესა მესამესა აიყარნენ და ჰაერთა გემართნენ.“

იონან დამასქელი: წინამძღვარი—XVIII

79 ფ.; 20,5×15,5; ქალაღი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნაკლები (აკლია: I, IX-XI რვეული); ნუსხური (სათაურები სინგურით); ადგილ-ადგილ სათაურებში შემკული ასოები მოიპოვება; [XVIII ს.]; დაუწერლად გაშვებული 77v—79v.

წინამძღვარი: „[თავი ა]. პირუცლითგან იყო ღმერთი და ღმერთი იყო პირველითგან, რომელი-იგი მარადის იყო და არს და იყოს, და უფრო-სად არს მარადის, უზესთავე ყოვლისა არსებისა...“ 9v—76r.

შენიშვნა: ა. ამ ნაწარმოებზედ დართული აქვს შესავალი, სათაურის პირველი ასოთი: „წინამძღვარი.—სახელისა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ერთისა მის სავეუამოვანისა...“ (9r); ბ. შესავალს წინ უძღვის: ცხოვრება იონანე დამასქელისა (აკლია დასაწყისი I რგ). იწყება: „...ფლ განმკურნა მე კულად მთავარი, უბრალო ხარ, ეტყოდა, და უბრალო და არა რათ მოყუას შენდა წამებულისა მის...“ (1r—8v); გ. ბოლოში გრთვის ანდერძი მთარგმნელისა და „ხანდუჯი წინისა ამის, რომელ არს წინამძღვარი“ (76v—77r).

ანდერძი (მთარგმნელისა): „დაესრულა და მასკელი ნებითა ღმთა, რომელსა ეწოდების წინამძღვარ და არს გეშარიტებით წინამძღვარი მართლმადიდებელთა სასუფეველად და განმანებელი მწუალებელთა ჯოჯობეთად. მი საყვარელნი კსნო, მამანო და ძმანო, რომელნი აღმოიკითხვდეთ წმიდა ამას და სულთა განმანათლებ-

ბელსა, ლოცა ყავთ ეფთჳმი გრძელი სათვს. რომელმან ფრიადითა მოსწრაფებითა და მოლუაწებითა დავსწერე სამოძღურობელად სულთა ჩუშნთა და თქუშნთათს და სიმტიციე მართლისა სარწმუნოებისათს“ (76r).

6

სადღესასწაულო თვენი—XVIII

24ფ; 35X21; მოლურჯო ქაღალდი; უყდო; ნუსხური (სათურები სინგურით); თავების დასაწყისი და ბოლო გაფორმებულია მხატვრული კამარებით (8v, 9r, 22r, 22v); [XVIII ს.].

«თთვესა იანვარსა ე დღესა»: ...«იხილე ქამნობისათს მწუხრსა ზედა წმიდისა ლის განცხადებისასა. ჰშუღნის უწყება უკეთუ, დაემთხვოს ლის განცხადება კვრიაკესა, გინა ორშაბათსა, ქამნობასა ვგალობთ პირველადე პარასკევსა...“ 1r—24v.

წყდება: «თთვესა ფებერვალსა ბ დღესა»: ... როკელსაცა მიიქუამს მკლავთა ზედა და სიხარულით ლალადებს, ლმერთი არს ესე (მამისა)“.

7

სამგზავრო გეოგრაფია—XIX

121 ფ; 22X17; ლურჯი ქაღალდი; უყდო; ნაწილობრივ დაშლილი; მხედრული; [XIX ს.]; გადამწერი—პეტრე ივანეს ძე დავრიშვი (1r); დაუწერლადაა გაწვებული 9v.

«სამგზავრო გეოგრაფუა, ესე იგი სამგზავროდ საკმარი ქუცუნისა აღწერა. თვს ქუცუნირისა სფერაჲსა, გინა ბურთისა.—მსოფლიო სტერა ანუ ბურთი შეიცავს თავსა ზედა თვსსა 7200 მილსა; აღრიცხე ყოველსა მილსა შინა 3000 ნაბიჯი გეომეტრიული...“ 2r—12Cv.

შენიშვნა: ა. მიმოხილულია ოთხ ნაწილად: ევროპა, აზია, აფრიკა და ამერიკა.
ბ. მინაწერები მოიპოვება: 1r, 2r.

ანდერძი: (ხელნაწერის პატრონისა): «ამირიშვის პეტრე ივანეს ძის დავრიშვიისაგან გადმოწერილი. დ. დავრიშვი“.(1r).

8

ბაშმეისტერი: ლოლიკა — 1778

153 ფ; 16,5X10; ქაღალდი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მეტად დაზიანებული (1—32 ფ.ფ., უდიდესი ნაწილი მოკლუჯილი აქვს); მხედრული; 1778 წ. (153r); გადამწერი—მღვდელ-მონაზონი გამალიელი (153r).

«ლოლიკა»: „მოძღუართადმი სხუა და სხუათა სწავლათა მასწავლელთა, ესევეითართათო განზრახვთა, რათა ორსა, ანუ სამსა შინა წელიწადსა სრულ ჰყოსმცა სწავლაჲ აკადემიისა...“ (I ნაწ. I თავიდან) 32v—152v.

შენიშვნა: ხელნაწერში შიგადაშიგ არის სკოლითები ან ტო ნ I-ის კომენტარი-ბით, წარწერით „ანტონი“ (7r, 8r-v, 70v, 83r, 144v და სხ.).

ანდერძი: „ვედრებისა მთხოველი უნდა ვინმე ბერი მღუღელ-მონოხანო გა მალ ი ე ლ, აღ მ წ ი რ ე ლ ი ამა წერილისა, გამოქენობ ყველთა, რათა არა ჰყოთ წყვეა ნაცვლად შენდობისა ამისთვის, რომელ რაოდენ ძალ მედუა, სიმართლეს ვსწად-ნოოდი. იუნის ე, წელსა ჩლოჲ“ (153r).

9

ქრებული—XIX

41 ფ. 21×17; ქალაღი; უყდო; ბოლონაკლული; მხედრული; [XIX ს.]; გადამწერის ვინაობა არ იკითხება (თარიღი, გადამწერის სახელი და გვარი გადაუხეკილია.—38r.); ადგილი—თბილისი (38r).

1. [შელოცვები]: „მე ვარ მლოცავი ღმერთი, მარგებელი, ანგელოზი, მასმინარი. ღმერთო, შენ დასწერე შენი ჯვარი, ამინ; [შა]ვტარიანი დანა და ჯამით წყალზე უნდა იდოს...“ 1r—1v.

2. [ნაწყვეტი სამკურნალო წიგნიდან]: „სუსუნატის წამალი.—უნდა აილოთ ირმის რქა, დასწოთ ცეცხლზედა...“ 2r—9r.

3. „აქ გახლავს საკითხავი, რომელიცა იტყვას ყველაფერსა მართალსა და საკეთილოსა და ამბობს, რაც კაცსა გადახდება.—თვალდახუჭული უნდა მოუსოს ამ ნომრებზედა თითითა და რა ნომერსაცა, იმ ნომრისა ლისტი უნდა იპოვოთ და ის იტყვას ყველასა, ავსა და კარგსა საკითხავსა...“ (აქვეა ცხრილი) 9r—18v.

4. აქ გახლავთ დასაწყისი ლუცვანი, წმინდანი წასაკითხავნი, ყველი (!) ლეთისა და ანგელოზისანი და უფლისანი.— 1. ლოცვა დაწყებითი: სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ. 2. ლოცვა მეზუერისა: ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა მას...“ 19r—31r.

5. „სხუა და სხუა საკითხავი ს.-ს. ორბელიანის არაკებიდან“; [ა. მეფე და მხატვარი; ბ. ქურდი მკერვალი; გ. მთიელი და ბაღი; დ. კუ და მორიელი; ე. მელია და წერო; ვ. ორი მეგობარი] 31r—33r.

6. [ჩაბრუნაძე—ნაწყვეტი თამარიანიდან]: „თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა ნარნარი, პირ მცინარი...“ 33v.

7. [ეპიტაფია თამარ მეფეზე] „უბის ავაგე საყდარი, უწყალოს წყალი ვაღინე, ისპაანს დაესდევ ბეგარა, სტამბოლს ხარაჯა ავიღე...“ 33v.

8. [შოთა რუსთაველი—ორი სტროფი ვეფხისტყაოსნიდან]: „რომელმან შექმნა სამყარო...“ 33v—34r.

9. [არაკი კრიჰინა და ქიანკველანე:] „კრიჰინამ ერთხელ კრიჰინითა მთელი ზაფხული ატარა...“ 34r—34v.

10. [არაკი:] „სოფელნი და მდინარე.—სადაცა ერთს [სოფელს] წყარო ჩაუდიოდა პატარა, რომელიც ყოველ წელს აღელდებოდა...“ 34v—35r.

11. [არაკი:] „მელა და ყვავი.—ავერ ეს რამდენი ხანია, ასმენენ ქუცყანასა, რომ ორპირობა და პირმოთნობა საძაგელია, მაგრამ ქარსა აძლევენ ყველას ნათქუამსა...“ 35r—35v.

12. „ანდაზები: ავი კაცი აღკომასაც ავია...“ 35v—36v.

13. [ნაწყვეტი რომელიღაც პიესიდან:] „მოურავი — ეხლა აქ არის ბერუა?—აქ გახლავს, შენი პირიმე, ბაზარში დაიარება. მოურავი გზირს—გზირო, წაღი, ეს ბერუაც თან წაიყვანე, იპოვეთ იორდანე და ეხლავ აქ მომგვარეთ...“ 37r.

14. «როტმეისტერი კნ. ა. მიქელაძე»:

„კეთილშობილნი, მდაბალი ხალხნიც არავინ ვიტყვით ამაზე ვარსა:

ერთვლება და თავის შეწირვა ძეგლად დავგიძევეს ივ[ერ]თა გვარსა...“ 37v—38r.

15. „აბრამიანი: აბრამ იყო მღვთისა მლოცავი, მაგრამ ძენი ენატრებოდნენ შვილსა. რო მოხუცდნენ, მაშინ შესთხოვა ღმერთსა...“ 38v—40r.

16. „ზღაპარი ზაფხულის სათქმელი.—იყო და არა იყო, იყო ერთი მალალი და ძლიერი ხელმწიფე...“ 41r.

წყდება:ქერქი ფინიას მიუყარა და კარქი (!) თითონ შაქამა... და წავიდნენ შინა. პატარა ხანს... (41r).

10

ვახტანგ VI: სამართლის წიგნი—1830

82 ფ.; 22×17; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული (გადაწერილია სხვადასხვა ხელით); 1830 წ. (69v).

«სამართალი ბატონი შვილისა»: „მყოფისა უმყოფოსა, არსისა და უარსისა და მარსისა მქებო, არა. თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მონებელი უღებად მქონე, მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი დღე მკველნი (?) კელთა მარგალიტთა შინა და პოებენ მძივთა რათამე და უხილველობისათენ აღიღებენ და შთაზღებენ...“ 1r—69v.

შენიშვნა: ა. დართული აქვს „საძიებელი წიგნისა ამის სამართლისა“ (70r—81r); ბ. ხელნაწერს მოეპოვება მრანაწერები: 81v, 82r-v.

11

ვახტანგ VI: სამართლის წიგნი—XIX

84 ფ. (168 გვ.); 20,5×17; ქაღალდი; მწვანე ქაღალდის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); [XIX ს]; დაუწერლადაა გაშვებული გვ. გვ.: 142,159—168.

„დასაწყისი მეფის ვახტანგის სამართლისა, თქმული და ნალუაწი და ნასიბრძნი მეფის ვახტანგისა დავითიან-ბაგ[რ]ატოვანისა ჟამსა უფლისწულობისა თვისისასა. შესავალი პირუცლი.—მყოფისა უმყოფოასა, არსისა და უარსისა და მარსისა მკეები, არა თუ ღირსად, არამედ შეძლებისაებრ ჩემისა მკეებელი და მმონებელი უღება[დ] მქონე, მპოვნელი ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი დღე მრეველნი კელთა მარგალიტთა შინა...“ 1—141 გვ.

შენიშვნა: ბოლოში ერთვის: „პინაქსი წიგნისა ამის“ (143—158 გვ.) და უხსლები (ტომ, რლა, რლზ—რლთ, უა), გამოღებული ძებრძული სამართლიდანა (155—158 გვ.)

12

სამართლის წიგნები—XIX

206 ფ.; 26,5X22; ქალაღდი; უყდო; დაშლილი; ნაკლული; [XIX ს.]; მხედრული (სხვადასხვა ხელი); ფ.ფ. 164—166 დაუწერელია.

1. «სამართალი მერძული»: „ლევან ბრძენისა და კოსტანტინესი და სხვათა კელმწიფეთა მიერ თქმულ[ი] და განწესება სჯულის, კანონი მეფეთა და სიმართლისა მოსამართლეთათვის, რათა რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამას შინა, მცირედიცა არა განვაგდოთ, არამედ ყოველივე ვისმინოთ და ვყოღცა.—რომ მოხდეს და დადგეს მსაჯულად კაცი ვინმე სასამართლოდ კაცსა ზედა, უკეთუ ენებოს კაცსა მას მსაჯულად სახელის წოდება, ამა წესთა და რიგთა ნუ განავდებს...“ 53r—94r.

2. «სომხური სამართალი»: ...„თავი ორმოცდათორმეტი: ქვეყანას რომ აქვს ჩვეულება წესისა და არ დასწერონ ზითვისა და ნიშნისა და სახლის პატრივისა და ისრე ქნან გვირგვინის კურთხევა და დასჯერდეს რიგსა, იმ რიგად, როგორც წიგნით დაწერილი იყოს...“ (აკლია I რვეული—8 ფ.) 95r—158r.

3. «სამართალი კათალიკოზისა»: „სახელითა ღთისათა, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლის საქართველოსა კათალიკოზმან, პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან, მამათ-მთავარმან ევდემონ, დაესხედით და შეეკრიბენით ყოველნი ეფისკოპოზნი აფხაზეთისანი...“ 159r—163r.

4. „ძეგლის დაღება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ.—ჩვენ მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა ძეფეთ-მეფის დიმიტრისამან, დადღევით ძეგლი, განაჩენი ესე, მას ჟამსა, ოდეს შევედით მთიულთა შიგან...“ 167r—174r.

5. «სამართალი პირველი. შესავალი ა. ბატონიშვილის ნაბძანები.—მყოფისა უმყოფისა, არსისა და უარსისა და მარსისა მკეები, არა თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მკეებელი და მმონებელი, უღებად მქონე, მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი დღე მრეველნი კელთა მარგალიტთა შინა და ჰპოებენ მძივთა რათამე, და უხილველობისათვის აღიღებენ და შთაზღებენ საუნჯედ პატრიოსანთა...“ 175r—206r.

შენიშვნა: სამართლის წიგნებს წინ უძღვის: ა. „ანბანური სარჩევი“ (1r—18v);
ბ. მუხლობრივი საძიებელი (ცხრილები სამართლის ყველა წიგნისა; 19r—51r).

ანდერძი: (ანბანური სარჩევის შემდგენელისა): „იგი ძველნი საძიებელნი ვინათ-
გან არევით იყვ[ნეს] და საჭიროსა ეამსა, ძიებ-სა შინა, დიდათ დაშურებოდენ მსაჯულ-
მომენი (გამგენი?), რომელსა ზამსო, რომელს ადგილს იგ ძველ (ძღლ,ძღღი?) სადმე
ჰპოებდენ, და ამას დიდ შრომა ედვა, ამისი ადვილ საპოვნელობისა მიხუზი მებრძანა
ყოვლად ამაღლებულისა ლთვი გვირგვინოსანისა საქართველოს და ყახახ-ბორჩალოს
მყრობელი-მჭონებელის ცხებულის მეფის თეიმურაზის მიერ, რათა ღონე რამე შეძია
ადვილ საპოვნელობისა. და აწ მე ესრეთ ვაღვაწე მცირედ რამე გვარიცხვენ (გავრიც-
ხვენ?) ძველნი საძიებელნი და მერმელა ანბანზე გამოვჰკარებენ, რომელი საჩივარ-
სამართალნი რომელს ასოზე უნდეს, დახედავს ამას რიცხვით ძველის საძიებელის რიცხვში
მიუყვანს და მუნ ჰპოებს. მეფე ადიდეთ სუფევით. ივლისის ა, კკს: ულჰ+ჩლნ.“

13

სულხან-საბა ორბელიანი: ქართული ლექსიკონი — XIX

184ფ.; 34,3×21,5; ქალაღი; მუყაის ყდა; სრული; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია
ფ. ფ. 92v, 178r.

„ა. სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი.—ანი არს პირველი
ასო და კვიანი და ართონი, მრავალ რიგად თავად და ბოლოდ მოვალს მრავალ-
თა სიტყვათა ზედა, ვითარცა თავსა დაფიწერია...“ 7r—180r.

შენიშვნა: წინ უძღვის: ა. „ანბანი პირუტლად სასწავლი ყრმათათს“ (3r); ბ.
„ნულა და ქართული ოციხვის სწავლა“ (3v—4r); გ. „საქცევი ხუთთა კვიანთა ასოთანი
და სწავლა სხუთა ასოთა და თავბოლოთანი“ (4v—5v.); დ. „ანდერძ-ნაშავი აზის მუშა-
კისა ფრიად დამაშვრალის მოსწავლეათვის“ (5r—v.); ე. „ნიშნები“ პროსოდისა და
სხვა პირობითი (5v—6v). ბოლოში ერთვის: ა. Curriculum vitae (180r—v); ბ. „იესო
ქრისტეს ღთისა ჩვენისა სამეოცდათორმეტი მოწაფეთ სახელები და ვინ იყვნენ და სად
ეპისკოპოს იქმნეს“ (180v—181v); გ. „ვახტანგ მეფის ნათქვამი: რადგან დაშურა ასრე
საბა“ (ორი ლექსი—181v); დ. „საბას ნათქვამი: ამ ლექსიკონის რიგები, თუ ბრძენმან
დამიწუნოთა...“ (182r); ე. [ლექსი ვილაც ბეკოსა და დათაზე, '4 სტროფად] „ბერისშვი-
ლები იბძვიან...“ (182r); ვ. „მოკვლენი, რომელნი არიან ქართულნი და რომელთამე
არღარა უწოდდენ და დავიწყებდეს და სხვა თურქთა ენათაგან მოუღიეს მისად ნაცვლად“
(182v—183r); ზ. „განჯაფისა და მისის თამაშობის სახელები“ (183r—v); ძ. [ქორნიკო-
ნები] (183v—184r).

ტიქსტი ა-დან აგება-მდე ლექსიკონის წინაც (1—2 ფ.) აზის გამეორებული.

14

მოსე ხონელი: ამირან-ღარეჯანიანი—1816

86 ფ.: 32,8×21; ცისფერი ქალაღი; ტყავგადაკრული ხის ყდა, მოცილებული; ხელნა-
წერი დაზიანებულია; დაშლილია და ზოგან კიდებმოკლეჯილი; მხედრული (სათაურები სინ-
გურით); 1816 წ. (86r); გადამწერი—მღვდელი პეტრე (86r).

„ქარი პირველი. აბესალომ ინდოთ მეფის ამბავი, რომელი დაიწყების.—
იყო ინდოთ მეფე აბესალომ მორკმული და გონებიანი, და არა იყო შეკირვება-
გულსა მისსა...“ 1r—84r.

შენიშვნა: ზედა ყდის v-ზე მოიპოვება 2 სტროფად ლექსი, რომელიც შეეხება
ამირან-დარეჯანის.

ანდერძი: აღიწერა და გასრულდა ამირან-დარეჯანის ქება [ხ]ელითა უღირსის-
მღელღის პეტრესითა, თვესა [აგვის]ტოსა ი-სა, ჩუფ-სა წელსა, ქს ფდ.

15

შანში—1738 ფ.

128 ფ.; 15,5×10; ქალაღი; ტყავადაკრული ხის ტვიფრული ყდა ლითონის შესაკრა-
ვებით; სრული; ნუსხური (სათაურები სინგურით); 1738 წ. (128r); გადამწერი—თომა (128r);
ადგილი—ტფილისი, სიონი (128r); ფ. 9 დაუწერელია; რვეულების სათვალავი იწყება 22-ით,
უკანასკნელია—38 (2 ფ.), მე-28 რვ.-ში 6 ფ.

ეჟამნა: „სამოციქულო და სახარება შეიდეულთა.—კვირიაკესა. ფსალმუნი.
იყავნ უფალო წყალობა შენი [ჩნ] ზედა...“ 1r—127v.

შენიშვნა: ეჟამნო წარმოდგენილია: 1. „სამოციქულო და სახარება შეიდეულთა“;
2. „ლოცვა შუალისა“. 3. „იბაკონი წმიდისა ლისმშობლისა, რომელ არს დაუჯდო-
მელი“, 4. „ლოცვანი ყოველთა კვირიაკეთა დღეთანი“, 5. „ლოცვა დაწოლისა“, 6.
„ლოცვა ლამისა“, 7. „ლოცვა დღისა“, 8. „ლოცვა დაცემისა“, 9. „ლოცვა ზიარებისა“.

ანდერძი: „უფალო იესუ ქრისტე, შემიწყალე მე, ცოდვილი ამის მწერალი თომა.
ვინც იხილოთ და წარიკითხოთ, შენდობა ჰყავთ ჩემთვის და ჩემთა მშობელთათს. ლის
გულისათს ნუ მწყვეთ, თუ რამ შეტომით მომსლოდეს რამე, არაჲინ არს(!), არამედ
მის მონათესავე უტომელ. აღიწერა წმიდა ესე ეჟამნი ქალაქსა ტფილისსა, ტაძარსა სიო-
ნისსა, კელითა ჩემ ცოდვილის თომა ს მიერ, ქსა: ოკ.“ (128r).

16

ღაგიტინი—1691

212 ფ.; 9,8×7,5; ქალაღი; ხავერდგადაკრული ხის ყდა ლითონის შესაკრავებით (ქვედა-
ყდა და უკანასკნელი 8 ფ-ელი ჭია-ნაჭამია); სრული (ფ. 182 ამოვარდნილია); ნუსხური (სათაუ-
რები ოქროთი); ტექსტი ყველგან ჩასმულია მოვარაყებულ ჩარჩოში, დასაწყისს მოვარაყება-
მხატვრულად შესრულებული კამარა; 1691 წ. (211v); გადამწერი—მღვდელი ნათანაილ ბაღდა-
დიძე ბედისმწერიშვილი (211v); დამკვეთი—ლუარსაბ მეფის თანამეცხედრე მარიამი (წ) (211v);
პირველი 3 ფ. დაუწერელია.

„ფსალმუნი დავითისი [...] ესე იგი არს ქებაჲ და გალობაჲ და გინა თუ
გალობაჲ და ქებაჲ.—ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახუსა უღათასა-
და გზასა ცოდვილთასა არა დაღვა...“ 4r—202v.

შენიშვნა: დავითნს ერთის გალობანი მოსესნი და სხვათა (202ა—210ა); მოვალეობა მინაწერიც 2ა.

„ანდრძი გიორგი მთაწმიდლისა თარგმანებისათვის დავითისა.—წმიდანო და ღმერთ-შემოსილნო მამანო და ძმანო, რომელნიცა ამთა წმიდათა დავითთა მიემთხვნეთ ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ფრიადითა იძულებითა წმიდათა და სულიერთა მშობათა ჩემთათა ვთარგმანენ ესე დავითნი ახლად ბერძულისაგან ქართულად მე გლახაკმან გიორგი, უღირსმან ბუცეს-მონაზონმან, ფრიადითა ქირითა და რუდუნებითა, თვითიცის ღმერთმან, მრავალთა ბერძულთა დედათა დავითის თარგმანთაგან ფრიადითა გამოწულილეთა და გამოძიებთია. აწ უკუტ გვედრებთ ყოველთა, რომელნიცა მიემთხვნეთ წმიდათა ამთ დავითთა, რათა ჩუენთვის ლოცვა ჰყოთ, და ვინ სწერდეთ, ვითა აქა ჰპოთ, ვგრეთვე შეუცვალებელად დასწერდით, ნუცა ჩაურთავთ, ნუცა დააკლებთ, ჩუენ რომელი ჯერ იყო ჩაგზრთავს, და რომელი ჯერ იყო, დაგვკლავს, ვითა ჩინსა ენასა მოვიდოდა და წესი საქმისა ეძიებდა, ნუცა ღონ ანსა დააკლებთ, ნუცა რამეთუსა. და ესე ეგების გონიერისა გულისკმის ყოფად, რომელი-იგი ღონ ანი ჩუტნცა ეიცოდით, და თუმცა რას აენებდა, გინა იგი, გინა სხუად, რომელიცა სიტყუად არა დაუტეობდით, არცა აღმოგვტოვდით. უკეთ ვინმე ამას ჩუენსა შრომით და რუდუნებით ქნინსა და ყოელითა ქეშმარიტებითა საესესა ნაშრომსა და აღწერილსა არა ჯერ იყოს და კე იცოდის, ანუ ღო რ-გინა ო ტ ი, ანუ თუ ღმერთი და უფალი, გინა თუ რიტორიკა იყოს, ანუ ფილოსოფოსი, მაშა ჩუენსა ნაშრომსა ზედა ნუ ბრძნობს, ახლად თვთ ვითა გინდა, თარგმანენს სხუანი დავითნი, არას ეზრუნავს; და თუ ქართულთა დავითთა დასწერდეს, ჯრი აქუს და კურთხევა. რომელმან კულა ჩუენი დავითი, გინა ზეპირით იძალოს, გინა ესე მრავლითა სისხლითა თარგმნილი ჩი წინა დაედვას და დავითსა რყუნად და ხე-ქუტ ქვევად დაუწყოს, საშუელი მიჰკადენ ღმერთმან დღესა მას საშინელსა საშუელისასა. და ვინ ამთა ჩემთა დავითთა დასწერდეს და ესე ჩემი დაწერილი არა დაწეროს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი. უკეთუ მე გლახაკმან ესოდენი ჰირი ენახე და ესე უსახიდლო მარგალიტი არა დავიცონე აღწერადა, განმანათლებელად მკითხველთა და მსმენელთა, მას ამთა ორთასიტყუთა დაწერად რად ზარ აც? და წმიდასა დიდსა ეფთჳმის ნუ ვინ იმოწმებს; წმიდამან მამამან დავითთ თარგმნა და მწერალსა ვისმე მისცა დაწერად, და მან განრყუნა და უკმარ ყო. მიერთგან სხუად არღარა თარგმნა, არამედ ქართულინი დავითნი თანა ესხნიან და სადა სიტყუად ეკმარებოდის, მუნით იწამის, და ამითსა ქეშმარიტებისა მოწამედ და სიმართლისა მყავს ყოველი საბერძნეთი და ყოველნი ბერძულნი დავითნიცა და ვის არა ზრწამნდეს (!), შეაწამენ“ (211r-v).

ანდრძი (გადამწერისა): ა. „ნებითა ღმთა კელ ვჰყავ მე ყოველთა კაცთა ღნარჩევესმან ბაღდადიძემან ბედისმწერლიშჯლმან მღდელმან ნათანაელ წმიდა ესე დავითი აღწერად პატრონისა რევაზ ერისთვის ასულისა და თანამეცხედრისა ძისა შაჰნაოზ შეფის ლუარაბისა მარჯულნით მჯდომარისა ბატონის მარიამისათა. აკმარნეს ღმერთმან ორსავე შინა ცხორებასა და დღეგრძელგებასა და საუქუნამცა არს კსენება და კურთხევა მათი. შენდობა ყავთ მწერლისათუს. ღმერთმან იცის, სიკეთესა და სიმართლეს მოვიპირევე, რაცა ოდენ ძალ მედვა და რაცა დედასა ეწერა, სხუა მეტი არა დამიწერია რა, არცა რა ჩამირთავს, საცა გასაკეთები იყო, ორჯელ ჩავამოწმე და ისრე გამიმართებია. ბევრი სიტყუა გიუცხოებთა და ტყუილი ნუ [გ]კონია. აწე ვინცა შენდობით მომიკსენოთ, თქუენცა შეგინდნეს ღმერთმან, ამინ. დაიწერა ქკსა ტბით. სრულ იქმნა მაისის 30“ (211v). ბ. „ღმერთო ავამრე ორსავე შინა ცხორებასა პატრონს მარიამს დავითი ესე და მრავალკამიერ ჰყავ უკუნითი უკუნისამდე“ (191v).

სამართლის წიგნები—XIX

I—III+279 ფ. (558 გვ.); 34×21; ქალაქი; ტყავადაკრული ხის ყდა; ჩოიბოვება ჯვარის გამოსახულება (418 გვ., 557 გვ.); სრული; მხედრული (სათურები სინგურით); XIX ს.)პეიონიანი IV—IIIr.v: 1824); დაუწერელია გვ. გვ. 37, 115—116, 135—136, 242—244, 248, 474, 558.

1. «სამართალი მოსესია»: «კარი პირველი. დასაწყისი წიგნისა სამართლისა, რომელი მოსცა ღმერთმან მოსეს, რომელი დაწერა მან, მოსე, წიგნსა მეორე რჯულისასა და გამოსულიათასა(!). ა. მცნება ღმერთისაგან.—თავ უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, ვითარცა გამცნო შენ უფალმან ღმერთ...“ 117—137 გვ.

2. «სამართალი ბერძულია»: «ლევან ბრძენისა და კოსტანტინესი და სხვათა კელმწიფეთა მიერ თქმული და განწესება სჯულის, კანონი მეფეთა და სიმართლისა მოსამართლეთათვის, რათა რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამას შინა, მცირედიცა არა განვაგდოთ, არამედ ყოველივე ვისმინოდ და ვყოცდა.—რომ მოხდეს და დადგეს კაცი ვინმე მსაჯულად სასამართლოდ კაცსა ზედა...“ 137—241 გვ.

3. «სამართალი სომხურია»: «ესე წიგნი არს დიდის სომხეთისა სამართლისა წიგნთა ზედა გადმოთარგმნებული და უწოდების სახელი სამართლისა, თუ იკითხაეთ და შეტყობა გინდათ, თუ რომლის წიგნისაგან შეგვიკრებია, მოგახსენებთ, ანუ რომლის გუართა შეგვიკრებთ...“ 245—417 გვ.

4. «სამართალი კათალიკოზისა»: «[თ]ავე პირველი. სახელითა ღმერთისა მ[ე] ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზმან, პატრიარქმან ნალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათ-მთავარმან ევდემონ დაესხედით და შეგვიკრებნით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანი...“ 419—423 გვ.

5. «სამართალი მეფის გიორგისა»: «მეფის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ. ჩვენ მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მეფისა დიმიტრისამან, დავედევით ძეგლი, განაჩენი ესე, მას ქამს, ოდეს შევედით მთულთა(!) შიგან...“ 425—437 გვ.

6. «სამართალი აღბულასია»: «შევიყარნით კუოლთა მინდობილნი ღმერთნი და აწყურისა ღმერთმობლისანი და გაქვეისა.—დავიდევით წინა პატრონისა პისა ჩემისა მანდატურთ-უხუცესის ბექას განაჩენი...“ 439—473 გვ.

7. «სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა»: «მყოფისა უმყოფისა, არსისა და უარსისა და მარსისა ქები, არა თუ ღირსად და შემძლებისა ჩემისაგარ შექებელი და მმონებელი, უღებად მქონელ-მპონელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი დღე მრევლნი(!) კელთა მარგალიტთა შინა და ჰპოებენ მძივთა რათმე და უხილველობისათვის აღიღებენ და შთაზღებენ საუნჯეთ პატროსანთა...“ 475—557 გვ.

შენიშვნა: სამართლის წიგნებს წინ უძღვის: ა. «ანბანური სარჩევი» (1—37 გვ.);

ბ. მუხლობრივი საძიებელი (ცხრილები სამართლის ძველა წიგნისა (38—114 გვ.);

გ. [წინასიტყვაობა კრებულის შემდგენელისა] „დასაბამითგანვე დამდებელმან საფუძველთა ქვეყანისათმან და მქსეველმან ცათამან უფსკრულთა გამოკვლეულმან და სიგრცეთა სოფლისთა გარეშემცველმან ყოველთა არსთა და არაარსთა არსებად მომყვანებულმან...“ (117—119 გვ.); დ. ხელნაწერს მინაწერები მოვებობა: Ir და IIr-v.

ანდერძი ანბანური სარჩევის შემდგენელისა (37 გვ., იხ. № 12, ანდ.)

18

სამდივნო წიგნი—XVIII

79 ფ.; 32×20,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; დახიანებული; ნაწილობრივ დაშლილი; მხედრული; [XVIII ს.]; დაუწერელია: 29r-v, 43r, 45v, 47v, 48r, 50v—51v, 53v, 55v, 59r, 68v—69v, 72r, 73r-v, 74v, 75v, 77v—78r, 79v; ამოვარდნილია: 30—31, 56 ფ-ფ; ფ. 45 ქვემო ნაწილი მოჭრილი აქვს.

[სამდივნო წიგნი]: „ქ. ოდესმე ვინანიმე და ვისნიმენი გონებანი სკურეტდეს. სადმე გრძნობადთა და გონებითა მისაწღმთა და ნანდვილ მეცა მყოფნი, ვიდრემე ყოველნი, ანუ გრძნობითა იცნობებიან, ანუ გონებითა მიიწლომვისნ...“

შენიშვნა: ხელნაწერი წარმოადგენს სამდივნო წიგნს, რომელშიც მოყვანილია სხვადასხვა ნიმუშები საეკლესიო, სამოქალაქო და კერძო ხასიათის საბუთებისა. საბუთთა ნიმუშებში ზოგჯერ დასახელებულია საბუთის გამცემი, ან მიმღები, ზოგან კი ადგილია გაშვებული, ანდა მითითებაა, რათა საკირო შემთხვევაში ჩაემატოს ასეთი.

ნიმუშები დადებულია მზითვის წიგნებისათვის, ტირილისა და გოდებისათვის, სამძიმრის წიგნისათვის (14r—27v); მოკითხვის წიგნისათვის (28r—50r); არხის წიგნებისათვის (52r—53r); სიგელებისათვის (54r—60v); კონდაკებისათვის (61r—66v); ანდერძის წიგნებისათვის (67v—68r); შეწირულობის წიგნებისათვის (70r—71v); საფლავზე დასაწერისათვის (74r); ბეჭედზე და დროშის თავზე დასაწერისათვის (76r—77r) და სააღმშენებლო წარწერებისათვის.

19

კრებული—1753

180 ფ.; 30×20,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები ხინგურით); 1753 წ. (180v); გადამწერი:—გიორგი ბერის შვილი გვარათ ლუკაძე (122v, 180v); ადგილი — მოსკოვი (180v); დაუწერელია: 9v, 123r-v.

«ღვთისმეტყველება»: „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა, აღმოსავლეთისა მართლმადიდებელთა წმინდისა კათოლიკე სამოციქულოსა ეკლესიისა; კითხვა: ა. რა ჯერს. არს დამარხვად მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა მიერ, რათა დაიმკვიდრონ ცხოვრება საუკუნო...“ 10r—122v.

შენიშვნა: ა. თხზულება შედგება სამი ნაწილისაგან: 1. სარწმუნოებისათვის, 2. სასოებისათვის და 3. სიყვარულისათვის; ბ. ნაწარმოებს წინ უძღვის: «შესავალი»

ამის წიგნისა» (1r—4v) და ორი ეპისტოლე მორწმუნეთადმი, ერთი იორუსალიმის ნეკტარიოს პატრიარქისა და მეორე კოსტანტინეპოლისა (4v—9r).

2. „წიგნი სიბრძნისა ისო ძისა ზირაქისა: თავი ა.—ყოველი სიბრძნე უფლისაგან და მის თანა ჰგიეს საუკუნითგან. ვინ აღრაცხნეს ქვიშანი ზღვისანი და ცუარნი წვიმისანი და დღენი იგი საუკუნენი...“ 124r—180v.

ანდერძი: ა. „მეუფეო უფალო, დმერთო ქეშმარიტებისაო, შემიწყაღე მე ცოდვილი ორსავე ცხოვრებასა შინა წიგნისა ამის დამწერი გიორგი ბერის შვილი გვარათ ლუკაძე და სადაურობით ნეძვისელი“ (122v); ბ. „დაწერიე ესე ორი წიგნი, რომელ არს სარწმუნოება და ისო ზირაქი, საფასეთა და წარსაგებელითა კახეთის თავადის იოანე სოლომონის ძის ქობულთისათა, ხოლო შრომით და რუდუნებით მე, ცოდვილმან ნეძვისელმა ლუკაძემ გიორგი ბერის შვილმან, და გვედრებე უფალნო ჩემნო, უკეთუ ვინმე ჩემ მიერ წერილსა ამას წარიკითხვიდეთ, შენდობასა მიბძანებდეთ, რათა უფალმან დმერთმან ქეშმარიტებისამან თქვენცა შენდობილ გყვენსთ. და უკეთუ შეცთომილი რამე იხილოთ, ნუ შეურაცხ მყოფთ, რამეთუ, ვითარცა კაცი. დაიწერა დიდსა რუსეთს, დიდად სახელდებულსა სამეფოსა ქალაქს მოსკოვს, დასაბამითგან სოფლისა ამის წელსა შვიდიათას ორას სამეოცდამეორესა, ხოლო განკორციელებითგან მღთისა სიტყვისათა ათას შვიდას ორმეოცდამეცამეტესა წელსა.“

შენიშვნა: ანდერძში მოხსენებული „იოანე სოლომონის ძე ქობულთეი“ განხილვა-გებული ხელით არის დაწერილი, როგორც ჩანს, გვიან.

20

კრებული—1828

99 ფ. (199 გვ.); ლურჯი ქალაღი; ტყავგადაკრული ტვიდრული მუყაოს ყდა; სრული; მხედრული; 1828 წ. (170; 197 გვ.); გადამწერი—არქიმანდრიტი ეპიფანე (გვ. 170; 197), დაუწერელია გვ. გვ.: 171, 198—201.

„ქება და დიდება, შესხმა და გალობა ყოვლად წმიდისა ღისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, უწყება უბიწოასა და სანატრელისა მოქალაქობისა მისისა შობითგან მიცულებდამდე, აღწერილი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმეს მიერ ძილასოქოსისა და აღმსარებელისა, გ. მ. — ისმინეთ ესე ყოველმან თესლებმან და ყურად იღეთ ყოველთა დამკვლრებულთა ქუცყანისათა...“ 1—170 გვ.

2. „უწყებათგან პირველთა გამოწლილვით შეკრებული ნეტარისა იოანეს-გან ხუცისა და მონაზონისა დამასკელისა, საკითხავი ყოვლად ქებულისა შობისათს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა, მ. გ.—რაჟამს ზაფხული მოიწიოს, ყოვლისა სოფლისა ნიეთნი კუალად განახლებად მოიქცევიან...“ 172—198 გვ.

ანდერძი (გადამწერისა): „მ დედაო ქალწულთა შორის და ქალწულო დედათა შორის, შენ მეოხ, მფარველ მეყავ მრჩობლსავე სოფელსა შინა გადმომჩხაპაცსა ამისსა ცოდვილსა ბერს არხიმანდრიტს ეპიფანეს. 1828-ს წელსა, აგვისტოს 4-ს დღესა (ასეთივე შინაარსის ანდერძი მოიპოვება ხელნაწერის ბოლოსაც, გვ. 170).“

21

კრებული—1805

98 ფ.; 20,3X16; ქალაღი; ტყავადკრული ხის ყდა; მხედრული (სათურები სინგუ-რიოთ); 1805 (94r); დაუწერლია: 1—3 ფ.; 5v, 16v, 45v, 70v.

1. „მზეკაბუკ ორბელიანისაგან თქმული ბატონის შვილის ქეთევანის ძეობაში გიორგი (წაშლილია და ფანქრით თავზე აწერია „გრიგოლ“) რომ დაებადა.—აღმკულ სრასა, უცხოდ მზასა, მზევ შინ შემოდოო...“ 4r—5r.

2. „ღიდის მეფის თეიმურაზისაგან თქმულნი ლექსნი, მაჯამა სრუ-ლი და სათარგმანბელი და ს[ა]ქმო.—

კვლავც მითქვამს სიტყვა უქმისა, პატიჟმან შემაშინაო.

ყოველნი განვლით სოფელსა არუნ დავრჩებთ შინაო...“ 6r—16r.

3. „შამი ფარვანას გაბჭობა, თქმული ბატონის მეფის თეიმურაზისაგან, რომლისა კსენება საუკუნო იყავნ.—ღმერთო, ყოველთა ცხადთაო და იღუმალთ დაუფარაო...“ 17r—26v.

შენიშვნა: ამ ნაწარმოების პირველი სტროფი წინა გვერდზედაც მოიპოვება.

4. «თეიმურაზ I»: „მეფეთ ქება სრული და საამო.—რადგან არ ვსცხრები ქებასა, ვგონივარ ამით მისანი...“ 26v—31r.

შენიშვნა: ეს ნაწარმოები თეიმურაზ I-ის 1934 წ. გამოცემაში მაჯამის ტიგშია მოთავსებული.

5. «თეიმურაზ I»: „ამბავი ვარდისა და ბულბულისა გაბჭობისა, საამო.—ჰე არსისა შემოქმედო შენგან არის ყოელიფერი...“ 31r—45r.

6. „ქება ანბანისა, თქმული ვახტანგ ორბელიანისა, შვენიერ ლექს მთხზველისა.—

აჰა ამბად აღვამალოთ აწ ალეისა აღნაგობა.

ბეწვბნელობა, ბროლ ბადრობა, ბაგე[ე]ბის ბიდახშობა...“ 46r—47r.

7. „თქმული მისავე ვახტანგ ორბელიანისა, ანბანთ ქება, ლექსი ჩახრუხაული და ოთხ ტაგებში სრული ანბანი.—აღალეებს ბაგებს გულ დასადა-გებს...“ 47r.

8. „ქება ანბანთა სხვა სხვისაგან; მთქმელსა ლტოლვილსა ვეფტოდეთ თავდამცველსა.—აღჰკაზმე არე ასპიროზ, ამარტა ასად აგეა...“ 47v—48v.

9. „ესე ანბანთ ქება უცხო და ახლად შემოდებული და არ ადვილად სათარგმანბელნი, თქმულნი მეფის ვახტანგის მიერ, უფალმან მრავალქა-მიერ ყოს, ამინ მრავალქამიერ.—ასრე არის აგებული, ამგებულსა აქ აქებდეს, ამყობდესცა, აღიდებდეს, ამისთვისევე აქაქებდეს...“ 49r—53v.

10. „მეფე იგივე (ვახტანგ) სამეფოსაგან კიდევან ქნული სალბუნად გულის წყულუბათათვის მკურნალთათვის თვისისათვის იქმნების და სწერს ესრედ.—მწამს მისის სარჯლით აშქმული, ჯოჯოხეთს პირი იცოდა...“ 54r—67r.

11. „ოდესკა ქართლი იკმეს მეფე ვახტანგ ისპანად და მიიწივა წინაშე სპარსდა მეფისა, აწვევდენ მამულისა სჯულის დატევეზად და ღთის მოყვარე მეფე ესე არა ერჩდა მძლავრისა მის ბრძანებასა. ამისთვის პატიმრად

წარავლინეს ქირმანს და მუნ მყოფობასა შინა იწყო წერად ესრეთ, რათამცა არა შეეპყრა ურვითა სევდიანობასა და ესრეთითა წესითა იქარვებდა პირველისა მის დიდებულებისა არა ქნასა ნაღვლიანობასა. მრავალჯამიერ ყოს უფალ-მან.—კვლავ მიხმეს ისევ ისპანს, დამრჩა ეს შეუსრულდები...“ 68r-v.

12. „მოცალობასა შინა მყოფსა ჭმუნვა ნაღვლისა მჭარვებელად იწერების საქართველოს მეფის მიერ უფლისა, უფლისა ვახტანგისაგან, დიდსა ქალაქსა მოსკოფსა შინა 1730.—დანიშონა კაეშანმა, სვედა მომხვდა მისთვის წამლად...“ 69r—70r.

13. „აქა იწყებთან ტრფიალთაგან სატრფოსათვის შაირობა და მკითხველთა უკმს გულისკვირება, თუ ვისდამი ტრფიალებს მეფე (ვახტანგ), საემარ არს ყურნი სმენად და გული გამოკულეგად.—ლექსი უნდა ტბილ-გვარითა სწავლის სიტყვით გამახარი...“ 71r—88v.

14. „თქმული ცხებულის მეფის თეიმურაზ მეორისაგან, რომელი იყო მეფე ქართლისა და კახეთისა, ქება სრისა მის, რომელიცა თვით აღაშენა კიდესა ზედა მტკვარისასა.—ქმნა ღმერთმა ცანი, ქვეყანა, შეამყო ზენათ ქვევითა...“ 89r—93v.

შენიშვნა: ხელნაწერს ბოლოს ერთვის: ა. „ბეჭდები მუნსიბიანი“ (ბეჭდების წარწერები მეფეთა და დიდებულთა; აქვეა „ქნ. აღ. ჭაუჭავაძისაგან გამოთქმული კნენი მანანა ორბელიანის ბეჭდულად დასაწერი“: 96r); ბ. „გამოცანებში“ (96v—97v); გ. „ბესარიონ გაბაშვილის მიერ მიწერილი გაიოს არზიმანდრიტისადმი, მან ოდეს სთხოვა ჭაბაშვილმან არზიმანდრიტს სადილად და მან სიმამლრის მიზეზით ბოღიში მოითხოვა“ (ერთი სტროფი: 98r); დ. „შაირები: ანტონ კათალიკოსისა, ბესარიონ გაბაშვილისა, პეტრე ყაზიბისა (98r-v).

ანდერძი: „მათის უჯან[ა]თლებულესობის საქართველოს მეფის ძის იოვანესისა, ღმერთმან ბედნიერებაში მოახმაროს და კეთილდღეობაში, ამინ, მრავალჯამიერ, მრავალჯამიერ, მრავალჯამიერ უკუნისამდენ. სრულ იქმნა ოკდონბრის კვ, ქრისტეს აქეთ 1805“ (94r).

22

სულხან-საბა ორბელიანი: ქართული ლექსნიკონი—XVIII

280 ფ.; 17,5×10,3; ქალაღი; ტყავადაკრული ხის ცალი ყდა (ზედა დაკარგულია) ნაკლული და დაზიანებული (პირველი 4 რვეულიდან გადარჩენილია მხოლოდ 2 მთლიანი ფ-ელი და ერთი ფ.-ლის ნაწილი; შიგნითაც, 104—105 ფ. ფ. შორის, აკლია რამდენიმე ფ.-ელი ფ. 178 სიგრძეზე ბოლომდე ჩანებულია; 208 ფ.-ის ნაწილი დაკარგულია); მხედრული (სათაური სინჯურით); [XVIII ს.].

„ანი არს პირველი ასო და კვიანი და ართრონი მრავალრიგად და თავად მოვალს ყოველთა სიტყვათაც და ბოლოდცა, ვითარცა ზედედ დამიწერია. ლექსიკონი ქართული.—ა, 18 კავშირში...“ 1v—280v.

წყდებთა: „... [3]როტაგი—წერილში ნახე, 3 მეფე 24,8. ხათიშარიფ...“

შენიშვნა: იმ ნაწილებიდან, რომლებიც ჩვეულებრივ საბას ლექსიკონის ნუსხებს წინ უძღვის, აქ ფრაგმენტების სახითაა გადარჩენილი: ა. პირობითი ნიშნების ახსნა და ბ. იესო ქრისტეს მოწაფეთ სახელები...“ (1r-v).

23

ღვთობა ბატონიშვილი: ისტორია-ნარკვევი—1822

60 ფ.: 17X10,6; ცისფერი ქაღალდი; ტყავის ყდა (ქაღალდ-გადაკრული); მხედრული (სა-თაურები სინგურით); 1822 წ. (60v); გადამწერი — მღვდელი დიმიტრი ოქრუაშვილი (60v); ადგილი—ქ. გორი (60v); დაუწერელია: 1—2v, 3v, 4v, 10v, 15v, 28v, 40v.

«ისტორია ასურეთისა»: „თავი 1. ასურ ძემან სემისამან დაუტევა სენარი მიზეზისა ძლით, რომელიცა მძლავრა ნებროთ...“ 6r—60v.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის: ა. თავფურცელი: „სადიდებულად წმიდისა სამებისა ცხოველს-მყოფელისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა.—დროსა შუკეთილმსახურების და უმაღლესისა გიორგი მეთათამეტისა, მეფისა ყოვლისა საქართველომასა, და კეთილმორწმუნისა დედუფლისა მარიამისა ციცაშვილის ასულისასა და კეთილმორწმუნეთა მეფის ძეთა და ასულთასა, კურთხევითა უნეტარებისა და უწმიდესისა მეფის ძის ანტონი პატრიარხისა ყოვლისა საქართველომასათა, დაიბეჭდა წიგნი ესე ნარკვევი სამეფოსა ქალაქსა ტფილისს, დასაბამიდგან სოფლისა კტ, ხოლო განკორციელებითან სიტყვისა ღისა ჩუ, თვესა მარტსა ა. დავითის მიერ დავითიან ბაგრატიონისა ქართლსა და კახეთის მეფის გიორგის მეთათამეტისა პირშოს ძის ღენერალ მაიორისა და კავალერისა დავითისაგან კმნილი ისტორიაჲ, რომელსა ეწოდების ნარკვევი. წელსა დასაბამიდგან სოფლისა კტ, კორციელად შობიდგან სიტყვისა ღისა ჩუ, ხოლო ქართულსა ქორთიკონსა უპმ, თთვესა მარტსა, რიცხუსა ა.“ (3r—4r). ბ. წინასიტყვაობა ავტორისა (5r-v).

2. «ნარკვევი» შედგება 6 ნაწილისაგან: I. ასურეთის ისტორია; II. «თუს მონარხთა სპარსეთისათა». III. «თუს მონარხთა საბერძნეთისათა»; IV. «თუს იმპერიისა როსსისა»; V. «თუს მეფეთა ბრომისათა»; VI. «შემოკლებული ისტორიაჲ საქართუშლომასა».

ანდერძი: „დაბეჭდილის ნარკვევის წიგნიდამ თანა-ჰსწორ გაუდმოვსწერე დიმიტრი მღვდელმან ოქრუაშვილმან, მაისის 8 დღესა, 1822 წელსა, გორის ქალაქსა შინა“.

24

კრებული—1881

121 ფ.: 34,5X22; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული (2r—51r-მდე ქართული ტექსტი, 98r—154r-მდე რუსული); 1881 წ. (51r); გადამწერი (ქართული ტექსტისა)—მთავარ-დიაკონი სტირიდონ (51r); დამკვეთი—მიხეილ საბინინი (51r); დაუწერელია 8v, 9r, 23v, 51v, 52r-v, 109v—121v.

1. «თქმული წმინდისა მამისა ჩვენისა არსენისი მოძღვრისა, მცხეთელთა კათოლიკოსისა, რომელი იყო სანახებთაგან სამცხისათა საფაოთ: განყოფისათვის ქართლისა და სომეხთასა.—კაცნო ღვთის მოყვარენო რომელნიცა შეგებითა

2.

ენბაზისაგან ცხოვლისა შვილად წმინდისა და დიდებულისა კათოლიკე ეკკლესიისა სარწმუნოებასა ზედა წმინდისა სამებისასა...“ 2r—8r.

2. „მეფობა სომეხთა ნოეს შვილითგან. ესე არიან პოენილ პათმოთენისგან წიგნისა ამას შინა გამოკრებიით. — ნახარ[არ]თა და ნათესავთა სახელები შვილთა ნოესთა: სემ, ქამ, იაფეთ...“ 9v—10r.

3. „აღსარება და უწყება და სასწაული მართლისა სარწმუნოებისა და წმინდათა კრებათათვის, რომელთა და[ა]მტკიცეს მართალი სარწმუნოება, რომელ-ესე ჯერ არს ყოველთა ქრისტიანეთათვის, რათა კეთილად და გამოწვლილუ[ით] მეცნიერ იყვნენ. — მოწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი...“ 10r.

4. „წმინდისა ფოტი პატრიარხისა აღწერილი ესრეთ. — მრწამს და აღვიარებ კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიასა შინა დაფუძნებულსა და ქადაგებულსა სარწმუნოებასა...“ 10r-v.

ტექსტი ადგილ-ადგილ ნასწორებია. ბოლოს ცენზორის ხელისმოწერაც აქვს: Иосиф (არქიმანდრიტი იოსები).

48

შესხმანი—1786

7 ფ.; 18X11,5; ქალაღი; უყდო; ფრაგმენტი (დაშლილი); მხედრული; 178 წწ. (6r); გა-
დამწერი—მიხაილ (6r); დაუწერელია: 3r-v.

1. [შესხმანი უცხო წმიდანებისა]:

„სხუა და სხუად ადგილ მომწყდარნი უფლისათჳს,
ირინეოსცა სერმიონელი მლუდელი,
ეპისკოპოსი, მოწამე ქრისტებრ მვნები...“ 1r-1v.

2. [შესხმანი ქართველი წმიდანებისა]:

„ენატრი ულუმბას, დიდძალსა მეუნჯესა,
ქუათა სპეკალთა, ოქროთა უძკრესსა...“ 4r—6r.

შენიშვნა: ფრაგმენტს ძველი პაგინაცია აქვს, იწყება მე-11 რე-ით, ე. ი. 131 გვ-ით.
ანდერძი: „სრულ იქმნა ესეცა. იყავნ სადიდებელად შენდა წმიდოს სამებაო. 1786
წელი, 23—IX, მიხაილ“ (ჩართული ასოებით).

49

ქრისტიანული ზნეობრივი სწავლანი—XVIII

13 ფ.; 19,2X14,3; ქალაღი; უყდო; ფრაგმენტი; მხედრული; [XVIII ს.]; და უწერელია:
ჟ.ფ. 4v, 5, 10, 11, 12.

1. [ზნეობრივი სწავლანი]: „თანა გოადს შეყუარებად სხუანი.—ვინათგან
თანამდებ ვართ გამრავლებისათჳს ბედნიერობისა ჩნისა, ამისთჳს გკლის,
რათა არა ვჰსძულობდეთ სხუათა...“ 1r—4r.

2. [ზნეობრივი სწავლანი]: „სათანადო არს პატივის-ცემად ლისა.—უმჯობესი
უკუც გონიერებითი ქცევა და უმართლესი მიზეზი კაცთა არარაამე არს ეს-
რეთ, ვითა პატივის-ცემა ლისა...“ 6r—9v.

50

(გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში—Ros. 174)

51

(გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში—Ros. 175.)

52

ილიანე ბზარამაძე: ლექსნიკონნი—1907

212 ფ. (I-III+352 გვ. +I-II+62 გვ.); 34×21,5; ქალაღი; ტილოგადაკრული მუყაოს მკერივი ყდა; მხედრული; 1907 წ. (IIr); ავტოგრაფი (IIr); ადგილი—ახალციხე (IIr); დაუწერელია: Ir-v; IIv, IIIr; გვ. გვ. 178, 179, 252, 253; Iv; 58—62 გვ.

1. ზგვარამაძე იოანე, ვინმე მესხია: „ქართული ენის საუნჯე.—ა!—გაკვირების მაგიერ; აადრება—ჰაერის მოშლა, აედრიანობა...“ 1—349 გვ.

შენიშვნა: ლექსიკონს წინ უძღვის: ა. წინასიტყვაობა: „დიდათ პატივცემულნი ქართველნი...“ (2r); ბ. შემოკლებათა ახსნა-განმარტება (3v); ლექსიკონს ერთის: ა. „შუმთაერესთა ქართულის მოქცევათა ქარაგმათა ახსნა ანბანურა“ (349 გვ.); ბ. „ასოთათის“ (350—351 გვ.); გ. „რიცხვი“ (351 გვ.); დ. „კაპაადუკიაში ქართული სახულები“ (351 გვ.); ე. „ქრისტეს მოქცეულნი“; ვ. „ქრისტეს სამოცდაათთომეტნი მოწაფენი (352 გვ.).

ლექსიკონში ძველად არსებულ ასოებზედაც არის მოყვანილი სიტყვები.

2. „მოთხრობა ბუნებითი მეცნიერებისა“, მოკლედ შედგენილი მსურველთა და ახალმოზრდა მოწაფეთათვის ქართველთა მესხი იოვანე მღვდელი გვარამაძისაგან, ქ. ახალციხეს, 1907 წელსა. — მჟრინველე ბი: ალაღი — მამაღი კორი...“ (1—57 გვ.).

შენიშვნა: მჟრინველებს გარდა ანბანის რიგზე განმარტებულია „პირუტყვთა და მხეტთა“, ორცხოველთა (ხმელთუხე და წყალში მცხოვრებთა), მწერების, კუების, ძვირფასი და სასარგებლო ქვების, ლითონების, ძეტალების, ხე-ნერგთა, ბალახეულობისა და სხვთა სახელები.

53

დილარიანი—XIX

88 ფ.; 34,8×22; მოღურჯო ქალაღი; მუყაოს ყდა; თავ-ბოლო ნაკლული (დასაწყისში აკლია 2 რ.); მხედრული (სათაურები სინგურით); XIX ს. (კვირნიშანი 1817).

[დილარიანი] ...„შეუტივე მეცა გუნდსა მას, ყითარცა ტრედთა სიმრავლესა შავარდენმან, დაფხოცე და ამოვსწყვიტე, რო მე ერთიცა ვერღა წამოვიღა...“ 1r—88v.

წყდება: „...და ესრეთ მუხლდადგმით ორნივე მონანი გთხოვთ, რათა უბოძოთ ასული სახლისუხუცესისა თქვენისა, და კირნი მისნი განჰკურნოთ...“

54

შოთა რუსთაველი: ვიფხის-ტყაოსანი—1680

263ფ.; 44,5×30; ქალაღი (თხელი); ტყავადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა; ნაკლული (პირველი ფ.-ის შემდეგ აკლია ერთი ფ.-ლი); ოდნავ დაზიანებული (250 ფ.-ის შემდეგ ამოვარდნილია 13 ფურცელი; ორ უკანასკნელ ფ.-ლს კიდევები შემოცვეთილი აქვს); მხედრული (სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით); ტექსტი თვითვლ გვერდზე ჩა-

სმულია შემოხაზულ ჩარჩოში და კიდები შემკობილია ნიარ-ნიირი მოხატულობით; 1680 წ.; დამკვეთი — გიორგი XI (262r); გადამწერი: — ზღვიანი ბეგთაბეგი (263r); დაუწერელია: 261v, 262v, 263v (მაგრამ კიდების მოკაზმულობა აქვს).

„დასაწყისი, პირველი იმბავი სპარსული რუსთულისაგან ქართულად ნათარგმანები, რომელსა ვეფხის-ტყაოსნად უქმობენ. ტარიელისა და ნესტანდარეჯანის მიჯნურობა, კარი პირველი იწყების. აღიდე, ლმერთო, მეფეთ-მეფე პატრონი შაჰნავაზ, ამინ.“

პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,
უქმობთ ვეფხის-ტყაოსნობით, არსსა შეიქს კორცს არ სრულად,
საეროსა არ ახსენებს, სამებასა ერთ არსულად

და თუ უყურა მონაზონმან, შეიქნების გაპარსულად.

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ 1r—261r (ტექსტი ვრცელი, გაგრძელებათა მქონე რედაქციისა).

ანდერძი: 1. ეპა, ქება და დიდება სამებით სრულსა და განუყოფელსა. რომელმან შექმნა ყოველნივე სულნი და უხილავნი კელმწიფებითა ძლიერებისა თუისისათა, რომელმან ყოველნივე არარასაგან არსებად მოიყუანა, და მართებს და განაგებს ყოველთავე წამისყოფითა თუისითა, რომელსა შიშით მსახურებენ უსხეულოთა იგი წესთა მთავრობანი და დაიფარვენ ფრთებითა პირთა მათათა, და განცდად დიდებისა მისისა ვერ შემძლე-ბელ არიან, არამედ ღალატებს მოყუსისა მიპართ და იტყუოს, ვითარმედ წმინდა არს წმინდა არს, წმინდა არს უფალი საბათთ, ხოლო ოდეს ითქუას სამეზის წმინდაარსი, ჩანს ქეშეპიტად, რომე სამება იდიდების განცხადებულად, ხოლო ჩუენცა მიწიერნი ესე მიზნაგებულობდეთ ზეცისათა მათ, და რაოდენ შეგუანდის მიწიერსა და მოკლდავსა ამას და სიხმრებელ წარმავალსა და აჩრდილებ განქარებებადას არსებასა ჩუენსა, ჩუენცა მათ თანვე ვიტყვოდით: დიდება მამასა, დიდება ძესა და დიდება სულსა ყოვლად წმინდასა, ერთს ღთვებასა, განუყოფელსა და განუწყვალბელსა, რომელსა შეენის ყოველი დიდება პატრიი და თაყუანის ცემა მამისა, ძისა და წმინდისა სულისა აჲ და მარადის, უკუნით უკუნისადის, ამინ, ამინ, ამინ.

მას ეამსა ოდეს ღმთივ: გურიგვინოსანი და ყოვლთა კელმწიფეთა შორის წარჩინებული და წარპატებული მეფეთ-მეფე პატრონი შაჰნავაზ ამირ 'სოფლით აღესრულა. და დაჯდა მკურდოსა და ღმთიქვ დამყარებულსა ტახტსა საკელმწიფოსა ძე მისი ღმთივ დაცულ-დაფარული, მეფობისა შარავეანდელი, პრწყინვალე და უფასთესი კელმწიფედ და პატრონად მეფე გიორგი, ღმთისაგან ფლობა-მინიჭებული, არს ღმთის მოშიში და ღმთისაგან შეყვარებული, ყოველთა ნათესავთა მისთა უდიდებულესი, თუით დავით წინასწარმეტყუელის ტომი და მიმსგავსებელი მისი, უახოვნესი და უგლოითესი ყოველთა ახოვანთა და გოლიათთა, და უმაგრესი ანდამატისა, შემადარწუნებელი ყოველთა წინააღმდეგობთა, რომელმან სიმკნითა თუისითა დაიპყრა სამეფო თუისი ყოველივე და-მოსრნა მახვილითა ურჩნი და მტერნი თუასნი, ღმთივ დაცულ-დაფარულმან, ძლიერმან და უძლეულმან, არა ხოლო თუ მინახეთაგან, არამედ მსმენელთაგანცა საქმეულსა-დიდებელისა ჰაეროვნებისა და ასაკობისა მისისათა მზისა და მთოვარისა მაჯუფთათრემან, ახალმან სამოთხისა ნორმან, აერ-შუენიერმან. ჯოპარდობისა მაგალითმან, მამაკობისა დასაბამან და ისაპობისა, იადგარმან, გულ-ლომან, მკლავ-მაგარმან, კელ-ფერკ-მოშითმან, ვეფხერ კისკას, ტახტისა და გურიგვინისა შესაფერმან ჯერეთ სახითა და ასაკობითა, ახლად მოწიფებულმან და ხოლო საკმითა და სიმკნითა გმირთაცა უგმირესმან, ლომმან ლომთამან, ღმთისყოფარემან, მშუილმან და უხუმან და თამებალმან ბევრჯის სხუათასა, ვითარცა შუენის კელმწიფესა; თავადთა და ახნაურთა წარჩინებულთაგან სულ ამოფრთერით სატრფილიომან, კმა-საფირონმან და ენა-შაქარმან, იადონებრ შუენიერად მკობარემან, თვალმან პატროსანმან და მარგალიტმან უსასყიდლომან, ვარდმან ედემი-სამან, სულ-ამომან, სანთელმან დაუშრეტელმან და შხეებრ გაბრწყინებულმან, ყოველთა

შემხედთა მისთა განმანათლებელმან და მტერთა ცულებერ და მადნობელმან, ვარსკულავ-
მან მოკამკამემან დილასა იამანეთით აღმოსულმან, სახელ-შუენიერმან, პატრონმან პატ-
რონთამან, უფალმან ჩუენმან გიორგი ბრძანებაყო ჩემდა მომართ დაწერად წიგნისა
ამის ვეფხის-ტყაოსანიასა. და წარავო მრავალი წარსაგებელი, ვითარცა საცნაურ
ჰყოფენ თულანი მხიარულთანი კელოვანებასა ამის წიგნისასა და ენება, რათამცა ფრიად
კეთილ-შეენიერ ყოფილყო, რომელ არსცა ფრიად კეთილ და შეენიერ, თუნიერ ზო-
ლო ნაწერიასან კიდელ. ესეცა უწყადით, უფალნო ჩემნო, მრავლნი მეფენი გარდაცვა-
ლებულან და არაიეს შეუმკუთა წიგნი ვეფხის-ტყაოსანი მსგავსად პატრონისა ჩუენისად,
განაძლიეროს და მრავალვამ ყოს ღმერთმან მეფობა და კელმწიფობა ამისი ოდესცა
ნახუიდეთ, სცნობთ, ვითარცა არს, და თქუენცა ბრძანებთ, ვითარმედ კეთილ არსო.
ხოლო სრულ იქმნა წიგნი ესე ინდიკტიონსა მფლობელისა ჩუენისასა მეოთხესა. და-
უსრულებულ ყუან(ღ) ღმერთმან კელმწიფობა მეფისა გიორგისა და კულად განაძლიერო[ს]
და დღითი-დღე შემატოს შარავანდედობასა მისსა და დაუმორჩინეს ყოველნი
მტერნი და მბრძოლნი მისნი, ხილულნი და უხილავნი, და წარემართოს ყოელსა შინა
ღმთისმსახურებასა მისსა, და აღუსრულენს ყოველნი ეამნი მისნი მყუდროდ და უშფო-
თულად, და მშვიდობით განაგოს ყოელი ცხოვრება მისი, ხოლო მერმესა მას ცხო-
ვრებასა თანამოსაყდრე ყოს მარჯულენით ძლიერებასა მისსა. ვერუთუ წმინდამან ღმთის-
მშობელმან, სახელდებულმან მარიამ, სძალმა წმინდამან, თანამყოფი მათი დედოფალი
პატრონი თანარ დაიფაროს საფარველსა ქუეშე მისსა, კელი აღუპყრას და ნუგვიზნის
სცეს ნუგვიზნის-ცემითა მით სასუფეველითა და შეისმინოს მუტრავალე ვიდრება მისი
და შეიწიროს იგი წინაშე ძისა მისისა, და ნაცულად აგოს მადლი მისი და შეწირულ ყოს
ყოველი მსხურალი მისი შეწირული გულითა დამდაბლებულითა და უმანკოთა, ხოლო
სულითა შიძესურითა, და ძენი მათნი აღხარდენს(!)—პატრონი ბაგრატ და ბატონი
მარიამ, იგი ვარსკულავთა პრწყინვალეთანი, და კულად დღესა მას საშინელსა უპყრას
კელი მარჯვენე მისი და შეიფაროს იგი სავენსა მას, რომელსა თუთი სუფევს, რათა
ვეწ აღიდებდეს შემოქმედსა უკუნით უკუნისამდის, ამინ.

შენ ძეო ღმრთისაო, პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილო, ერთო სამებისაგანო,
ქუმმარტო ღმერთო, მამისაგან გამოსულო, ემმანოილ ღმერთო და კაცო, რომელი
აღსასრულსა ეამთასა განზრახუითა მამისათა და ნებითა სულისა ცხოვლისათა გარ-
დამოკედ ზეცითა ქუეყანად და თბე შემოსილ იქმენ, იშვე ქალწულის მარიამისაგან და
ყოველი წესი კაცობრივი აღსარულე, თუნიერ ხოლო ცოდვისა, გარნა ყოველივე ცოდ-
ვათა ჩუენთა აკოცისათვის ჯვარს ეცუი და დაეფალ. და აღდგე მესამესა დღესა და
ამაღლი ზეცად, და დასჯდე მარჯუენით ღმთისა, და კულად მომავალ ხარ განსჯად
ცხოვლთა და მკუდართა. შენ უკუე მეუფეო, ყოვლად ძლიერო, იესო ქრისტე, მფარ-
ველ ექმენ ორსავე შინა ცხოვრებასა კელმწიფეს მეფეს პატრონს გიორგის, კეთი-
ლად განაგე ყოელი ცხოვრება მისი და წარმატებულ ყვე ყოელთა შორის მოასაკეთა
მისთა, და ნუ ოდეს განაშორებ ცხოვრებასა შინა მისსა ფარვასა შენსა და ძლიერება-
სა პატრონისა ჯვარისა შენისასა, დღე და ღამე სცე და ჰფარვედი ჰმართებად, გან-
გებად და ნუგვიზნისი ეც და (ხელნაწერში „ღე“ არის) კელი აღუყარ, და განმსკვალე
შისა შინა შენსა, დაქ შემუსრენ ყოელი მავნი და წინააღმდეგომნი მისნი და სუე-სრულ
ჰყვ და ეტლ-კეთილ, და სამოთხის მკუიდრად გამოაჩინე და სახელი მისი აღწერილ
ყვე წიგნსა მას ცხოველთასა, რამეთუ შენდა შეუენის ყოველი დიდება, პატივი და თაყუ-
ანისცემა მამისა, ძისა და წმინდისა სულისა აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე
ამინ, ამინ“ (262r-263r).

2. „სახელითა ღმთისათა აღვასრულე ჰქს. კამ მე ფრიად ცოდვილმან და სახე-
ლით ოდენ მდივანმან და საქმითა ყოველთა მწიგნობართა უნარჩავესმან ბეგთა ბეგ.
და თუ უგბილებითა ჩემითა დამცდარი ნახათ, ოდეს აღწერა მიბძანეს, არ წეს არს უა-
რი პატრონისა, თუარა უხილავისსა და ხილულისა მტერისაგან დიდად შედულარქვილ
იყო გონება ჩემი და კაეშნისა აღტუიროთულობამან უკედ ვერ შემაძლებინა და ამაღ
შეიმნობლით მე მეტება-დაკლებისათვის“ (263r).

მინაწერი: ბოლოში, საცავ ფურცელზე: „ქეს ჩღა მოველ საქართველოდამ სამე-
ფფოს ქალაქში მოსკვის მე, თავადი გრიგოლი სალთხუცის ძე ქაიხოსრო ჩოლაყოცი, სა-
ქართველოს მეფის ირაკლის დროს. და ვიყავი კახეთის სალთხუცის დ[ა] ამიქიანება-
რი, და ვიწონე აქ მოსკვის ეს ვეფხის-ტყალსანი და წაველ ისევ საქართველოში ჩღუგ
(თუ ე? წაშლილია და ფერმკრთალი ძელნით მერმეა მოსმული ვ), თვეს[ა] მასა (მისისა?),
ვინც ეს წაიკითხოთ, ამ წერილით მოგონებულ მყავით, ქაიხოსრო“ (ხეველად).

55

სარამაინიანი (II ნაწ.)—1843

VIII+413 ფ. (826 გვ.); 33.2X20,5; ქალაღი; წითელი ტყავადაკრული ხის ყდა; ნაყ-
ლოლი (დაუმთავრებელი; 526—641 გვ. შორის ფ-ფ. ამოხეულია, დანაკლისი შესებულია
სხვა ძელით დაწერილი ჩაუკინაძე იველით); მხედრული (სათაურები სინგური რ. ტექსტში
ჩაკინებულია 11 ნაბეჭდი გრავიურა. რომელთაც არაფერი აქვთ საერთო თხზულებასთან. მე-
თორმეტე კარიდან, გვ.გვ. 736—751 სხვა ხელითაა ნაწერი); 1843 წ. (V რ); გადამწერი—[ცო-
რანოვი მოსესი; იხ. ხელნ. № 57 ანდროძე]; დაუწერელია: I—III; 686—690; 722—735; 752—
826 გვ. გვ.

[ყარამანიანი]: „აქა კარი უშანგისა და რაიაზამისა. დიდი ამბავი დაიწყო-
ბის, რომელიცა(!) ამის ქვემოთა მოიხსენიებთ.—მას ყამად, ოდეს მოვიდა ქეთან
შაჰ, უშანგმა ხელთა დაიმორჩილა. შაშინ მის უფროს ძმას რაიაზამსა მოხსენდა,
რომე ერანიდამ ერთი კელმწიფე მოსულა, რომელსაცა ეწოდების სახელად უშანგ,
მას ორნივე შენი ძმანი დაუქერია და თავის სარწმუნოებაზე მიუქცევია და საბა-
ოთ ლმერთი უწამებიათო. პირველ თქვენი უმცროსი ძმა შებშია, რაციდ(!)
დამარცხებულა, ერთი ფალავანი ჰყავს, სახელად ყარამან ეწოდების...“ 1—
751 გვ.

წყუდება: „...მაშინ საყანჩუნ დევისა და სხვა ჰყრობილების მოყვანება.
ბრძანა და მძიმედ შეკრულები შამოიყვანეს“...

შენიშვნა: წინ უძღვის: ა. გადამწერის ლექსი.—

„ღმერთო მამოძე შეძლება ამა წიგნისა წერასა,

თუ შენი ძალი დამფარავს. გარჯა შე მიზამს ვერასა...“ (IVრ-ვ);

ბ. „ამა წიგნისა სარჩევი“ (Vრ—VIV).

ანდროძე (გადამწერისა):

„უცხოლ არის ეს მოთხრობა, ამბანავთ თანასწორად,

ამის წიგნი შევასრულე, რომ დაგწერე გახდა ორად,

თუმცა ბოლოს კიდევ აკლდა, ვეღარ ვბოვე ამის სწორად,

მკითხველნი მასხეხებდეთ, ყრმანი იყვნეთ თუნდა შორად“ (815 გვ).

სერგეის და ძმას მისსა მიხვილ ყორღანოვთა მოსესის ძეთა ეკუთვნისთ წიგნი
ესე და სალხითა(!) აღმოიკითხედნენ და შეიქცეოდნენ. და თუმცა სურდესთ და კითხვას
მოინებდენ, მათ მეორეთ ძმათა სამთა და უმეტესად ასულსა ჩემსა ამაჲ, რომე ყოვლთა-
ზედა უკეთა სურს ამა წიგნისა კითხვა, და იკითხედნენ საამო შესაქცევრად, კარგი არის.
და აგრეთვე სხვათა წამლებთა გთხოვთ, რომე რიგან და კარგა შენახვით აღმოიკითხე-
დეთ, რამეთუ, ლმერთმან ინებოს, სხენებულნი ყოველნი იყვნენ დღევარებლობითა, ამისი
აღმოიკითხელნი, აჲინ“ (IVრ; ჩამოჰგავს გადამწერის ხელს).

56

როსტომიანი—1850

414 ფ. (928 გვ.); 34,4X21; ქალაღი; ტყავადაკრული მუყარს მკარივი ყდა;
მხედრული; 1850 წ. (ხედა ყდის v-ზე); დაუწერელია: გვ.გვ. 783—826.

„როსტომიანი“: „კარი პირველი, დასაწყისი. სვამ ყარამან ფალავნის შვილის ნარმიანის ძის ქუჩუგ ყარამანისა, რომელიცა კულავად ეწოდების და საამობით აცხადებს ამის ჩაძამებლობითა. უცხო და საამო სასმენი და აგრეთვე დროითა იხსნება ზალის(!) შვილი რო ტომ ფალავნის მოთხრობა ლექსათ, თქმული ხევის ბერის საბაშვილისა.

თქვენც გასმითა ზააქ რა ქნა, უწინ თავის ზამა მოკლა, უბრალონი კემწიუენი, აფთიმონ და ჯიმშიდ მოკლა...“ 1—782 გვწყულება: „...არჯასპის სალარო გახსნა, მან ყველა მოიმაღლაო, ყოვლგნით აქლემ სპილონი მოასხა, შეიყარაო“...

შენიშვნა: ხელნაწერის პირველი ფ.-ლი სხვა ხელით არის მერზე დამატებული, დაკარგულის ნაცვლად.

ყდის v-ზე წარწერაა: „როსტომიან დაიწყო წელსა 1850, კათაუვის პირველსა; შეიკრა წიგნი ესე, რომელიც ეწოდების (!) როსტომიანი“.

57

ჰარაბანიანი (I ნაწ.)—1834

408 ფ.; 21,2×16,2; ტყავადაკრული ნუყაოს ყდა; ქალაღი; მხედრული; 1834 წ. (404v); გადამწერი—მოსესა ყორანოვი (404r); ადგილი,—ტფილისი (404v); დაუწერელია: 1v; 239r-v; 405—408r.

„კარი პირველი. ანბავი სპარსთა კელმწიფის შვილის ყარამან ფალავნისა... პირველ ჟამად სპარსეთსა შინა იყო კელმწიფე დიდი, რომელსაცა საკულად თახმურად ეწოდა. ესე იყო მორკმული, ამაღლებული და ყოველსა ზედან სახელგანთქმული...“ 1—403r.

შენიშვნა: სათაურში თხზულების დასახელების შემდეგ იკითხება: „თურქთა ენისაგან ქართულსა ზედან თარგანილი საქართველოს(?) ორბელიანის დავითისაგან. თუმცა არა რიტორთა ენასა შეწყობილი არს, მაგრამ ამისთვის დავშეერ ამასა ზედან, რომ ყრმათათვის საკითხავად საამურად და სწავლა არის; მეორედაც, ეს რომე ვინაიდან საქართველოში წიგნი ყარამანისა ქართულსა ენასა ზედან დღესა აქამდე არასადა იბოებოდა და ამას იკითა იბოებოდეს. მე ასე შევიძელ და გავაკეთე, აწე ამას იკით, რომელთაც უკეთ გაკეთება გნებოთ და შეიძლოთ, თქვენ გამართედ(!), ამაღ რომე მეორედ აღმოწერილი უკეთესი იქნება“ (1r).

ანდერში (გადამწერისა): „აქა დასრულდა კარი ხოაროვი შირისა და კიდევ უნდა უშანგისავე და რაიზამისა მოიხსენიოთ მათი ანბავი, რომელიცა სხვასა წიგნი დაიწერება, რომელიც ამას მოხდეს. კურთხეულ არს ამიერთაგან, რომელმანცა ამგვარ წერილი იხილოს და მახუდან იმაშვარლოს, გარდაწეროს და მეორედა განაახლოს, ამაღ რომე ქვეყანასა ზედან არა ამოვარდეს მათ ძველათგან ხსენებულთ ფალავანთა ანბავი შესაქვევრად და მოსაგონათ, აგრეთვე ყრმა კაცმან, რომელმანცა ამისთანა წერილი იხილოს და წიკითოს, კარგი არის, ამაღ რომე კაი მსწავლული შეიქნება და ენასაცა გაიმართავს. ჟანი შეხედებდა, რომელ ამგვარი წერილის კითხვა მრავალს აღაგას გამოადგეს კელმწიფეთა დიდებულთა, თუ ამანაგათა თანაშესაქვევრად და სასარგებლოდ არა თუ საზიანოდ. თვით მკითხავიც შეექცევა და მსმენელთაცა ასიამოვნებს, ვინადგან იყო ძველადგან წერილი ესე, მცა ვინებე და აღმოვწერე და განვაახლე, ვითა შქონდა ჟამი წერისა და დავასრულე ყარამანიანი ესე პირველ კარადამ აქმოამდე“

თუმცა ამა წერილითა არა შესრულდება, ამაღ რომე სრული ერთობადა არა. შეიძლება აღმოწერა ამისი აქამდენ. დავასრულე წიგნი ესე საკითხავად ძეთა ჩემთათვის და შესაკეცერადა. უფალმან მრავალჯამიერ ჰყოს სახსენებელნი მათნი, ამინ. დაიწერა და დასრულდა დროსა და ეამთა მათ დიდებულების კელწიფე სრულიად რუსეთისა ნიკოლაი პავლოვიჩისასა, რომელსაცა მას ეპყრა და მსახურობდნენ სრული რუსეთი, საქართველო, ქართლი, კახეთი, სრულიად ყარაბაღი, ჭანჭა თუ ერევანი თავისის საბრძანებლითა და სხვაც მრავალნი ქვეყანანი. დაიწერა და დასრულდა წიგნი ესე კელითა მისივე პატრონისა ახნაურის მოსესა ყორღანოვისათა. მას ჭარე ვითხოვ(!) სხვათა მკითხველთაგან, რომელთაცა მოიწებოთ ამა წიგნისა თხოვნა და შეეცეოდეთ, აგრეთვე პატრონსავე მიუბოძებდეთ, რადგანაც ამა წერაზე შრომა გვაქეს და კლავად ვითხოვთ მკითხველთაგან, ოდესაც ამა წერილითა შეეცეოდეთ, მოგვიხსენიებდეთ მე ცოდვილს ამისა აღმომწერალსა მოსესა ყორღანოვისა, რათა თქვენც იყვნეთ წინაშე ღმრთისათა ხსენებულნი საუკუნოდ, ამინ. ამა წიგნისა წერა შესრულდა ტიფლის ქალაქსა, თვესა ენკენისთვის გასულს დღითა შინა სრულებითა. 1834 წელსა, [ქ]ქს ჩუღლ-სა* (403r—404r).

ესე წიგნი გადაეწერე ყარაბაღის ფაღავენისა, რა დროს ესე დავასრულე. ვიყავ წლისა სამოცისა, თუმცა შეცდით დამეწეროს, არ გამეცხბოთ ამისთვისა, ამაღ რომელ არ იქნება არ-შეცდენა მწერალისა.

ვიწყო რამე სიტყვა მცირე, ბოძენმან ვინმემ ყურად იღოს, გულისაგან საუბრისა ვის რა ედვას, გამოიღოს, მარაუბს, კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდმოიღოს, და უგბილმან და უგუზურმან ვერა რამე წამოიღოს*.

58

ქრებული—1806

168 ფ.: 20,7×16,6; მოღურჯო და თეთრი ქალაღი; ტყავადაკრული ხის ყდა; დაშლილი (ფ.ფ. 107—8; 119; 139-40 დახიანებულია); ნაკლული (140 და 141 ფ.-ფ. შორის აკლია; 158—159 ფ.ფ. შორის 5 ფ.-ელი ამოხეულია); მხედრული (სათაურები სინგურით; ზოგიერთ თავებს დასაწყისში მოეპოვება თავკახმულობა); 1806 წ. (ქვედა ყდაზე); გადამწერი—მოსესა ყორღანოვი (126r; ადგილი—[გორი]; დაუწერელია: 132v—138v.

1. [თხრობანი ძველი და ახალი აღთქმიდან]. „დაბადება. წიგნი დაბადებისა ცისა და ქვეყნისა, თავი ა.—პირველად განაჩინა ღმერთმან ცა და ქვეყანა და იყო უხილავი, მოუმზადებელი და ბნელი...“ 2r—132r (სულ 32 თხრობა).

შენიშვნა: დართული აქვს იოვანეს სახარების 5 საკითხავი.

2. „ქარი პირველი. ამა ამბისა დასაწყისი მიჯნურთ ანბავი, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმნები მეფისა თეიმურაზისაგან, იოსებისა და ზილიხანისა და ლექსადეე მისგან თქმული. უფალო, მრავალჯამიერ ჰყავ ცოდვილიცა მწერალი, ამინ.

არსებით ვიტყვი ცნობილსა სამებით ერთოფლობასა,

ბუნებით გაუყოფელად, ღვთაებით ჴერებულად...“ 139r—160v.

წყდება: „...ზეგარდმო მონაცემობით საზრდელი განაოხებულა...“

(აკლია 233 სტროფის IV რაეპიდან ბოლომდე; შდრ. თეიმურაზ I, 1934 წ. გამოც. აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით).

შენიშვნა: ა. I ამოვარდნილი ფ.-ლის ტექსტი განმეორებულია 2r-ზე; ასევე, ტექსტი მოთავსებულია 139r—145r-ზე. განმეორებულია ცალკე ჩაუკინძავ რვეულად თეთრ ქაღალდზე ბოლოში (161r—168r); ბ. 1r-ზე ორი ერთნაირი მრგვალი ბეჭედი და დასმული, წარწერით: სერგეი ყორღანოვი. ბეჭედზე გამოხატულია ქალი ჯვრით. 139r-ზე გადამწერის, მოსესა ყორღანოვის, კუთხოვანი ბეჭედი ხის.

ანდერძი: „წელს 1806, მარიაშობის ა. დასრულდა დაბადება ესე თვესა ამასა კელითა მისთავე მოსესა ყორღანოვისათა. მსმენელნო, ნუ მკიცხავთ, თუმცა არ იყოს სიბრძნითა ნაწერი. მცირე მწერითა(!) დავასრულე ესე. გვედრებით, რომელმაც აღმოიკითხოთ, თქვათ, თუ ღთო შეუნდევ და აცხონე ამისი დამწერის დედმამის სული და დამწერიც აცხონე, ამინ. [ქ]ს უჟად. ქრისტეს აქეთ ჩვე“ (ქვედა ყდა).

„ღმერთო, შეუნდევ ამის მთარგმნელსა გორელი გეორგი ვართაპეტსა, და ამის დამწერის დედმამის სული მოიხსნე და აცხონე, და თითონ დამწერი ადღეგრძელე და აცხონე მოსესა, ამინ.—ყორღანოვი“ (18r).

„ღმერთო, შეუნდევ ამის მთარგმნელსა, ამის დამწერის დედმამის სული აცხონე საუკუნით, და ადღეგრძელე ამის დამწერი ყორღანანთ ბახუტაშვილი მოსესა, ამინ“ (24r; ასეთი ანდერძები თავების დასასრულს სხვაგანაც მოიპოვება).

59

ქრებული — 1816

281 ფ.: 21×17,5; ქაღალდი; ტყავადაკრული ხის ყდა; დაზიანებული; ნაკლული (აკლია: 8 და 9,9 და 10,119 და 120 შორის თითო ფურცელი; 210 და 211 შორის—2 ფ.-ლი); მხედრული (სათაურები სინგურით); 1816 წ.; გადამწერი—ყორღანოვი მოსესა (139r); დაუწერელია ფ.ფ. 139, 140—141, 177—178, 181v., 182, 195r, 231—234, 278r, 279—280.

1. [ს.-ს. ორბელიანი]: „სიბრძნე სიცრუისა, ყრმათათვის ამოდ საკითხავი და მრავალგან სასარგებლოდ გამოსადეგი სიბრძნეშია ც და სიცრუეშია ც. არაკი პირველი, სედრაკ ვეზირისაგან თქმული და ყოველგან სასიამოვნოდ სასმენელი.—იყო მეფე ერთი ხორასანსა დიდებული, განძ-მრავალი, კეთილ-გონიერი, მოსამართლე, ქვრივთა და ობოლთა შემწუნარებელი...“ 3r—139r.

შენიშვნა: წინ უძღვის „სარჩევი“ (2r-v).

2. „საარაკო სათქმელი, რომელნიმე თარგმანი და სწავლა და ცნობა ყოვლისა ცოდვისა და მადლისა და გაღვიძება უმეცართა კაცთათვის და სასიამოვნოდ სასმენი.—ა. ერთმა მეფემ მესაკლავეს ტყავი გამოართო, და[ა]-მარილა და ბაზართა დაავდო. შულამისას მოვიდა სიბრავლე ძაღლისა და იმ ტყავს ჭამა დაუწყეს...“ 142r—176 v.

შენიშვნა: ბოლოში ერთვის «სარჩევი» (179r—181r).

3. „ლეკი მუნასიბი, თქმული მეფისა თეიმურაზისაგან: განაკობა ვარდისა და ბულბულისა.—ჰე არისსა შემოქმედო, შენგან არის ყოვლი უერი...“ 183r—195r.

4. „პირი პირველი ლეილ-მიჯნურისა, პირველად სპარსთაგან ნათქვამი და მეორედ ახლად თარგმანი ლექსად პატრონის თეიმურაზისაგან სასიამოვნოდ სასმენელი...“ 183r—195r.

მოვნოდ სასმენელი.—ღმერთო, რომელი თვით სიბრძნე ხარ სიბრძნის მომცემე-
ლობით...“ 196r—230v.

5. „ქარი პირველი. დასაწყისი. მიჯნურთ ამბავი, სპარსულისაგან ქართუ-
ლად ნათარგმნები მეფისა თეიმურაზისაგან, იოსებისა და ზილიხანისა,
და ლექსადვე მისგან თქმული. უფალო, მრავალქამიერ ჰყავ ცოლილიცა მწერა-
ლი, ამინ.—არსებით ვიტყვი ცნობილსა, სამებით ერთ-უფლოაასა...“ 235r—
278r.

ანდერძი (გადამწერისა): ა. „წელსა ჩყვი, ივლისის იე-სა-დასრულდა ესე წიგნი
სიბრძნისა და სიკრუსისა წერთა და კელითა მისივე პატრონისა, კეთილშობილის მო-
სესა ყორღანოვისათა. ოდეს ზელათ ავიღე, ამისი(!) წერასა აღარ მოვეფი და დავასრუ-
ლე, ვითა ჩემგან შეიძლებოდა, ყრმათათვის საკითხავი და მრავალს ალაგას გამოსა-
დგი, სამღვთოში თუ საეროში და ამხანაჟსა თანა შესაქცევარი. რომელმანცა ესე წიგნი
აღმოიკითხოთ, დროულმან და ყრმამან, მომიხსენიეთ მე ცოდვილჳ [ამისი მწერალი,
რომელნიცა(!) თვენიცა იყვნეთ ხსენებულნი წინაშე ღმერთისა საუკუნოთ, ამინ“ (139r).

ბ. „დასრულდა. ესე საარაკო წიგნი იყო პირველ სომეხთა წიგნთაგან ნათარგ-
მნევი და გარდმოწერილი შენდობილი იოვანე პენტელაშვილისაგან და, ოდეს მეცა ვი-
ხილე და გარდავიკითვე, მიაბა შესაქცევრად და ყრმათათ(!), და ყრმათათვის სწავლად, და
დავასრულე მე წერთა, ვითა ჩემგან შეიძლებოდა, კელითა მისივე პატრონისა კეთილ-
შობილი მოსესა ყორღანოვისათა საკითხავათ და მოსაგონებლად ჩვენდა, აგვისტოს დ-
დღესა, წელსა ჩყვი“ (181r).

60

კრებული—1836

325 ფ.; 20,5×16; ქალაღი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; 311 ფურცლის ქვედა ნაწი-
ლი მოხეულია და დაკარგული; მხედარული; 1836 წ. (54r, 83r); გადამწერი—მოსეს ყორღანოვი
(54r); 1836 წ. (54r) დაუწერელია: 1v, 2r, 3v—6v, 10v, 11r, 227v, 240v, 310r, 321r—325v.

1. [არაქელ ბაღიშელი: გალექსილი ბალავარიანი—სომხურად ქარ-
თული ასოებით].—„პატმუთუნ კამ ტად ი ვირა ოვასაფუ თაგავეური ვურდუ
თაგავეური ჰნდკაც აბინირა.—ეურ ასამ ჰაირნ ირკნავეურ ირკირ ჰაქიცავ...“
13r—54r.

შენიშვნა: წინ მიუძღვის არაქელ ბაღიშელის წინასიტყვაობა ლექსად (12r).

2. [სამთვარიო და სიზმრის ახსნა]: „ლუსანაცუც ივ ირაზაცუც.—არაჯირ
ორნ ლუსინნ ბარი ე...“ 55r—59v.

შენიშვნა: წინ მაუძღვის დღეებისა და თვეების ნუსხა ქართულად (54v).

3. [სხვადასხვა საკითხავები სომეხ თუ უცხო წმიდანისა და დღესასწაუ-
ლისა სენიაქსარიდან, ოთხთავიდან და უცხო თუ სომეხ ავტორთა თხზულებები-
დან—სომხურად ქართული ასოებით] 60r—309 v.

4. [ხვედრის აღწერა წილის წიგნი: <ვიჰაკაგირნა>].—„აის ე ვიჰაკ, ოვუქ კამენა,
მეკ ასონ ძირ ღნე, აინუ ორინაკ ტუნნ კარდა, აინოვ კუ იმანაქ, იინ ვიჰაკნ
კარდაქ...“ 310v—320v.

შენიშვნა: ა. ხელნაწერს წინ უძღვის „სარჩევი“—„ცანკ“ (7r—10r); ბ. ბოლოს ერთ-
ფის კვინკლოსი: „წინაპართა ნეტარსენებულთ და გარდაცვლილთა კელმწიფეთა-
განნი, რომელნიცა რა დროსა შეწრებულან და ანუ თუ რომელსა ყამთა გარდაცვლი-
ლან ამიერ სოფლიდგანა წლითა რიცხვითა, ყოველნი მკითხველნი კურთხევითა მოიხ-
სენიეთ.—ს. (=ჰს) ტია: შაჰბაზ ყენმა ყანდაარი აილო; კს. ტით: როსტომ მეფე და როსტომ
სარდალი საქართველოში რომ მოვიდნენ, ოცს დღეზედან გორის ციხე ააშენეს... (უკანა-
კნელი წელია 1813; 322r—324v.).

მინაწერი—1r, 2v, 321 v.

ანდერძი: სომხურად ქართული ასოებით—[ეს წიგნი დავწერე მე მოსეს ყორლა-
ნოვმა... 1836 წ., მარტის თვე] (54r. იხ. აგრეთვე 83r).

61

უთრუთიანი—XVIII

116 ფ. (232 გვ.); 25,5×16; ქალაღი; ტილოგადაკრული მუყაოს ყდა; დაზიანებული,
დაშლილი; თავ-ბოლო ნაკლული (თავში აკლია რამდენიმე ფ.-ელი, ბოლოში კი—მთელი მეორე
ნახევარი); [XVIII ს.]; მხედრული (სათაურები სინგურით; ტუქსტი წითელ ჩარჩოებშია მოთავ-
სებული); ხელნაწერს მოეპოვება ილუსტრაციები შემდეგ გვ. გვ-ზე: 13, 19, 27, 93, 127, 128, 178,
221, 222, 223.

«უთრუთიანი»:

... „ არ მოურჩები ჩემს ჰანგსა ამა მაღალსა მკნესაო.
სულთავან დაგცი, გიჯობდა არამც ეშობე დედასა,
მიწა შელეგო სისხლითა, დავამხოზ შენსა ბედასა...“ 1—232 გვ.
წყდებდა: „სრულად შესევა ერთპირობით მუყუროსა ხელ...ით[ა],
დევმაცა ქნა ამ წესითა, ყოვლი კაცი ამას კვირა“...

შენიშვნა: ხელნაწერს მოეპოვება მინაწერები შემდეგ გვერდებზე: 11, 13, 14, 16,
17, 20, 28, 65, 94, 103, 127—129, 151, 153, 156—184; 177, 188, 196, 221, 222, 224.

62

ავგაროზი—XIX

გრაგნილი; 326×11; ქალაღი (10 კეფი); მხედრული; [XIX ს.].

„სახელი(!) სახელისათა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა შეეკრავ ავსა
თვალსა და შემიკრავს ყოველი ავი თვალი, ავი ენა, ავი ფიქრი...“

შენიშვნა: ავგაროზი სულ 8 ლოცივსაგან შედგება.

63

ასოთ-სამღერელი და სამთვარიო—XIX

25 ფ.; 10,5×8,5; უყდა; ქალაღი; თავ-ბოლო ნაკლული; დაზიანებული (25v გადაღესი-
ლი და აღარ იკითხება); მხედრული; [XIX ს.].

1. [ასოთ-სამღერელი] „...ოდეს საძნელო საქმე გაუ[ა]დვილდეს და მწუხარება განუქარდეს, სანანელი არს, ჩხუბს გარდაეიდოს რასმე. გ. თუ შუბლი ემღერებოდეს, სიდიდე (?) მიეცეს და გამზიარულდეს...“ 1r—17v.

2. „მთვარის შეტყობა, პირველთაგან ოცდა ათამდის რაცა მონდება.—მთვარესა ერთსა, მთვარის წინა დღეს კეთილია ყოველიფერი, ადამ დაიბადა. კეთილია დარგვა, თესვა...“ 18r—25v.

წყდება: „...მთვარის თუთხმეტს კეთილია ყოველმსფერი, რომელიც დაიბადოს, ძრიელი გამოვიდეს. ავანტყოფი მორჩეს...“

64

აგბაროზი—XIX

ერთი მთლიანი ფ.ელი (გამოყოფილია 48 წრედ); 43×33,8; ქალაქი (დაკეცილია წინის მსგავსად, მოთავსებულია ჩითის საცავში); დაზიანებული (ადგილ-ადგილ ძნელად იკითხება); მხედრული; [XIX ს.]; მოუპოვება 2 ილუსტრაცია.

[ავგაროზი]: „სახარება [იონანის], თავი პირველი.—პირველთაგან იყო...“ (სხვა წრეებში წმინდანთა და მოწამეთადმი ვედრებაა. მვედრებელი ზოგჯერ დასახელებულია: მერება გუგუნავა).

65

კრებული—1848, 1851, 1872

505 ფ. (1010 გვ.); 34×20,7; ქალაქი; ტილოგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული (სხვადასხვა ხელით); 1848 წ. (238 გვ.), 1851 წ. (496 გვ.), 1872 წ. (996 გვ.); გადამწერი—გიორგი ჩაჩიკოვი (238 გვ.); ნიკოლოზ ჩაჩიკოვი (496 გვ.); დაუწერელია: ფ. ფ.: 341—349; 377 გვ. 1002—1010 გვ.

1. „დაიწყების წიგნი ესე ამო და ტკბილი, რომელსა ეწოდებინ ჩარდავი-რი შიანი. დავრიშთ ამბავი და დიდის კელმწიფის კოსტანტინოპოლის დამპყრობელისა-და ძლიერისა.—იყო ხელმწიფე ერთი კოსტანტინოპოლის შინა, მორკმული და გამდიდრებული, ყოველსა ქვეყანასა სახელგანთკმული, არა იყო გულსა მისსა შექიერება...“ 1—238 გვ.

2. [სულხან-საბა ორბელიანი]: „წიგნი სიბრძნე სიცრუის ანბავი.—იყო ხემწიფე ერთი, რომლისა საქმენი არავისგან მოიგონებინ, რომლისა სიკეთისა და სიქველსაგან ეგოდენი მოწყალეობა შეაკრიბნა გულსა მისსა, რომე ზღვას ათასის თავით და[ა]გუბებდა...“ 238—340 გვ.

შენიშვნა: დედანს ჰკლებია, ბარვეზების შესავსებად ნუსხაში ადგილებია გაშვებული.

3. „რუსუდანიანი“: „იყო ქვეყანასა ზმირინისასა დიდებული და სახელგანთკმული, რომლისა სახელი ერქვა აფთიმიანე და ჰყვანდა მას ათორმეტი ძე სახელგანთკმული და ხემწიფეთათაგან(!) მიჩნეულ. და ჰყვანდათ ერთი მზის მგზავსი [და]

და სახელი მისი რუსუდან, რომლისა ანბაგი გაითქვ[ა] ყოველსა ქვეყანასა, მისი სიმშვენიერობისა. და მივიდოდინ კემწიფეთათა(!) დაღებულნი სათხოვნელად მეფეთა ძეთათვის და არა ინებებდა აფეთვიმიანე(!) და იტყოდის: ერთი ასული მივის და უსიკვდილოთ არავის მივსცემო, და წარვიდინ მოციქულნი, ათორმეტისა კელმწიფისა კაცი.—ჟამსა რომელსამე ქვეყანასა იამანეთისასა იყო ხემწიფე ერთი მდიდარი და ძლიერი...“ 350—996 გვ.

შენიშვნა: დართული აქვს სხვადასხვა ლექსები: ა. „გული სწრაფოფს მენს ხილვას, დრო არ მამქვეს ნებას...“ (998 გვ.); ბ. „ვულასპისაგან თქმული, ინდოეთის ხემწიფისა აღვასტიანოი(?) სწერია.—ქრთამით პატრონის გავირვა ყმათაგან თქმულა აროსა (999 გვ.); გ. „გამიფრინდა სიხარულის მფრინველი ნეილიმ...“ (1000—1001 გვ.)

ანდერძი გადამწერისა: ა. „განსრულდა წიგნი ესე დიდის კოსტანტინუპოლის კელმწიფისა და ოთხის დავრიშის ამბაგი, ამო სასმენელი. გიორგი ჩაჩიკოვის კელითა. ღთმა მშვიდობაში მოახმაროს პატრონსა და ბედნიერებაში, წელსა ჩყმმ-სა, ენკენისთვის კე-სა“ (238 გვ.); ბ. „დასრულდა პირველი კარი რუსუდანიანისა, ხემწიფე ზაგის ანბაგი, უცხო და ამო სასმენელი მშვენიერის და ფალავანისა ზაგ ხემწიფე ჩინეთისა, ახნაური ნიკოლოზ ქაიხოსროს-მისა ჩაჩიკოვის ხელითა, წელსა 1851, იანვრის 18 დღესა“ (496 გვ.); გ. „სრულ იქმნა ძალითა მღვთისათა ახნაური ნიკოლოზ ქაიხოსროს-მე ჩაჩიკოვისათა ესე რუსუდანიანი. მკითხველსო ამა წიგნისანო, თუ რაიმე შეცდენა ნახოთ, ნუ მწყვეთ. სრულ იქმნა 1872 წელსა და მარტისა 2 დღესა“ (996 გვ.); დ. „...ესე ჩარადავრიმიანი, სიბრძნე სიცრუე და რუსუდანიანი ეკუთვნის. და არს პრაპორშკი ახნაური ნიკოლოზ ქაიხოსროს-მე ჩაჩიკოვისა. ვინცა წაიკითხოთ, ცოცხალს ვიყო, დღეგრძელობა მითხარით, და მკვდარი ვიყო, შენდობა მიბძანეთ“ (997 გვ.).

66

შოთა რუსთაველი: ვეფხისტყაოსანი—1832

134 ფ.; 31,3X19,2; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1832 წ. (134r); გადამწერი—კენინა ნინო ამილახვაროვისა (134r); 121r-ზე ყოფილა დაწებებული სურათი; მინაწერი—134r.

„ამა აპზისა დასაწყისი პირველი, აამო სასმე[ნ]ლად, მშვენიერი სწავლი-სათვს მოზაირეთასა, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ისტორია, რომელსა ვეფხისტყაოსნობით უხმობენ.—რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერიითა...“ 2r—134v.

შენიშვნა: ვეფხისტყაოსანი ვრცელი რედაქციისა.

ანდერძი: „აღწერი მე თავადის ნიკოლოზ ამილახვაროვის კენინა ნინო მ. დასრულდა თვესა მაისსა ა. დღესა, წელსა ჩყლბ“ (134r).

67

ანტონ I: მზამეტყველება—XIX

330 ფ. (660 გვ.); 34,1X21,5; ქალაღი; ტყავგადაკრული ზის ყდა; მხედრულ (სათაურები სინგურით); [XIX ს.]; დაწერილია: გვ. გვ. 56, 78, 190, 219, 656—66.

„წიგნი, რომელსა ეწოდების მზამეტყუტლება, აღწერილი ანტონის მიერ ქართველთა სამეფოსა ქალაქის მცხეთისა და სრულიად საქართველოსა მთა-

ვერ] ეპისკოპოსისა დავითიანისა, ნისტორიანთა ბოროტისა წულებისა დასარღვე-
ველად. წიგნი 1.—ნანდვილ(!) ქადაკთა მას ქეშმარიტებისათა სამლუდლოთა
მწყემსთა კმა საყოფელ არს საღმთოთა განგებულებისა საიდუმლოთა ქადაგე-
ბა...“ 57—644 გვ.

შენიშვნა: მზამეტყველებას წინ ერთვის: ა. „წინასიტყუელა (!) წიგნისა მზამეტყუ-
ულტებისა, რომლითაცა გამოთქმელი ღმრისა ქრთქელაობს(!) წიგნისა ამას ყრმათადმი
აღჯუსაღლისა(!) წმიდისა ეკლესიათა.—არა მრავლისა წლისანი არიან ბრძენნი, არცა
მოხუცებულთა უწყიან სასჯელი...“ (1—5 გვ.); ბ. დამოწმებულ წყაროთა ნუსხა (5—7 გვ.);
გ. „ზანდუი“ (ორი წიგნისა თავების მიხედვით, 9—11 გვ.); დ. „ზანდუი მესამისა
წიგნისა თითოეულთა რიცხულთა“ (ანბანის რიგზე — 12-54 გვ.).

ბოლოში ერთვის: ა. „ერგასეულნი ანტონი სრულად საქართველოსა მამათ მთავა-
რისა დავითიანისა(!) ხუთქაქეპიანი დასადებელნი, კმა დ. უწყება მანანა.—ერთი არს ზესთა
დაუსაბამო კეთილ ზესთათლოვანი ერთობა სამპირებით...“ (645—651 გვ.); ბ. „თქმული
ტიმოთეს მიმართ (ჟ. ი. მიერ) ყოვლად სამლუდლოსა სამთავროსა და გურიასა (ჟ. ი.
გორისა) მიტრაპოლიტი[ს] ანტონი მამათ-მთავარსა (ჟ. ი. მამათ-მთავრისა) ვითარები-
სათვის“ (ტიმოთეს შეფასება ანტონის მზამეტყველებისა—652-655 გვ.).

ანდერძი: წმ 695—704 წარმოადგენს ავტორის ანდერძს, რომელიც გამოქვეყნე-
ბულია ამ თხზულების გამოცემაში: „მზამეტყველება, ქმნილი ანტონი I საქართველოს
კათოლიკოსისაგან, პ. კარბელოვის რედაქტორებით“, თბილისი 1892, (602—625 გვ.).

68

ფლორინოვი: ეკონომია—XVIII

04+451 გვ; 34X20,5; ქალღი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული (სხვადასხვა
ხელით); [XVIII ს.]; მთარგმნელი—სვიმონ მაკაცარიძე (427 გვ.); დაუწერელია: გვ. გვ.
74, 116, 117, 119, 271.

„ფლორინოვის იეკონომია, რომელ არს კეთილ-მოსახლეობა. თავი ა. სა-
სახლის აღშენებაზე, ანუ რაგვარად მოხაზულება ექმნების.—მნდომელთა(!) გუ-
ლისხმებრობით აღშენებისასა მართებს პირველად მგარი მოხაზულება და-
სდეა...“ 5—426 გვ.

შენიშვნა: თხზულებას წინ უძღვის: ა. თავფურცელი: -ჯილორინოვის იეკონომია
არანგულითგან თარგმნილი და დაბეჭდილი რუსულს ენაზედ ბრძანებითა მისის იმპე-
რატორობის დიდებულების, ყოვლად მოწყალის დიდის ხელმწიფის ანნა იოვანეს ასუ-
ლის თვითმპროვლისა სრულიად რუსეთისა, პეტრებურხს, სახელმწიფოსა ამის აკადე-
მის მასწავლელთაგან წელსა 1738“ (1 გვ.); ბ. [წინასიტყვეობა] ფრანგულიდან რუსუ-
ლად მთარგმნელებისა „აკადემიის სასწავლოს მდივნის ვოლკოვის“ ხელმოწერით
(1—4 გვ.).

ბოლოში ერთვის „ზანდუი“ (430—438 გვ.).

ეკონომია შედგება 9 „წიგნისაგან“; სამკურნალო ნაწილში აშვიებზე და თავისუ-
ფალ ადგილებზე (წიგნის თავსა და ბოლოსაც აგრეთვე) განსხვავებული ხელით მიწერი-
ლია შემადებთა სხვადასხვა წამლისა.

ანდერძი: ა. „საქართველოს მეფის ბაქარის ბრძანებითა გადმოითარგმნა რუსუ-
ლისაგან ქართულად წიგნი ესე იეკონომია, რომელ არს მოსახლეობა, უმცირესისა მათის.
სიმაღლის მონისა კელითა სვიმონ მაკაცარიძისაგან. განსრულდა, დიდება დმერთსა, წელს-
სა დასაბამითგან კსნვ, ქორანიკონს ულვ, ქრისტეს აქეთ ჩღმმ, დეკემბერსა ი“—427 გვ.)

ბ. „ქართველთ მეფისა ბრძანებით, სახელად ბაქარისადა.

მთარგმნილი წიგნი რუსულით ქართულად აქ არისადა,
იკონომია, რომელ არს მოსახლეობა რისადა,
ხელითა მცირეს მონისათ სვიმონ მაკაცარისადა“ (427 გვ.).

დავით უძლეველი: წიგნი საზღვართა—XVIII

146 ფ.; 15×10,5; ქალაღი; ტყავადკრული ტვიფრული ხის ყდა; სრული; მხედრული (სათურები სინგურით, დასაწყისი ასომთავრულით); [XVIII ს.]; მთარგმნელები—ფილიპე [ყაით-მაზაშვილი] და დოსითეოს ნეკრესელი (139—140r); დაუწერელია; 1—2 ფ., 136r-v; 141v—146 v.

„წიგნი საზღვართა და ვითისი უძლეველი ძილოსოფოსისა.—რომელნი ერთგვის ეტრფიან სიტყუთა სიბრძნისათა და მხოლოდ მწუფრულითა თითისათა შეემთხუვან გემებად და მის სიტკბოსა გამო ყოველთა საცხოვრებელთა სოფლისა ამის ზრუნუთა—იყავნ მშველობით, ეტყვნა...“ 3—135 v.

წიგნი შენა: ბოლოს ერთვის ცნობა: „მყოფთა ყოველთაო, თუ აღძრვიტ ჰსურისთ უუკეთილესისადმი აღტრფობად, იტყვის ამწონის ერთისელი. და ესე აღძრვიტ სურვება არს დადებულ უფროსად მგრძნობელ სიტყვიერ მოკუდავსა შორის. ამისთვის ვინათგან სიტყვიერ მოკუდავი იგი განმგონებელ არს, ყოველი განმგონებელი განმმსგებელ და განმმრჩეველიც არს და განმმსგებლისა და განრჩეულსა შეტრფობის, რამეთუ განრჩეული შეტრფობად არა არს უუკეთილესისადმი. მაშასადამე, კაცისა შორის აღძრვიტ სურვება უუკეთილესისადმი უფროსად დადებულ არს, ხოლო ამის გამო მეფემან და კაცმან საკურულმან, ძემან საქართულოს ცხებულის მეფის თემიურაზისამან და თუ მეფემან კანთამან ირაკლი სახელიდმან აღსაპნთირა დიანჯასა შორის თუსსა, სურვილი უუკეთილესისადმი საკმალეგრ სამთა ყურმათასა და დამგზებულმან ამის ცეცლისამან მზადნა ნივთიცა შვიდწილ საძლიერონი აღთანი, არანძეძ-ნანსლევ-ფისები, არამედ სიტყუა გონება მქონე ნივთები. და ვითარ თუს გონებისა შორის ეგ სახედ დამგზებელიქმნა სურვილისა უუკეთილესისადმი შეტრფობად მათ სულის ძალთა შორისცა განმკნობის მიერ და მერმე სიბრძნით უმზადა ამთ ნივთთა მექონე საგზნოსა და მეცნი ბერვისაცა, რათა სადადა სადათი გარდმოდებთა საკურმცხელისათა დიდ რადმე საკმილ ქმნამცა და მოიყუანა მღუდელი ვინმე ჰარმანთა, სახელით ძილისაჲ, ჰარმანთავე გუარისა, ფრიად გონება ვრცელ, მაღალი და კეთილ-მეცნი პლატონურთა, არისტოტელ და პითალოზებრთა სიბრძნის-მეტყულებათა ჰარმანულითა ენითა. ხოლო ესე ძილისაჲ იყო თემისაგან ქართუშლთასა, ტომისაგან აზნაურთასა, და ამისთვის ქართუშლთა ენისა ქცევისაცა ფრიად მეცნიერ იყო, რომელ ჰარმანთა ენათა თხზვასა ესრეთ გარდმოთხვედა ქართუშლთ ენასა ზედა, ვითარ მის შორის ბრუნუაჲ, ჰართულებად და სახელზნათ თიებათ წყობილებად, რამეთუ ესე მაღალ არს თარგმანთა მეცნობასა შორის. ხოლო ესე ვითარი უმზად შთამბერველი ორღანთა მათ კმისა გამოსაცემელად და ესე ვითარი ორღანონი შემწყნარებელნი შთაბერვისა მის და კეთილ მაკმოვანებელნი. ესრეთნი მზადნა ნივთები სასურისანი აღძრვიტ სურვილმან აღსულად უუკეთილესისადმი საკვირულისა კაცისა მეფისა ირაკლისამან. ხოლო კაც-საკურულმობა ესე ამისთვის დაკრთევ, რამეთუ ფრიადსა იწროებასა შინა აღირჩია არა საკმარი იწროებისა, პირველად საკმარი გონებისა და ნანდვილ საჭიროცა, ვინათგან არა ეგების გაგონებათ თნიორ სიტყვიერებისა და ესე ორღანო სიტყვიერებისა, რომლისა გულების აღორძინებად, და თუ ორღანო სიტყვიერებისა, მაშა ნანდვილ საჭიროცა და რამეთუ ფრიად შეიყუარა და ეტრფილა და ინება სძლად მოყუანება მისი. ხოლო ვინათგან შეიყუარა თუთ იგი ალაგთა მისთა, ეცნა მას ამის გამო, ვითარმედ პითალოზ ესრეთ განსაზღვრებს სიბრძნესა, სიბრძნის-მოყუარება არსო სოყუარული სიბრძნისა, ვინათგან ესრეთ განისაზღვრა სიბრძნე, ყოველი მოყუარე სიბრძნისა ბრძენ არს. ირაკლი არს მოყუარე სიბრძნისა, მაშასადამე, ირაკლი არს ბრძენ. და რამეთუ ესე არს პირველ თქმული იგი აღტრფობა უუკეთილესისა მიმართ. და რაჲ ესე ვითარი კეთილი ვინათგან არსადა მოსრულ არს და არცა მომავალ არს კაცთა შორის უუკეთილესი ამისა კეთილი.

აწ უკუტ ესე განიგონა, ესე განსაჯა, ამს ემოწილა, ესე ინება, ამს შეეტრფო და ესე იმოქმედა და შემზადა სხოლა თუსსა პალატსა შინა, სახელსა ზედა წმიდისა მღუდელ-მთავრისა ვასილი კესარიელისათა წელთა მეფობის თუსისათა იღ, დასაბამით-გან წელთა კსაჲ, ქრისტეს აქეთ ჩლნს, თთუსსა ოკლდომბერსა კვ, კსუნებასა დიდისა მოწამისა დიმიტრისასა, დღესა კვირიაკესა, ეჟსა მესამესა იკურთხა ჩემ მიერეჲ მდაბლისა ნეკრესელ ეპისკოპოსისა დოსითეოსისგან, და შეკრიბნა ყრმანი საბრძანებელისა თუსისანი, ხოლო ყრმად ვიტყვი უმცერების ძლით და არა ჰასაკით, რომელნიმე ეპისკოპოსნი, რომელნიმე მღუდელნი და რომელნიმე ახალმოსწავლენი ეკკლესიის მსახურნი და ინება განმრავლებად კეთილმეცნობისა.

იწყო სწავებად ძეთა თუსთა და სხუათა ზემოთქმულთა მოსწავლეთა, რომელთა ინებეს და ეტრფილენენ სიბრძნის-მოყუარებასა, ხოლო შემდგომად ამისსა ესეცა იგულეა და იწაღნიერა, კელყოფა თარგმანებისა. მბრძანებელმან ზემოესხებულისა მის კეთილმეცნისა ფილოსოფოსისა ფილიპესმან მიბრძანა მეცა მდაბალსა ეპისკოპოსსა ნეკრესისსა და დოსითეოსს, თან-მესხოლესა პირველთა მესხოლეთასა, თანამწყობა თარგმანებისა შორის კეთილ-წყობითა ლექსითა ქართულთამებრ ენისა კანონისათა, ვინათგან მეცა მეწრბნეს ნამნი ქართულთა ენისა ძუძულთა წერილთანი და მწერლობითაცა. აწ უკუტ ვინათგან დამწყვე ვიუტნით მეფე და მესხოლენი სიბრძნის-მოყუარების ორძილსა ორნატთა შორის გულსათა, ამის ძლით პირველად კელ-ვეყავით გარდმოვლებად სიბრძნის-მოყუარების არსების ამტკიცისა ამას წიგნსა, რომელსა ეწოდების წიგნი სახლურათა, რომელი ძულთაგან გადმოკეთებულ იყო ჰარმანულთა ენასა ზედა, დავით უძლვევლისა ფილოსოფოსისა მიერ ჰარმანისა, და გარდმოვთხზევით ენათა ზედა ქართულთასა, ხოლო ყოველთა მეცნიერმან ზენამ სიბრძნემ უწყის, ვითარმედ ფრიადი ლუაწლი დასდუა მღუდელმან ფილიპემ და მეცა თან-მოლუაწე და თან-ტკივილით მოყუარე ვიქმენ და დავაწყევით ქართულთა ენისა კანონთა ზედა მითვე წყობილებითა, ვითარცა იუწყუნეს ჰარმანულისა შორის და არა მოვაქციეთ ზე ქუძმო და არცა წინა უკომ. ხოლო ლექსთა ჰრთულებაცა ვიტკვილ-მოყუარეთ მითვე ჰრთულობითა გარდმოვლებად და ძნად სადამე იპოების ჰრთულთა შერყევა. ოუ სადამე იპოების ჰრთული შერყეული, ამის გამო იქმნა, რამეთუ ჰარმანული ლექსის ჰრთულობა ქართულთა ენაზედ ჰრთულად არ მოვიდის და ძალსაცა ძლიდის, ხოლო ძაოს აუშლედობისათეს ზოგი რომელიმე ჰრთული ბრუნვილად შეგზადით და დავსდვით. ამგჳარ უჩინოცა ზნა ძვილ და მძიმედ გარდმოვიდის ქართულად, ამისთეს ბრუნვლ ვცვით, ანუ პიროვან, ანუ ვავითარიოთ რომელიმე უჩინო და ესრეთ დავსდვით. ამათსა გარეშე არასადა იპოების შლილობა და ცუხალება ლექსთა, და ესეცა ამისთეს ცვაეთ, რამეთუ უშუბრ წყობისა მიერ სიტყუა ნაქუსა აღარ ეგებოდა და თარგმანთა რიტორკელოვნებაცა მიიფარებოდა. ხოლო ძალ გუძლუა ზე-ქუძ ქვეყა ლექსთა და ნარნარ წყობაცა და რიტორებრ დაქუსუცა თუნიერ ძალთა აშლისა და არა ვინებეთ, არცა თარგმანმან ფილიპემ და არცა თან-მშრომელმან მისმან დოსითეოს, პირველის ამისთეს რამეთუ არა აკლდა რიტორულ რკბილ ნარნარ თხზუა და წყობილობა დედანსა და მეორედ ამისთეს უჯამოს პატივის მძიებელნი არ შევიქმნენით. ხოლო ლექსს და თხზუას ჩუენ არა ცულას დაუწყებდით და სხუაგჳარ დავსთხზევდით, პირველის მუშაკის საკუთრობა ნაქუსა დაიკუნებოდა და ჩუენად მძლავრ საკუთრობა ნიოხისა მოიხილოდა. ამისათეს არა ვინებეთ ესე, რამეთუ არა შეუდგს ქემშარიტებასა.

აწ უკუტ თქცა გადამწერულნი გვევდრებით, ამითვე ნაქუსთა სწერდეთ, ნუ ჰყოფთ შლასა ლექსთ-ქსუათ წყობილობისასა და ნუ იქმნებთ მძლავრ-მიმზუტკელ უჯამოს პატივისა, რათა ქემშარიტებისა მიერ ზესთა-ქემშარიტება და იდებულ იქმნას და მან ზესთა-ქემშარიტებამან აღტრფოდა უუცეთილესისადმი მეფისა ირაკლისი აორძილოს აწ და მერმე და შემდგომითი შემდგომად“ (137r-140v).

ალაპიტ დიაკონი: სამეფო ქარტა ანუ ტომარი—1782

43 ფ.; 18×14; ქაღალდი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (თაფურ-ცელი და სათურები ასომთავრულით); 1782 წ. (42 v); გადაწვერი—ონიკაძეძე ნიკოლაოს (42 v); დაუწერელია: 1v; 7r-v; 43r-v.

„სამეფო ტომარი. უსამღოდლოესსა და უკეთილმსახურესსა მეფესა ჩნსა იმპერატორსა იუსტინიანეს ალაპიტ უმცირესი დიაკონი კრძალულებით უძღვნი შრომასა ამას. თავი ა. ღმერთი არს ყოველთა მეფობათა შემოქმედი, ძყოფი უმაღლესსა ღირსებასა შინა.—გი იმპერატორო, უმაღლეს ყოველთა ღირსებათა აღვიყუნა შენ ღმერთმან...“ 8r—40v.

წინაშენა: ა. წინ უძღვის თაფურცელი: „სამეფო ქარტა, ანუ ტომარი, შირთმულა ბერძნის იმპერატორის იუსტინიანესადმი ალაპიტ, კონსტანტინუპოლის სოფია წმინდის ეკლესიის დიაკონისა მიერ. სასარგებლოთა სხოლიებრითა სოფლ-ქმნილი და გარდმოღებული რუსულითა ქართულსა ენასა ზედა არხიდიაკონისა გაიოსის მიერ, წელსა 1776, მოსკოვს“ (1r).

ბ. „უმაღლესსა და უდიდებულესსა კეთილმსახურსა კელმწიფესა მეფესა ირაკლის, მპყრობელსა ყოვლისა ზემოასა საქართუქლოასასა, უფრონებრესი მოხსენება.— უფროწყალესო კელმწიფეო, სრულებით ზედმიწევნამან სიბრძნის-მოყურებისა თქნისამან და გულსმოდგინებით გამოძიებლობამან ყოვლისა მეცნიერებისა და უფროსდა კელმწიფობითისა განმგებლობისამან და პოვნამან საღმრთოსა ამის წიგნისამან და ყოველად შეწიერისა ჰაზრისა მისისა გემებამან ვერ სათმენ ჰყო ჩემ შორის თანამდებობითისა მსახურებისა მიცილებეა, ვინათგან თანამდებობაა ესე უზედამკლებს ყოვლისა კეთილმოქმედებისა, რათა ყოველი წესი თქნისამებრ ძალისა მარად მეცადინობდეს მსახურებად მამულისადმი აა, ვინათგან ესე ესეობდა, ამისთჳ ვიკადნიერე მორთმად თქნისადმი სიმაღლისა თარგმნილი ჩემ მიერ, რომლისაცა მოქმედსა უმზაკიეს სიმოკლესა შინა ჩუწნებეა სრულიადისა ქენებრისა კელმწიფებისა კანონთა და შეუმჯავს ძერფასითა ქუტბითა დიადიმაჲ მონარხოზისა, გარნა მე უმწუტრულესად ბედნიერობად შევრაცხ, უკეთუ შრომაა ესე ჩემი მფარულობასა ქუტბე თქნისა სიმაღლისასა მიღებად ღირს იქმნების.“

და ამას თანა მსურს მამეულობითთა ერთგულობითა, რათა უმაღლესმან და ყოველად ძლევიან ძალმან განძღვიეროს სკიპტრა მეფობისა თქნისა და აღსკუროს მკლავი თქნი ძლევად მტერთა ბედნიერობისა თქნისათა და დავიცუასთ უვნებელსა დღეთა სიგრძესა შინა უმაღლესითა საზღუდლითა.

და რათა მანუტ ყოვლად ძლიერმან მარჯუწმენმან ჰყოს უწმიდესისა ძმისა თქნისა პატრიარხისა მეფის ძის ნატონისა ნაცუალი მის მიერ ჩემ გლახაკისა შორის დადებულისა ტალანტისათჳ ათასეულად და ასეულად წელთა სიგრძესა შინა, და მე მლოცუქლად თქნდა მამყოფოს საუკუნოდ. უმოწყალესო კელმწიფეო, თქნის მეფობის დიდებულებისა უკანასკნელი მონა და მლოცუქლი გაიოს“ (2r—4v); გ. „მოწმობა წიგნისა ამის და აღმწერლისა მისისა სხუათა და სხუათაგან მწერალთა“ (ცნობები დამოწმებული ავტოროების შესახებ— 5r—6v).

ბოლოში ერთვის [გაიოსის ლოცვა მეფის ირაკლისა და მისი საზღუდლობისათვის]: „ვინათგან ნაცულად კეთილისა საქმისა ჩნისა და უიკუტუქლისათჳ ღისადმი სარწმუნოებისა ჩნისა აღთქმულ არს ჩნდა სასუფეველი ზეცათა ქრისტეს მიერ სოფლის მაცხოვრისა, რომლსადცა ალაპიტ დასასრულსა ამის წიგნისასა ილოცავს დაცუასათჳ მშუდობითა შინა ცხოვრებასა მონარხისა და მფუღლისა მისისასა, ვგრეთჳტ ჩნცა მართლმადიდებელთა მულთა

საქართველოსათა აღუაღლინოთ გულსმოდგინებითი ლოკუაჲ მისუჲ დაუსაბამოსადმი სიტყჳსა ღისა, რათა ცხოვრებჲჲ კეთილმსახურისა კელმწიფისა ჩნისა მეფისა ირაკლისა ყოვლისა საქართველოსა და მეფლისა მისისა კეთილმორწმუნისა დედოფლის დარეჯანისა დადიანის ასულისა და ძეთა და ასულთა მათთა სიმრთელესა და ბედნიერობასა შინა დაიკუჳს მრავალსა წელსა და რათა შეზღუდოს სამეფო მათი მშველობითა და მყუდროებითა და დაუმორჩილოს ჯუჳართა შემოსილსა საქურულსა საქართველოსასა ქრისტეს მოძულენი ერნი აგარიანნი, უსამართლოდ აღმდგარნი ჩნ ზედა. შეისმინე ღმერთო ვედრებჲჲ ჩნი, აღმაღლე ოქა მართლმადიდებელთა საყურელთა შენთა ქვენთა, აღსდგე შეწევნად ჩნდა და გარდამოავლინე წყალობაჲ შენი მორწმუნეთა შენთა ზედა ქართულთა და შემუსრენ მბრძოლნი მათნი კურთხეულითა საკურულითა მარჯუმინისა კელისა შენისათა, განათავისუფლენ უღელსა ქუჲშე აგარიანთასა მკუნესარენი მართლმადიდებელისა ქართულთა ეკლესიისა შულნი. დაიცვე ეკლესიაჲ ჩნი შეურყეველად და მმართველი ეკლესიისა ჩნისა თავი და კლი მწყემს-მთავარი პატრიარხი მეფის ძე ანტონი. შესკურე წელთა სიგრიძთა სიბერესა შინა დღეთასა, ადიდე მორწმუნე შენი მეფე ირაკლი და მკლავითა მისითა დაეც ამპარტყეანნი და ქრისტეს მოძულენი მტერნი ჩნნი და ჩნ ყოველნი წილხდომილნი ერნი უთესლოდ მშობელისა დედისა შენისანი მყუდროებითა და მშველიბითა აღგუაესენ, გაიოს“ (40v—42r).

ანდერძი (გადამწერისა): „ბრწყინუალეო, მიირთუ შრომილი ესე ჩემ მიერ ყოვლად ლირსისა ვისკანმე, არა თუ ნიეთ რამე ყოფისათჳს, არამედ ნიშნად შენისა და ჩემისა ერთებრისა სიყუარულისა და განუწყუღდელისათჳს ერთგულებისა და დაჰსდევ ესე ბიბლიოტიკასა შინა შენსა და ამით უკუჲჲ ჰყოფდე დაუვიწყებლობასა ჩემ უმონებრესისასჲ. სრულ იქმნა 1782, 8, VIII, ონიკაჲსდე ნიკოლაოს“ (42 v).

71

შახტანბ VI: სამართლის წიგნი—XVIII

108 ფ.; 21X17; მოლურჯო ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; სრული: მხედრული (სათაურები სინგურით); XVIII ს. (კვირნიშანი 1790); დაუწერელია 96v—98v.

„სამართალი პირველი, შესავალი, ბატონისშვილის ვახტანგის ნაბრძანები.—მყოფისა უმამყოფისა(!), არსისა და უარსისა და მაარსისა მქები, არა თუ ღირსად, არამედ შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და შმონებელი და უღებად მქონე, მპონელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დლითი დლე მრეველნი კელთა თჳსთა მარგარიტთა შინა ჰპოებენ მძიეთა-ართამე და უხილველობისათვის აღიღებენ და შთაჰსდებენ...“ 2r—96r.

შენიშვნა: ა. წინ უძღვის სამსტროფიანი ლექსი, რომელშიაც იხსენიება ბრწყინვალე ამილახვარი და სპასალარი ქართლისა (1v); ბ. ბოლოში ერთვის ანბანზე განლაგებული სძიებელი (99r—108v).

72

როსტომიანი—XIX

267 ფ. (534 გვ.); 31,5X20; ქაღალდი; მუყაოს ყდა; დაშლილი, ბოლონაკლული; მხედრული (სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით); ზოგიერთი თავის დასაწყისი შემკულია ფერადებით შესრულებული თავკახმულობით; XIX ს. (კვირნიშანი 1833).

„ქარი პირველი, დასაწყისი როსტომთა. თავი ეს არი პირველი, მანუჩარ კელმწიფისა და სამ ფალავნისა. ძლიერო მეუფეო, ნუ მიმხდი პატივსა ამაოდ შრომისა ზოპარსა ზედაჲ.“

ჭი შემოქმედო ნუ წარმწყმედ, სახმილთა დამხსენა ლია, თავი ეს არის როსტომთა, ბოლომდი ლექს მრავალია...“ 1—533 გვ.

წყდება: „...წავიდა, თავი სავსე აქს სიყმაწვილისა ქართია. აქა ქაიხოს-ჯოვისაგან შედას ომი და მოკვლა შედასი“....

73

ივანე გიორგისში ამილახვარი: ლექსთა კრებული—1844

86 ფ. (171 გვ.); 21,1×17,3; ქალღი; მუყაოს ყდა; ნაკლული (89 გვ. შემდეგ აკლია 2 ფ.: 119 გვ. შემდეგ—4 ფ.); დაზიანებული (ფ. 44—გახეულია შუაზე); დალაქიანებული; მხედრული 1844 წ. (171 გვ.); ავტოგრაფი; ადგილი—პეტერბურგი (171 გვ.).

„შეკრება ლექსთა. [1]. „მოგიძღვნი უბრალოს ლექსთა, ნათქვამთა მცირე-სა ჩემთა! (ეპიგრამი). მის უგანათლებულესობას სრულიად საქართველოს მეფის სძალს ელენა ოთაროვნას, სარდარ ამილახვრის ასულს.—ღეთისაო მსგავსო კელმწიფეჲ, საქართველოსა მხარისა...“ (ქ. პეტერლოქს 1841-სა წელსა; ეს ლექსი მიძღვნილია მამიდისადმი) 1—171 გვ.

შენიშვნა: გარდა ამ პირველი ლექსისა კრებულში მოთავსებულია 70 ლექსი:

2. „სამი ვარსკვლავი“ (ქ. პეტერლოქს, 1843-ს წელსა. 8—9 გვ.);
3. „შეუბრალებელთან“ (ქ. ცარსკი სელოს, 1842-ს წელსა. 10—11 გვ.);
4. „მიწრა მ...ნ“ (ქ. პავლოვსკას. 1842-ს წელსა. 14 გვ.);
5. „მ...ნ“ (ქ. პავლოვსკას. 1842-ს წელსა. 15—16 გვ.);
6. „მ...ნ“ (კრასნი სელოს, ლაგირს. 1842-ს წელსა. 23—26 გვ.);
7. „ძეგლი“ (ს-პეტერბურლს. 1842-სა წელსა. 27—29 გვ.);
8. „თავ. ალექსანდრე ბაგრატიის ძეს ბაგრატიონს დაბადების დღეს“ (ს-პეტერბურლს. 1843-სა წელსა. 30 გვ.);
9. „მზიარული დროჲ“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 31—32 გვ.);
10. „მე დავსდევდი ჩემსა ბედსა“ (ს-პეტერბურლს. 1842-სა წელსა. 33 გვ.);
11. „ნუ იდიღურებ გვართთა“ (ს-პეტერბურლს. 1842-სა წელსა. 34 გვ.);
12. „მოლოდინება მეფისა“ (ს-პეტერბურლს. 1842-სა წელსა. 35—37 გვ.);
13. „რისთვის ღვთებრი ზარიტი(?) მასხედ ყვაოდა შევნება...“ (ს-პეტერბურლს. 1842-ს წელსა. გვ. 38);
14. „ნახე ლ...“ (ს-პეტერბურლს. 1842-სა წელსა. 39—40 გვ.);
15. „იუ...ნ“ (ს-პეტერბურლს. 1842-სა წელსა. 41-44 გვ.);
16. „მ...ნ“ (ქ. მოსკოვს. 1840-სა წელსა. 45—46 გვ.);
17. „სიყვარული ტუსალისა“ (რაჯოკს, სტეკლიანნი ზაფოდს. 1841-ს წელსა 47—48 გვ.);
18. „გამოთხოვებითი კოცნაჲ“ (ქ. პეტერლოქს. 1842-სა წელსა. 49 გვ.);
19. „სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძედ(!) ზუმრობა სოფიო ნემენცის კალხედ მიწერილი“ (ს-პეტერბურლს, ვასილის ოსტროვს, 1842, 8, IX. 50 გვ.);
20. „გოდომარეობა“ (ქ. პეტერლოქს. 1842-სა წელსა. 51 გვ.);
21. „გლორიაის შესხმა X წ. IV“, მიუძღვნი N-ს“ (ქ. ზარკოვს. 1839-ს წელსა. 52—53 გვ.);
22. „სატრფოსთან“ (ს-პეტერბურლს. 1840-სა წელსა. 54 გვ.);
23. „მშენიერთან“ (ს-პეტერბურლს. 1840-ს წელსა. 55 გვ.);

24. „იაჲ“ (მანევრაში ს-კაპორიას. 1843-სა წელსა. 56 გვ.);
25. „სიმღერა“ (სტეკლიანნი ზავოდს. 1842-ს წელსა. 57—58 გვ.);
26. „პაოლოლი“ (ქ-ს პეტერლოფს. 1842-სა წელსა. 59 გვ.);
27. „კრუ და ლამაზი“ (ქ-ს პეტერლოფს. 1842-ს წელსა. 60 გვ.);
28. „მ...ნ“ (ქ. სტაეროპოლს. 1839-ს წელსა. 61 გვ.);
29. „სინარული“ (ქ-ს პეტერლოფს. 1843-ს წელსა. 62—63 გვ.);
30. „რომი“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 64 გვ.);
31. „რამანი“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 65-66 გვ.);
32. „მოთამაშე დათვი“ (ქ-ს პავლოვსკას. 1842-ს წელსა. 67—70 გვ.);
33. „გამოსვლა ხმაღში“ (ს-პეტერბურლს. 1842-ს წელსა. 71—73 გვ.);
34. „პნ“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 74—75 გვ.);
35. „მიცვალებული მშენიერი“ (ს-პეტერბურლს. 1842-ს წელსა. 76—77 გვ.);
36. „მაჯლაჯუნას“ (ქ-ს პეტერლოფს. 1843-ს წელსა. 78—81 გვ.);
37. „ელელია“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 83-84 გვ.);
38. „ხლომსთან. გორაცია შესხმა XXIII წიგნი 1“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 85—86 გვ.);
39. „ს-თან“ (მანევრის დროს ს. კაპორიას. 1843-ს წელსა. 87 გვ.);
40. „ეპიტაქიისადმი“ (ს-პეტერბურლს. 1844-სა წელსა. 88 გვ.);
41. „ეპილრამმა“ (ს-პეტერბურლს. 1844-ს წელსა. 89 გვ.);
42. „...რა ჩმხავეს ჩივილს“... (თავნაკლული, კრასნი სელოს ლაგირშიდ. 1843-ს წელსა. 90 გვ.);
43. „ალექსა“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელს. 91 გვ.);
44. „მოთემითი სახსოვარი (ნეტარ ხსენებულის კინა სალომე აბაშიძისა, ზუგრაბ წერეთლის სალოთუხუცისა ასულისა ეამა გარდაცვალებისა მისისა, 1843-სა წელსა“... ს. პეტერბურლს. 1843-სა წელსა. 92—95 გვ.);
45. „სამშობლო“ (ს. პეტერბურლს. 1843-სა წელსა. 96—98 გვ.);
46. „მოძაგება სიმდიდრისა“ (ს-პეტერბურლს. 1843-სა წელსა. 99 გვ.);
47. „უგუნურთა ნიშანი“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 100 გვ.);
48. „საგანსა ზედა სწავლისა“ (ს-პეტერბურლს. 1843-სა წელსა. 101—103 გვ.);
49. „ს...ნ...“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 104—105 გვ.);
50. „წა მამაო ჩვენო ლეჟსად“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 106—107 გვ.);
51. „ღმერთი, თავისუფალ იამბიკოდ შეწყობილი“ (ს-პეტერბურლს. 1843-სა წელსა. 108—114 გვ.);
52. „აქროსტიხი“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 115 გვ.);
53. „ლექსნი ორმუხლედნი“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 116—117 გვ.);
54. „მიწერა გ...“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 118 გვ.);
55. „გამოცანა“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 119 გვ.);
56. „...რა რომ, შემიცხა, მსწრაფლვე მიემართე...“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 120—122 გვ.; თავნაკლული).
57. „მოწოდება ს... ზ...“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 123—124 გვ.);
58. „წიგნი“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 125—126 გვ.);
59. „შესხმა საშინელსა განსჯასა ზედა მეორეს მისჯლისა“ (ს-პეტერბურლს. 1840-სა წელსა. 127—133 გვ.);
60. „მცირე აღწერა სოფლის ბეკისა თუსის ადგილის მდებარეობითურთ“ (ს-პეტერბურლს. 1840-ს წელსა. 134—136 გვ.);
61. „ბაიათი მიყვარხარ“ (ს-პეტერბურლს. 1840-ს წელსა. 137—142 გვ.);
62. „ჩყთ-ს წელსა ამ ხმაზედ იმღეროდენ ქ-ს ტფილისს“ (ს-პეტერბურლს. 1839-ს წელსა. 143—148 გვ.);
63. „მიწერა გ...ნ მის საყვარლის სიკვლელის აღწერისა“ (ს-პეტერბურლს. 1840-ს წელსა. 149—151 გვ.);

64. „მიწერა გ...“ (ს-პეტერბურლს. 1840-ს წელსა. 152 გვ.);
 65. „მიწერა გ...“ (ს. პეტერბურლს. 1840-ს წელსა. 153 გვ.);
 66. მიწერა მ.....დ...“ (ს-პეტერბურლს. 1841-ს წელსა. 154—156 გვ.);
 67. „მიწერა ლ...ს...გ...“ (ს-პეტერბურლს. 1844-ს წელსა. 157—159 გვ.);
 68. „მიწერა გ...ნ...ი...ს...“ (ს-პეტერბურლს. 1842-ს წელსა. 160—161 გვ.);
 69. „ოქრო“ (ს-პეტერბურლს. 1843-ს წელსა. 162—163 გვ.);
 70. „დიდება მღვთისა“ (ს-პეტერბურლს. 1844-სა წელსა. 164—166 გვ.);
 71. „ქება მხისა (დაბრმალის ვინმე მოხუცისა, ოდეს იგი გამოიყვანეს გარე სახ-
 ლისა თვისიგან, რას უთბუნა მზემან)“ (ს-პეტერბურლს. 1844-სა წელსა, თებერვლის 18-სა
 დღესა. 167—171 გვ.).
 ეს კრებული ავტორის ნაწერთა I ნაწილია, ბოლოში სწერია: „დასასრული
 პირველისა ნაწილისა“.

74

საზოგადო გეოგრაფია—XIX

- 241 ფ.; 22X17,5; ქალაღი; მუყაოს ყდა; თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული; [XIX ს.]
 [საზოგადო გეოგრაფია] 4) მგრგული გაყუანილი ჰსწორითა მიმოდა-
 შორებითა ორთავე პოლუსისაგან, იზედწოდების ეკვატორად და განჰყოფს
 ღლობუსსა ჩრდილოეთისა და სამხრეთისა ნახევარსტეროდ...“ 1r—241v.
 წყდებთა „...ფარული ქალაქი. აქა 1829 წელსა შეკრულ იქმნა ზავი შო-
 რის ტურციისა და როსიისა, რომ“...

შენიშვნა: ა. ტექსტი ნასწორებია რედაქციულად, აქვს სქოლიოები; ბ. თარგმნი-
 ლია XIX ს.-ის რუსული საბეჭდმღვანელოდან.

75

ღაბითნი—XVI

- 144 ფ. (288 გვ.); 23X17,5; ქალაღი; ტყავგადაკრული ხის დაზიანებული ყდა (ზედა
 გატეხილია); თავნაკლული; ნუსხური (სათაურები და სტრიქონთა დასაწყისი ასოები სინგურით);
 მოიპოვება 55 მიწათურა; რომლებიც დაწებებულია ხელნაწერის ფ.ფ-ზე; [XVI]; გადამწერი—
 თეორისის წინამძღვარი გერმანოზ (262 გვ.).

[დავითნი] ...მაშინ იტყოდის მათდა მიმართ რისხვთა მისითა და გულის-
 წყრობითა მისითა შეადწუნნეს იგინი, ხოლო მე დავდეგ მეუფეცდ მის მიერ
 ზედა სიონსა, მთასა წმიდასა მისსა...“ (ფს. 2,5) 1—262 გვ.

შენიშვნა: ხელნაწერის ბოლოს არის: ა. „ესე ფსალმუნი თუსაგან აღიწერა, დავი-
 თის მიერ, გარეშე ასერგასის ფსალმუნთასა, რაჟამს ეწყო გოლიათსა.—უმცირეს ვიყავ
 მე ძმათა შორის ჩემთა...“ (გვ. 263); ბ. „გალობად მოსესი გამოსლვათაგან...“
 (263—266 გვ.); გ. „გალობად მოსესი ბ სჯულისაგან“ (266—272 გვ.); დ. ლოცვა ანნაისი,
 დედისა სამოელისი“ (272—273 გვ.); ე. „გალობად ამბაკომ წინასწარმეტყველისა“
 (273—276 გვ.); ვ. გალობად ესაია წინასწარმეტყველისა“ (276—277 გვ.); ზ. ლოცვა
 იონაჲ წინასწარმეტყველისა“ (277—287 გვ.); თ. „გალობად წმიდათა სამთა ყრმათა“
 (278—287 გვ.); თ. „გალობად ყოვლად წმიდისა ღისმშობელისა“ (287—288 გვ.); ი. „წი-
 ნასწარმეტყველისა ზაქარაისი, მამისა წინამორბედისა“ (288 გვ.).

წყდებდა: „... და აწ შენ ყრმაო წყულ მალის იწოდო, რამეთუ წარსდრძ შენ წინაშე პირსა უფლისასა განზადებდა გზათა მისთა“...

ანდერძი: ა. „იესუ ქრისტე, მფო დიდებისაო, ადიდე შენმიერთთა ზეგარდამოთა სუფიეთა მადიდებელი შენ[ი] დედოფალი ათაბაგის ქალი ბატონი თამარ და ძე მისი გურიელი ბატონი ქაიხოსრომ ორთავე შინა ცხოვრებასა. დაიციე და მიანიჭე სამოთხისა საშუალებელი წმიდათა და რჩეულთა შენთა თანა, ამინ. რომელმან ინება აღწერად წმიდად ესე საულ და ვითი და შემკობდ ამისა, ღმერთმან აკმარნეს დღეგძელობასა, მორკუმასა, დბასა და სიშრავლესა შინა ეამთასა, დედოფალსა ბატონსა თამარს და მისის ქაიხოსროს ყმაა შვილი ახუნოსა ღმერთმან, ამინ, ამინ, ამინ“ (262 გვ.)

ბ. „იესო ქრისტე, მუფეო დიდებისაო, შეიწყადე ცოფვილი ამისი მწერალი თეთროსნის წინამღვარი გერმანოზ. ღმერთო, ორსავე ცხოვრებასა შინა დაიციე და მიანიჭე სასუფიეველი წმიდათა და რჩეულთა შენთა თანა, ამინ. ვინც მოგაკსენო, ღმერთმან თქვენ მოგიკსენოს სასუფიეველსა მისსა, ამინ“ (262 გვ.)

- 76

თხზილი — XVI

255 ფ.; 38,5X27; ქალაღი; ტყვის დაზიანებული ყდა; დაშლილი; თავბოლო ნაკლული; სინესტისაგან დაზიანებული, შემოფლეთილი; ნუსხური (სათარებო სინგურით); ადგილადგილ დასაწყისი ასოები მხატვრულადაა შესრულებული; [XVI ს.]; გადამწერი—წილგნელი ბასილი (105 v).

«თუცნი»: ...„სეკდენბერსა ბ. წმიდისა მოწამისა მამისა და წმიდისა იოანე მმარხველისა. კმაა დ, გი. ზ სასწაულნი. სისხლთა წუცთითა მამაა ქა ცხოველისა შეიწირე...“ 1r—252 v.

წყდებდა: „... არა ზარ სცემდეს სიმკნეთა... ლოცვათა ჯაკუ-ჭურითა შექურვილითა“...

შენიშვნა: ა. თვენი იწყება სექტემბრიდან (დასაწყისი მოყვანილია 2 სექტემბრიდან); ბ. უკანასკნელი მასალა თენენი ეხება თებერვალს. ადგილი, რომელზედაც ხელნაწერი წყდება 21 თებერვლიდანაა; გ. ზოგიერთი დღის წესები აშიებზეა მოთავსებული; დ. მინაწერები იპოვება: 126r, 134r, 168v.

ამავე ხელნაწერის ბოლოს მოთავსებულია ნაწყვეტი ლექციონარიდან (3 ფ. XIII-XIV ს.-ისა): „...და მრქუა მე მონაა ჩემი ხარი შენ...“ წყდებდა: „...გზადე მე პირსა მამისა თქნისსა, რამეთუ არა არს...“ (253r—255v; პირველი „ორშაბათსა ვ“-ის წინა ნაწილიდანაა, მეორე კი „სამშაბათსა ვ“-ის ნაწილიდან).

ანდერძი: „სრულ იქმნეს წმიდანი ესე და სულთა განმანათლებელნი თუმნი, სეკდენბერი და ოკდონბერი, მისითა სადღესასწაულოსა, საწინასწარმეტყულოთა და სამოციქულო-სახარებოთა ბრძანებითა და საფასითა მეფეთ-მეფისა კოსტანტინეს ძისა ბაგრატისითა სამლოცველოდ და მოსაკუნებლად სულისა მათისა, საუკუნოდმცა არს კუნებამისი წმიდანო წყულნო, მოციქულნო, ღმერთშემოსილნო მამანო, მღვდელთ-მოძღვარნო, მოწამენო, მესუტენო, მეუდაბნოენო, ქალწულნო, რომელნი ამა წიგნსა შინა მოიკუნებოთ, მეოზ და შემწე ექმენით წინაშე უფლისა ჩნისა იესუს ქრისტესა ცოდვათა აღმოკოცელ და კელისამყრობელ ბაგრატს. წმიდანო მამანო, ვინცა ამა წმიდათა თუშთა მიემთხვენეთ და წარიკითხვიდეთ, ლოცვათა შინა შენდობასა ჰყოფდით ცოდვილისა ბაგრატისთს, ცოდვანი მისნი შეუნდ[ვ]ნეს ღმერთმან, ან. და ვინცა ბრძანოთ, თქვა შეგინდნეს ღმერთმან.

კელი მწერლისა მიწასა შინა ლების და ნაწერი ჰიან. ამა წიგნისა მწერალსა წარკნელსა ბასილსა შეუნდნეს ღმერთმან“ (105 v).

ანტონ ჭყონდიდელი: ქალაგეგანი—1854

123 ფ.; 34,5×21; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით; მთავრული ასოები მხატვრულად გაფორმებულია); 1854 წ. (123 წ.); გაღამწერი—ნიკიფორე ბერი (123 წ.); ადგილი—ნახარებოს მონასტერი (123 წ.).

„საზოგადოდ სმენისათვის მდაბიურად აღწერილი ქაღ აგეგა ყღ სამღვეღლოსა ჭყონდიდელ მიტროპოლიტისა დაღიანის ოტიას ძისა ანტონის მიერ. მაღლსა სულისა ყღ წმინდისა ცხოვეღს მყოფელისასა გაფუცებ აღმწერელთა და აღმომკითხველთა, რათა არა დაუტეოთ ჩემ მიერი ესე ზედწერილი, ნუ უმე! ხსენებითა ჩემისა უღირსებისათა აღძრნეთ მოწყალეზად, და ლოცვა ჰყოთ ჩემ უზადრუქისათვის; ამას მუხღთ დაღმით და ცრემღით ვივეღრები. ხოლო დაღათუ არა ლირს ვარ ხსენებისა, გარნა მიემგავსენით მაღსა სახიერსა, ვითარ იგი გვასწავებს მოძღვარი თქუღნი უფალი იესუ: იყენით მოწყალე ვითარცა მაღა თქუღნი ზეცათა მოწყალე არს. თავი ა. აღსარებისათვის.—იტყვის წინასწარმეტყვეღი დიღი დანიღღ, ვსცოდნეთ, ვიუსამართლონეთ, ვიუთნოეთ, და განვსღგვით მცნებათაგან შენთა და მსჯავერთაგან შენთა; ამას წინასწარმეტყვეღლთისა მიმართ ვმოზს, ვსცოდნო, ვიუსამართლონეთო, მაგრამ არ იცოღა ღმერთმან, რათ ეუზნეზა ვსცოდნეთო...“ 1რ—122 ვ.

შენიშვნა: ა. ბოღოს ერთვის „სარჩევი“ (123რ-წ); ბ. ქაღაგეგანი შეიღცნ 34 ქაღაგეგას; გ. აშიებზე მოიპოვეზა შენიშვნები, რომღებიღანაც ჩანს, რომ ხელნაწერი გამოცემისათვის ყოფიღა გამოყენებული.

ანღვრძი: „აღიწერა წიღნი ესე ქაღაგეგა ყოღლად სამღვეღლოს მიტროპოლიტი, ანტონისაგან თქმული 1854-სა წელსა, თთუსა დეკენბერსა 15-სა დღესა, კელითა ცოდწვიღის და უღღღის იერომონახის ნიკიფორე ბერისათა. შენღობას ვითომეგ წარმკითხუღლთაგან, ამინ. ნახარებოს მონასტერი“ (123წ).

ჰარამანიანი—XIX

201 ფ.; 34,3×21,2; ქალაღი; მუყაოს მოციღებული ყღა; დაშლიღი; მხედრული (სათაურები სინგურით); [XIX ს.].

„ანბავი ჰირვეღი ყარამანისა სპარსულთაგან ქართულსა ენასა ზეღა გარღმოთარგმნული ოზბელიანის სარღღისა ქეშიჩიზაშისა ავთაღდიღისაგან, თთმცა რიჟღრთა(!) ხანთა შეწყობიღ არს, მაგრამ ამისთვის დაეშვეღრ ეს(?) თარგმანსა ამას ზეღა, ვინათგან წიღნი ყარამანისა ქართულსა ენასა ზეღა აქამომღე არა იპოვეზოღა და აწვისაც უკეთუ გაკეთეზა გნებავთ, ესრეღ გამართეთ და უცოდვეღ იყვენით ყოვღითურთ.—ჰირვეღ ჟამთა ჰარსეთშიგან იყო კელმწიფე დიღი, რომელსა ეწოდებოღა თახმურად. ესე იყო მაღალი და აღმატებულ ყოვეღსა ზეღა სპარსელსა...“ 1—210ვ.

წყდებდა: „... თავი ვეფხვს უგვანდა ყურები დათეს, ხელები ლომის ტოტებს, შუბლი თხას, ვეხები სპილოს, სამოცდარვა კბილი ედგა, ასეთი, რომ თითო მტკაველი აქეთ და იქით გაეშვირა და კბილის ფერი ლურჯს იავუნდს უგვანდა. თვითონ ეძინა“... (ეს ადგილი შემდეგი თავიდანაა: „აქა ყარამანისაგან ზღვის პირსა მისელა და უშანგის ცოლშვილის დილაფარუხის გამოსხნა ზღვის კაციისაგან“).

79

კრებული — XIX

116 ფ.; 33,5×21; ლურჯი ქაღალდი; უყდო; დაშლილი; თავბოლო ნაკლეული; მხედრული; XIX ს. (გვირნიშანი 1808).

1. [თიმსარიანი] ...კელმწიფის შვილი სასიკვილილად გა[ა]შიშვლა ამაზე[დ] ხმა დაეარდა და ვეზირებსაც ანბავი მოუვიდა, ვითარ კელმწიფეს თავისი შვილი კელთა მიუცემია ჯალათისათვის სასიკვილილად... 1r—4v.

შენიშვნა: ნაბეჭდ გამოცემასთან (თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული გ. ჯაკობიას რედაქტორობით, თბილისი, 1939 წ.) მიმართებით ტექსტი მოდის ოცდამეთერთმეტე თომსარის დასასრულამდის, ე. ი. გვ. 220, 28. დასაწყისში კი აკლია მთლიანად შვიდი კარი. ტექსტი იწყება VI.II კარიდან, გვ. 156, 34.

2. [სიბრძნე სიცრუისა] ...,,ან დიდებულმან, გინა გლახაკმან, ათორმეტსა ჟამსა, რაც ეძლოს წარიღონ და წარიღეს ყოველთა, ვერ და[ა]სრულეს სამნი იგი სალარონი“... 44r—116v.

წყდებდა: „...მეფუნდრუქემ არა და[ა]ხარჯვინა რა სრულ კაცთათვის და [ა]ქლემთათვის თავისი ხარჯი. გაიწყენენ დიდი ვაჭარი და მეფუნდრუქე და კითხა: შვილი“...

შენიშვნა: ამ ტექსტსაც დასაწყისი და ბოლო აკლია. ნაბეჭდ გამოცემასთან მიმართებით (ს. იორდანიშვილისა, 1938 წ.) ტექსტი იწყება გვ. 4,8, წყდება კი გვ. 131,13-ზე.

80

მისრამიანი — XIX

21 ფ.; 35,5×21; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ბოლონაკლეული; მხედრული (სათაურები სინგურით); [XIX ს.]

„კარი პირველი, დასაწყისი. ვისისა და რამინისა ანბავი.— იყო დიდი და მაღალი სულტანი ტულული ბეგი ქვეყანასა ხვარანისასა და [ა]დრაბაგინსა, ლაშქარ-მრავალი, მორაქმული, ყოველსა სპარსეთსა ზედა...“ 1r—21 v.

წყდებდა: „... ორი ეგზომი მათითა შეტევითა შეკაზმული კაცი ჩამოიქრა, ორგნიოვე ქოსი და ბუკი ამას იძახოდა, ისწრაფეთ ცე სულისა“... (ნაბეჭდი გამოცემით, 1938 წლისა, ეს ადგილი მერვე თავიდანაა, გვ. 23,14).

81

ქრებული — 1846

12 ფ; 34×22; ქალაღი; უყდო; მხედრული; 1846 წ. 1რ); გადამწერის (იგივე მთარგმნელის) სახელი არ ირკვევა (ხელმოწერა არის: 1—10—11...-სა მიერ—(1v); ადგილი—გორი (1r); დაუწერელია: 3v, 4r, 10v.

1. „მეკობრე შუამავალი. — წარმავალნი და ცვლილებადნი არიან საუკუნენი, უწინარესა ამისა და დღეთა მათ შინა ამისთანა შემთხვევანი, რომლისაცათხრობას ვაპირებთ ჩვენ...“ 2r—10r.

2. „დასთან მიწერილი ლექსი ძმისაგან! (წინად-თქმულობა). — ვიცი არა გძულს და გიყვარს პოეზიური თქმულობა, ხარ მოხარული სმენისა, თუ ვით არს ერთიგულობა...“ 11r-v.

3. „თქუენ ანუ შენ! (რუსულიდგან—თებერვლის იზ დღესა): ჰაი! ზი! უც! მე ვერ გეტყვი შენ, ჩემს დამწველსა ლიზეტასა უნდა გითხრა თქვენ...“ 12r-v.

შენიშვნა: წინ უძღვის: ა. თავფურცელი: „მეკობრე შუამავალი ანუ ავრორა და ფერდინანდო. ყოფილი ამბავი. რუსულიდგან თარგმნილი 1—10—11... სა მიერ, 1846-სა წელსა, თებერვლის მ-სა დღესა, ქ. გორს“.

ანდერძი: „არა მქონდა შემთხვევა, რომ ნიადაგ, მანამ გარდმოვიღებდი ამ ამბავს ქართულს ენაზედ, ნამდვილი ასლი, ფრიად ტკბილის ენით და სიტყვებით არის ნაწერი. მექონა. მაგრამ რადგანაც მომეწონა და მქონდა დახრეილი (?) გარემოება ამ ამბვისა, ამისთვის მეც მოქინდომე მისი გადმოწერა და ვინადგან, მკითხელნო, ამბისა ამის ჰმოვით თომე მეტ-ნაკლებულობა, მაშინ არ განმირისხდეთ და არ მიმცეთ გაკიცხვასა, რამეთუ მყრელ(!) ვარ კვლავაცა მგზავსისა, ამბის მბობითა შევამოკლო გრძელი ლამენი. ზამთრისანი და ამით მიეცეთ უტკებესა მოსვენებასა. თქუენი მონა [...]1.10.11“ (1 v).

82

ჰარამანიანი — XIX

63 ფ; 22×17; თეთრი და მოღურჯო ქალაღი; უყდო; ნაკლული; დაზიანებული (დაბეული ფ.-ელი და ლაქები აქვს); მხედრული (სათაურები სინგური); [XIX ს.].

...„სიკუდილი. — იქამად თახმურად კელმწიფეს ერთი შვილი ჰყუნდა, სამის წლისა იყო, სახელად ყარამან ეწოდებოდა. შვენებით მისი მსგავსი არავინ იყო...“ 4r—63v.

წყდება: „... იქამად ყარამან ექვს ფერხოვანს და ოთხ თვალოვანს ნადირ... (ეს ადგილი ეკუთვნის თავს: „აქ ინდოეთის კელმწიფისა რაინდისაგან უზანგ შავს ჯარისა თამაშის ყურება...“).

83

მართლმადიდებელი აღსარება—1702

96 ფ.; 31X20; ქალაღი; ტყავგადაკრული მოცილებული ხის ყდა; დაშლილი; თავნაკ-
ლული; ნუსხური (სათაურები სინგური); 1702 წ. (95წ); გადამწერი—კარის დეკანოზის შვილი
დიმიტრი (95წ); მთარგმნელი რუსულიდან ქართულად—მეფე არჩილი; ადგილი—მოსკოვი (95წ);
დაუწერელია: 95წ, 96წ.

„მართლმადიდებელი აღსარება კათოლიკოსა(!) და სამოციქულოსა აღმოსავ-
ლეთისა ეკლესიისა. წყალობითა ოათა პატრიარქი ნეკტარიოს წმიდისა ქალაქისა
იერუსალემისა და ყოვლისა პალესტინისა ყოველთა მავდერებელთა მართლმა-
დიდებელთა ძმათა, საყვარელთა და შკლთა ოა მიერ მშდმა და წყლმა ოა
მიერ.—ჟ საყვარელო აღმომკითხველო, არა თვნიერ საქმისა დაიდგა წიგნი ესე,
უკეთ სათნო არს შენდა სწავლად მართლმადიდებლობისა სარწმუნოებე-
სა...“ 3რ—87რ.

შენიშვნა: ა. თხზულებას წინ უძღვის: ზანდუკი, რომლის დასაწყისი ნაწილი და-
კარგულია; ბ. თხზულება სამი «კერძისაგან» შედგება.

ბოლოს დართული აქვს: „წმიდისა იოანე დამასკელისა მესამისაგან სიტყვა
წმიდათა ხატათს.—ეთქუვათ პირველად, რაა არს ხატი...“ (87რ—95რ).

ანდერძი: ა. „წარმართე ღმერთო კმნული კელითა ფრიად ცოდვილისა დიმიტრისი“
(87რ); ბ. „ადიდე ღმერთო ორსავე შინა ცხოვრებასა ძე მეფის ვახტანგისა, მეფე მორწ-
მუნე პატრონი არჩილი, რომელმან ინება წიგნისა ამის რუსულისაგან ქართულად გარდ-
მოღება. თუ იყო კეთილად წიგნისა ორისავე ქართულისა და რუსულისა სწავლულ და
მთარგმნელ. დაიწერა ჟორანიკონსა დასაბამითგან აქამდე გარდასრულსა წელსა შკლი-
ათას ორას ათსა, კელითა ფრიად ცოდვილისა კარის დეკანოზის შკლის დიმიტრი-
სითა, ქალაქსა დიდსა მოსკოვს, მყრობელობასა პეტრე აღუქსი შკლისასა“ (95რ).

84

საწელიწდო—XVII-XVIII

464 ფ.; 30,7X21; ქალაღი; უყდა; თავ-ბოლო ნაკლული; დაზიანებული (სინესტიანგან);
ნუსხური (სათაურები სინგური); [XVII—XVIII ს.]; გადამწერილია სხვადასხვა ხელით, სხვადა-
სხვა დროს. გვიანდელი ნაწილის გადამწერი—გიორგი (245წ, 277წ); დაუწერელია: 129წ,
130წ, 142წ.

...„იგი წამებისა შნისნი, ღირსო გრიგოლი, რამეთუ ორთავე ამთა შინა
ზეშთაცნობისა განთქმულ იქმენ...“ (საგალობელი მიძღვნილია გრიგოლ სომეხთა
განმანათლებლისადმი) 1რ—464წ.

წყდება: „... რამეთუ მას შინა ქრესტე იშვაა და მხედრობანი ცათანი
მწყემსთა თანა ლალადებენ დღეს, დიდებაა ღმერთსა ჩნსა, მალალთა შინა ქერო-
ბინნი ვალ...“

შენიშვნა: საწელიწდო იწყება სექტემბრის 30-ის ხსენებით და წყდება დეკემბრის
25-სახე.

შინაწერები მოიპოვება: 74წ, 75წ, 172წ, 244წ.

85

სამღვდელმთავრო კონლაკი: XVII-XVIII

141 ფ.; 29,4×19; ქალაღი; ტყავადაკრული მოცილებული მუყაოს ყდა; დაშლილი; მეტად დაზიანებული (სტრიქონები ამოკმულია 8—119 ფ.ფ.-ზე); ნუსხური (სხვადასხვა ხელით; სათაურები სინგური); [XVII—XVIII ს.]; დაუწერელია 110r—111v.

„წესი სამღვდელთა სტოთა ჟამისწირვისა წმიდათა შორის მამისა ჩნისა ოანე ოკროპირისა, ვითარ უნის წირვა პატრიარქსა მსავსად შემდგომთა მღვდელთ-მთავართა.—ოდეს იქმნების დღესასწაული მოწვევანა ჟამისწირვისასა, რომელი პატრიარქი წარვიდეს წმიდა ტაძარსა, მივალს პატრიარქის პრიმიკრიოსს, რომელ არს მელამპრე, ლამპრითურთ...“ 3r—140v.

შენიშვნა: ა. ამ ხელნაწერთან მოიპოვება საწლიწდოს 1 ფ.-ლი, რომელიც სხვა ხელნაწერიდან (2r-v); ბ. ყდაზე შენიღბიდან დაკრულია XVIII ს.-ის ხელნაწერის ფ. ფ.; ერთი მათგანი ამოვარდნილია (1r-v), რომელიც წარმოადგენს რომის პაპის სილიბისტროს ცხოვრების ნაწყვეტს.

მინაწერი: 3r; 109r-v; 111v; 120r; 140v; 141r.

86

სახარება ოთხთავი—XVI

206 ფ.; 20,3×15,2; ქალაღი; ტყავადაკრული ხის მოცილებული ყდა; თავ-ბოლო ნაკლული; დაშლილი; მეტად დაზიანებული (პირველ 8 ფ.-ელს ქვემო ნაწილი მოგლეჯილი აქვს); ნუსხური (სათაურები სინგური); ყოველი მხარეების თავის დასაწყისი შემყულია კამართი [XVI ს.]; გადამწერი—სუმბატოძე ახარია (146v, 204r).

«სახარება»: ... [განკუ]რნა დედაკაცი იგი მიერ ჟამითგან. და მოჭიდა იესუ სახლსა მის მთავრისასა და იხილა მუნ მგოსნები და ერი კრებული და შფოთი და ჰრქუა მათ: განწმორენით, რამეთუ არა მომკუდარ არს ეგე, არამედ სძინავს...“ (მათე 9,23-24). 1r—195 v.

წყდება: „...და არა ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ არა მოკუდეს, არამედ უკთუ მინდეს მაგისი ყ[ოფაჲ]“ (იოანე 21,23).

შენიშვნა: თვითთულ სახარებას წინ უძღვის «ეს თავები არს... სახარებისა» (ზანდუკი); დართული აქვს ოთხთავს «განგებაჲ სახარებათა საძებელისაჲ, ვითა სუნაქსარი მისაწყავეს, წესსა ზედა ბერძულსა, დღესა წმიდასა აღესებასა დიდსა კურიაკესა სამხრად სახარებაჲ.—იოანე. პირველითგან იყო სიტყუა...“ (სახარების საკითხავები კალენდარულ რიგზეა. ბოლო ნაკლულია).

ანდერძი: «აჲ დასრულდეს სახარებანი ყოველთა დღეთანი, ლოცვა ჰყავთ გლახისა გიორგისთუს, რომელმან წმიდაჲ ესე სახარებაჲ ვათარგმანე, ცოდვილისა ახარია-სათესკა...“ (წყდება; 204r);

ბ. «ღმერთო და ოთხთავო, პირო ღმრთისაო და წმიდაო მარკოზ, შეიწყალე ამისი მწერალი და მისნი დედა-მამანი და მიცვალებულნი, ამენ» (82r).

გ. «წმიდაო ლუკაჲ, მეოზ მეყავ წინაშე ღმრთისა, და ჩემთა დედა-მანათაჲ და ჩემთა მიცვალებულთა წყალობითა შენითა, ამენ, ამენ, ამენ» (146v).

მინაწერი: 147 v.

87

მარხვანი—XVII

119 ფ.; 19,2×14; ქალაღი; მოცილებული და დაზიანებული ტყავის ყდა; ნაკლული; მეტად დაზიანებული (ზოგიერთი ფ.-ლი შეწყებებულია); ნუსხური (სათაურები სინგურით); [XVII ს.].

[მარხვანი] ...კლი იგი... ტელთა მათ და შეეშინა ო... ლა და მოსესი მსახურისა...“ („ოთხშაბათსა მწუხრი“-ს წინა ნაწილიდან) 1r—119v.

წყდებ: „წინა დლით ამაღლების“-ს საკითხავებზე.

88

შამნი—XVII

84 ფ.; 20,5×15; ქალაღი; მოცილებული ტყავის ყდა; დაშლილი; დაზიანებული; თაბლო ნაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით); [XVII ს.].

[შამნი]. ...დავცევ და სელსა შენსა აღმოუწოდე(!) მშვიდაობისათვის(!) სოფლისა. ევედრე ლისმობელო ქალწულო, რამეთუ შენ ხარ სასოა ჩნი...“ 1—83v.

ცალკე თავებად შემოდის:

ა. „სუნაქსაო ათაორმეტთა თაუცთა წელიწადისათა. თუცსა სეკენდებრსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს ეამი იბ, და ლამეთა ეამი იბ.—დაწყებად ინდიკტიონისა, ე. ი. არს ახლისა წელიწადისა, და კსენებად ლირსისა მამისა ჩნისა სკმონ არქიმანდარიტისა (!) ...“ 37v—63v.

ბ. „ოხითა იბკაონი (!) მარხვათანი და ზატკათანი.—კორციელის შაბათსა ოხითა, რომელი...“ 63v—76v.

გ. „საცისკრონი სხარებანი ათერთმეტნი, ა. ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეისა მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ იესუ...“ 77r—83v.

წყდებ: „...და წინამძღვარი იგი ცხორებისა ჩნისა ვენებითა“...

შენიშვნა: ბოლოში ჩადებულია 1 ფ. სხვა ხელნაწილიდან (საწელიწადიდან):

„...განი ლთაებისანი მსახურთა შენთა რაოდენ შემძლებელ იყუნეს...“ (84r-v).

წყდებ: „...და იცვალა მათ წინაშე სხვად ფერად და განბრწყინდა“...

89

მარხვანი—XVI-XVII

134 ფ.; 19,2×12; ქალაღი; ტყავადაკრული დაზიანებული ცალი ყდა (ზედა დაკარგულია); ნაკლული (წინა 24 ფ.-ის მხოლოდ ნაშთია დარჩენილი); ნუსხური (ორნაირი ხელით; სათაურები სინგურით); [XVI—XVII ს.].

[მარხვანი] „...ცხოველ მყავ წმიდო ძლიერებითა შენითა; რომელმანცა ლა მამისა არსებრით ძლიერებად კორციითა გვშევ ჩნ ქეშმარიტებით...“ („გა-

ლობანი მთავარ ანგელოზთან და ღისმშობლისანს“ წინა ნაწილიდან) 1r—134v.
 წყდებია: „... და სამოთხისა მკვდრად გამოაჩინენ ქრისტე, სახიერ, მრავალ-
 მოწყალე, ვითარცა გვშევ თა“... (თავიდან: „შაბათსა ცისკრად გალობანი წმი-
 დათანი და სულისანი“).

90

ნიკოლოზ ორბელიანი: ქორონიკონი—1790

389 ფ.; 11×8; ქალაღი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსტური (სათაურები სინგურით);
 თხზულების დასაწყისს მოკლებვა თავსამკული; 1780 წ. (388v); გადამწერი—მღვდ. ნიკოლოზ
 ჩაჩიკაშვილი (388r); დაუწერელია 4v, 5r, 6v, 7r, 389r-v.

„ქორონიკონი, ნათქომი მეფის ვახტანგის, გამართული ხელთაზე.—და-
 საბამითვან ქრისტეს აქეთ ქორონიკონს ა. ზედნადები. შობა ქრისტესი. ორშაბათს
 ხუთს იანერამდინს ესნილია. წინა დღე განცხადებისა მარხვა არის...“ (ანგარიში
 მოყვანილია 1313 წ.-დან 1984 წ.-დე) მრ—387v.

შენიშვნა: თხზულებას წინ უძღვის—ა. მარხვათა და დღესასწაულთა ცხრილი:
 „ამას ეწოდების საძირკველი“ (3v—6r); ბ. ხელთას გამოხატულება (7v).

ანდერძი ქორონიკონის გამკეთებლისა: „ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოცდა-
 რვასა, ქართული (!) კეს ჯდებოდა ოთხას და თექვსმეტი, და დეკენბერს ოცდაოთხს აღეს-
 რულა წიგნი ესე ძალითა კისითა.

ჩნი ქართული ქორონიკონი ხუთას ოცდათორმეტს წელაწადზე გამართულდ
 არის. და ეს ხუთას ოცდათორმეტი წელიწადი ოცდათხუთმეტ წელიწადში ბრუნავს.
 წმიდა აღდგომა ოცდაორსმარტს არ ჩამოსცილდება და ოცდახუთს აპრილს არ გას-
 ცილდება. თვით კვიკოსი, რომელსა საძირკველი ეწოდების, იგი ცხად ყოფის. და ვინც
 კელთას იცის და ან ძველი დიდი ქორონიკონი არა აქეს, იმ (ორჯელაა გამეორებული) სა-
 ძირკველში ნაკისა და აღდგომის პოვნა მნელია. და ეს საძირკველი მეფემან ქართლისამან
 ვახტანგ ლეონის შვილმან ბარგატოვმან დიდის სასჯლით გააკეთა. მაგრამ უცების კა-
 ცისაგან პოვნა იმაშიაც საკირთ იყო. და აწ მე ორბელისა შვილმან მროველ ეპისკოპოს-
 მან და ტფილელ მიტროპოლიტმან ცოდვილმან ნიკოლოზ ხუთასოცდათორმეტი წელი-
 წადი ქართულის ქორონიკონის რიგით სრულიად ცხადად აღწერე და სათვალავით საქმე-
 ბარი ცხადად გამოაჩინე; ნაკის წელიწადიცა, სადაც დღე შეემატება, მთლად დამიწერია.
 სათვალავი არსად დამისხამს და წლის ანგარიში ნაპირზედ ადვილად პოვნისათვის დაე-
 წერე და იმ ნაპირის სისწორე წითლით მთლად დამიწერია. თუ ვინმე ასოს იცნობს და
 ქართულის ქორონიკონის პოვნა შეუძლიან, ყველა ადვილად შეიტყობს და არა დაეფარ-
 ვის რა, თუ ვინმე გულსკიმიერებით გასინჯავთ, დიდი სასჯელი მინახავს და თქვენთა ის
 სალხინოდ და უტიროდ დამიგდია, სულ კელთისა და დიდის ქორონიკონით გამიმართავს,
 თუცა ცთომილი ნახოთ ოამე, შემინდევით მე, ავად ვიყავ, მარჯული მჭირდა, ვერ ვჯდე-
 ბოდი და ძალმან ღებან გვერდზედ წოლით შემასრულებინა. ღის სიყვარულისათვის ამ
 სასჯელსა და ჰირნაზულს ნუ დამიკარგავთ. პირველად მეფეს ვახტანგს მოიკსენებდეთ
 და მერმე ნაბიჭევისაგან გარდაპოვივნებულის შენდობით მეც მოიკსენებდეთ, რამეთუ
 ფრიად შემძლებელ არს ლოცვა მართლისა შეწევნად. და თუ ვინმე გარდასწეროთ და ან
 აღმერთმან ინებოს და სტამბაში გამოიღოთ, ქს ჯვარცმის გულისათვის და მისის უბი-
 წოდ მშობლის, ყოველად წმიდის სიყვარულისათვის ამ ჩემს ანდერძის(?) ნუ დააკლებთ.
 თუ ამდენს წერას არავინ დაზარდებით, ამ ჩემს შრომასაც მოაწერდეთ. ვინც ნახავთ,
 თვითო შენდობას ვითხოვ ღვთისათვის და, თუ ეს ჩემი ანდერძი ვინმე დააგდოს, მართლ-

მსაჯულმან იესო ქრისტემან მისის სუფევისაგან განაძოს და ორისავ სოფლის სიხარულს დააკლოს. და ვინც არ დააკლოს, ღმერთმან ორისავ სოფლის სიხარული მისცეს და კე-
ბილი ნუ დააკლოს. ამის გათავებას უკან აღვრცხე, მაშინ იყო დასაბამად გარდასრულ-
ნი წელიწადნი შვიდი ათას ორას ოცდა თექვსმეტი, ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოცდა-
რვა, მარტი იყო ოცდა სამი, ქართული ქორთნიკონი ადებოდა ოთხას თექვსმეტი, და
ესევ ქართული ქორთნიკონი თოთხმეტჯერ მოკვეთილია და მეტი იყო სამას და თერთ-
მეტი. ამ რიგს ნულარ გაუშვებთ, ღმერთმან იკის, დიდის ჭირითა და ძიებით მიპოვნია
და კელთა საძირკველიც თან ჩამირთავს. თუ ვინმე ძნელად პოვნას ინებებთ, იმაშიდ
იძიეთ და ადვილი ეს არის. უფალნო ჩემნო. ნაშრომი გიეს, ხოლო მუშაკი მტვერ და
ავლ. ნუ კვებულ მყოფთ მსასოებელსა სიწმინდისა თქვენისასა. მე დედაზარდლისა ქე-
ლისა უსუსტე კეც კაცი ვმონებ მემსხვერპლე, თუ ხენეში არა ხენეშთაგან კაწახ ვმონო-
ხანოზ, ქორთნიკონს ვამგობ ძალისად. ნიკოლოზ მესენ ვიყო მკილველთაგან, ორბელიანი“
(1r—3r.)

ბ. „ვმადლობ, უგალობ და თაყვანის ვსცემ ღმერთსა ყოველთა შემოქმედსა, რო-
მლისა წყალობითა და შეწვევითა ღირს ვიქმენ საწადელისა ამის ჩემისა აღსრულებად.
მარგულისგან ავად ვიყავ და ვერ ვჯდებოდი, წოლით დამიწერია, ვეშურებოდი, სიკ-
ვდლის მოველოდი. თუ რაზე ცოთმილი ნახოთ, ღვთის გულისათვის შემინდევით, დიდი
სასჯელი ვნახე ამის კეთებაზედა, თორემ ნაშრომი სახილველად გიეს, ხოლო მუშაკი
არა უკვდავ. ქსთ ჩაკაჲ, დეკენბერს კდ, ქალაქსა დიდსა მოსკოვს სამეფოსა აღწერე-
ვისაც ღმერთმან ამ ხუთას ოცდაოთრმეტის წლის ქორთნიკონის აღსრულებას დაგასწრასთ,
კვალად თავითგან მოყვით, ისივ წლის ანგარიშია. არც არას გარდაუქცევს, იმ რიგად
არის გარიგებული“ (387v—388r).

გ. „უოზ. ამ ქვს სომხები კიდევ შეიშალნეს და თვედრობის კვირა ჰამეს.
მე ამ ქორთნიკონის გამკეთებელი ნიკოლოზ შიგ მოსკოვს ვიყვით(!) და ვინც იქ
მყოფი ვართაქტი იყო, ვერ გამოიჩინა რუსებთან, გარდაიკადა, და ჩნმან ქართლის
სომხებმან კი ჰამეს“ (302v,—აწიანზე).

ანდერძი გადამწერისა: „განსრულდა კელითა ჩემ ცოდვილ ჩაჩიკასშვილის მღვ-
დელ ნიკოლოზისგან ქორთნიკონი ესე, კელთაზე გამოთული, ხუთას ოცდაოთრმეტის
წლისა, ვინც იბილოთ, შენდობას მიბძანებდეთ ხოლმე ღირს სიყვარულს. რაც შეკთომი-
ლი ნახოთ, ნუ მწყვეთ, უფალმან იკის, ვცდილობდი სიმართლესა. ღმერთო, მშვიდობაში
აკმაზე ჩემს ძეს კორნილეის, თომას და ძისა ჩემისა ძესა დიმიტრის და გიორგის,
ღმერთო მშვიდობა მიეც. განსრულდა ივლის ლ, ქვს უომ“ (388r—v)

91

რელიკიები სინოდისა—1807

64 ფ.; 20,8×14,5; თეთრი და მოლურჯო ქაღალდი; ტყავადაკრული ხის ყდა; მიედ-
რული; 1807 წ. (63r); დამკვეთი—გრიგოლ წერეთელი (63r).

„რელიკიები ანუ მოძღვრება სულიერისა კოლელისა, რომლისამებრ.
თანამდებობა მისი იცნობების და ყოველთა სულიერთა წესთა ესრეთვე მსოფ-
ლიურთა პირთა, ვინათგან იცნაიკა მმართველობისადმი სულიერისა მიეწერე-
ბიან და ამას თანა წარმართებასა შინა საქმისა თვისისა არიან ზიარებულ...“
წვ—48v.

შენიშვნა: წინ უძღვის: ა. პეტრე I-ის დამტკიცება «სამღუდელთა კოლელისა».—
„წყალობითა ღვთისათა ჩვენ პეტრე პირველი მეფე და თვთმპყრობელი ყოვლისა რუსე-
თისა და სხუათა და სხუათა და სხუათა. შორის მრავალთა ღვთისა მიერ რწმუნებულთა
ჩვენთა კელმწიფებისა თანამდებობათა განმგებლობისათვის ერისა და ყოველთა ჩვენისა
სახელმწიფოსათა, განესტურითე სამღუდელთადაცა წესსა...“ (2r—3r); ბ. „ფიცი წერეთა
სულიერისა კოლელისა“ (3v—5r).

ბოლოს ერთვის: „დამტკიცება მოწესეთა კანონთათჳს ეკლესიისა მოყუდასა და მონაზონთა წესთათჳს.—თუმცა ზემოწერილთა ეპისკოპოსთა საქმეთა შინა იპოვებთან რამელნიმე კანონნი, ვითარცა სამღუდელთა, ეგრეთვე მონაზონთა წესთა წარმართებისა და მსახურებისათჳს, და ვინათგან არა კმარიან იგინი, ამისთჳს უწმიდესმან სინოდმან თანამდებ ჰყო თჳსად იმისის იმპერატორობის დიდებულების უკაზის აღსრულება, რომელიცა აქა თავსა ამის რეგლამენტისასა წერილ აოს...“ (49r—63r).

მინაწერი მოიპოვება: 1r-v, 63v, 64r.

ანდერძი: „აღუაწერინე წიგნი ესე კანონი დიდისა ბეტრე რუსთ იმპერატორისა მე, იმერეთის თავადის წერეთლის ზურაბ სალობუჯის ძემან გრიგოლ. უწრთველი იყო მწერალი და ნუ სწყყვთ, და ნურცა აღმწერელსა ჰგობთ, რომელი სიძვირებან მწერლისამან ჰყო, ვი მკითხველნო კეთილნო. ქს ქესით ჩუჲ—1807, აგვისტოს კგ—23“ (63r).

92

მოსე ხონელი: ამირან-დარეჯანიანი—XVII-XVIII

152 ფ.; 24,8×17,7; ქალაღი; ტყავადაკრული ხის ყდა; თავბოლო ნაკლული (აკლია შიგნითაც); დაშლილი; მხედრული; [XVII—XVIII].

[ამირან-დარეჯანიანი] ...„გახსენო ისწრაფა ამირან-დარეჯანისძემან და წავედით შინა. ვითარცა პური ესქამეთ...“ (ზაქარია ჭიჭინაძის. 1897 წ. გამოცემის მიხედვით გვ. 12,23) 1r—153v.

წყდება „...შემოვიქეციტ გამარჯვებულნი, მადლი გუიბრძანეს, დავყუენით დღენი მრავალნი და ომი აღარა შეიქმნა, მერმე მათვე კაცი მოეგზავნა, ვითა ყოვნა ომისა არა კამსო. აწ ხვალე ჩვენვე გამრავალთ, ძოდან ვერა“... (ზ. ჭიჭინაძის გამოცემით ტექსტი წყდება 239 გვ.-ის მე-4 სტრიქონზე).

93

სულხან-საბა ორბელიანი: მოგზაურობა ევროპაში—XIX

104 ფ. (208 გვ.); 21×15,5; ქალაღი; მუყაოს ყდა; თავნაკლული; მხედრული; [XIX ს.].

[მოგზაურობა ევროპაში] ...„ას წამოვედით და ჯენევის თემში შემოვედით. იმ ქალაქზე ზედ მობმით იყო კაი ჭეობაები, მაგრამ ღამე იყო, ვერა ვნახეთ რა. გათენდა, სენერემ ქალაქს ჩამოვიარეთ, ჯენოვისას იყო ოცდოთხი მილი...“ 1r—107v. (ს. იორდანიშვილის 1940 წ. გამოცემით გვ. 5,24).

94

სამტლო და სამთვარიო—XIX

54 ფ. (108 გვ.); 21,6×16,3; ქალაღი; მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); [XIX ს.]; დაუწერელია გვ. 24.

„დასაწყისი პირველი ფილასოფოსთაგან, თუ კაცი რომელს ეტლზიდ დაიბადების.—წმინდა იობ ბძანებს, რამეთუ ყოველის კაცის კელზედან შეეტყობის თვით ყოფიერნი საქმენი, რასაც იქმოდის. ეს წმინდის იობისაგან თქმული და ფილასოფოსთაგან გაცხადებული. ეს ცოდნერობა, რომელი ლატინურას ენით ეწოდება კირომანცი...“ 1—108 გვ.

შენიშვნა: თხზულება შედგება 15 თავისაგან.

95

სულხან-საბა ორბელიანი: ქართული ლექსნიკონი—XVIII

309 ფ.; 20,5×15,5; ქალაღი; უდღო; ბოლონაკულღი; მხედრული (სათურეღი სინგუ-რით); გაღამწერი—ხოსიმე ბერი ძე ორბელისა (307r).

„ა. აქა იწყებღან ლექსიკონი ქართული განმარტებულად ენათა, რომელთა თანვე უწერია ენა თურქთა და სომეხთა. — ა.აა, აქა დასკვრიტენ სწავლის მოყვარეო, ვითარ ძნელ არს ფილასოფოსთა ენანი, არამედ გემოან და საწადელ, აქა ვითარ განჰყოფს აობასა და მყოფსა...“ 6v—306v.

წყდებღა სიტყვაზე: „ჰაერის მცველი: ოთანიქ“...

შენიშვნა: ლექსიკონს წინ უძღვის: ა. „ანბანი სასწავლონი ყრმათა მიერ“ (1r); ბ. „რიცხვი ქართულთა ანბანთა“ (1v); გ. „ნულა და ქართული რიცხვი, ვისცა სწავლა გენებოს“ (2r—3v); დ. „საქცვენი ზუთთა ზმიანთა ასოთანი და სხუათა თავბოლოთანი“ (3v—4r); ე. „ანდერძნაშიე მუშაქისა ფროდ დამაშურალისა ორბელის ძის სულხან ყოფილის საბაჰს მიერ აღწერილი მოსწავლეუთათვის“ (4r—5v); ვ. ქვეყნის შორომლობათა ხელოვნების ნიშნები (5v); ზ. მცენარეთა და ცხოველთა ნიშნები (6r).

ბოლოს ერთვის: ა. მთავრული ასოხვეულით გაღამწერის სახელი (307r) და ბ. საბას ჭრტორთიანი ლექსი: „ამ ლექსიკონის რიგები, თუ ბრძენმა დამიწუნოთა...“ (308r).

96

მიმოსვლა ბარონა დე პოლნიცასი—XVIII

I+72 ფ.; 20,3×15,6; ქალაღი; ტყავაღაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; [XVIII ს. მთარგმნელი—არხიდიაკონი გაიოსი (1r); ადგილი—მოსკოვი (1r); დაუწერელია: 1v, 1v, 2v, 45r.

„მიმოსვლა ბარონა დე პოლნიცასი, აღწერილი მისგანვე. წიგნი პირველი უფლისადმი დე . . . კელმწიფეო ჩემო, სიცოცხლემან, რომელიცა განეგარძეღე მე პარიესა შინა, შემაწუხა და მრავალთათვის მიზუთა, რომელთაცა არა მნებავს თქვენდა თვითოეულად მოხსენება, განვიზრახე მგზავრობა განდევნისათვის მწუხარებისა ჩემისა...“ 4r—72v.

შენიშვნა: მიმოსვლა შეიცავს 2 ტომს; თვითოეული შედგება ორ-ორი წიგნისაგან; როგორც პირველ, ისე მეორე ტომს წინ უძღვის თავფურცელი: „მიმოსვლა ბარონა დე პოლნიცასი, აღწერილი ისტორიულისა და დეოღრაქიულისა გვარით. თვით მისგანვე, ტომი პირველი (ტომი მეორე), თარგმნილი (გარდმოღებული) რუსულია ქართულსა ენასა ზედა არხიდიაკონის გ. ა. ი. ს. მიერ, მოსკოვს, 1776-სა წელსა, ივნისს 25“ (1r, 45v).

თხზულებას წინ უძღვის: ა. წინასიტყვაობა კარლ ბარონ დე პოლნიცასის (3r-v); ბ. მთარგმნელის მიმართვა გიორგი ვახტანგის ძისადმი: „მის უგანათლებულესობას. მეფის ვახტანგის ძეს გიორგის, ლენერალ ანშექს, აღუქანდრე ნეესკის და წმიდის ანნას ორდენის კავალერს უმოწყალეს კელმწიფეს.— უუმოწყალესო კელმწიფეო, არარად არს ესოეთ ტკბილ, ვითარცა სიყვარული მამულისა, ესრეთ სასურველ, ვითარცა მსაბურება უფალთა და ესრეთ პატიოსან. ვითარცა ერთგულობით ჩვენება თანამდებობისა უფალთადმი თვისთა. და ვინათგან ძვირფასობსცა მოქმედება საქმისა ძესაბამსა დროსა და უფროსლა მამინ, ოდენ ნიეთი თხოვედეს, ამისთვის კელ ეჰყავ გარდმოღებად წიგნისა ამის სახელსა ზედა თქვენისა უგანათლებულესობისასა, ხოლო უფროსად მიზები ჩემისა ამის კანდიე-

რებისა იყო პორფიროვანისა გვარობითისა თქვენისა სიბრძნის მოყვარება და დიდებულისა მამულისა თქვენისა მეცნიერებისა სურვილი, ვინათგან უგანათლებულესობა თქვენი თუალად მეოთხედ სიბრძნისად რაცხს ისტორიასა.

გარნა უმწვერვალესი ბედნიერობა ჩემისა ამის შრომისა ესე არს, ვინათგან შემძლებელ ვიქმენ სამარადისისა მსაბურებისა ცხად ყოფასა თქვენისადმი უგანათლებულესობისა და უფროსად მაშინ, უკეთუ სათნო იქმნება მიღებად მფარველობასა ქვეშეთქვენსა. რომლისათვისცა თქვენი უგანათლებულესობის სამსაუურსა და ღთისადმი თქვენის ბედნიერობის ლოცვასა შინა ვეგები საუკუნოდ. უმოწყალესო კლემპიფო, თქვენის უგანათლებულესობის უკანასკნელთაგანი მონა და მლოცველი გ. (1r—2r).

97

კრიბული — 1709

45 ფ.; 27,3×17,6; მოყვითალო ქაღალდი; ქაღალდის ყდა (ნაწები სხვადასხვა ხელნაწერის ფურცლებსაგან); ნუსხური (სათაურები სინგურიით); 170⁹ წ. (45v); დამკვეთი—კათალიკოზ-პატრიარქი დომენტი (45v); დაუწერელია 11v.

1. „პორფირის შეყვანილობაჲ.—ნანდვლსა სკირო [ხ]ურისაორე და არისტოტელისა მიერთსა შინა კატილორიათა მნებაეი მასწავლელობათა ცნობად რაჲ ნათესავი, რაჲ განყოფილება, რაჲ სახე, რაჲ თვისი და რაჲ შემთხუცებითი განსაზღვრებათა გარდაცემისადმი...“ 1r—11r.

2. [იოანე დამასკელი.—დიალექტიკა]: „მყოფისათვის არსებისა და შემთხუცებითისაჲ.—მყოფი ზოგადი სახელი არს ყოველთა მყოფთა...“ 13r—45v.

შენიშვნა: თხზულებას (2) წინ უძღვია: „ყოვლად ღირსსა და ღთიე პატრიკემულსა მამასა კობზას, წმიდასა ებისკოპოზსა მამაჟუასასა, იოანე უნდოჲ.—იწროებასა ვიდრეჲ გონებისასა და უღომობასა ენისა ჩემისასა მეცნიერსა, ძეონოდა, ზ სანატროლო, კელ ყოფად უღარესთა ძალისა ჩემისათა და შეკადრებად შეუძლებელთა, ვითარცა ლალსა ვისმე და კადნიეოსა და მომისსა ესევითარისა მკადრებელთათჳს გამზადებულისა ძვრის ხილვისასა...“ 12r—13r.

ანდერძი: „კოისტე ღმერთო, შეიწყალე და შეუნდეე ყოველნი ცოდვანი მისნი დავითიან პანკრატოანს მეფეთ შარავანდედს კათალიკოზ-პატრიარქს დომენტის, ამინ. აღიწერა ქკს ტჳზ, კრისტეს აქათ ჩღთ“ (45v).

98

დაუჯდომელი — 1681

87 ფ.; 20×13,7; ქაღალდი; ტყავადაკრული მუყაოს ტუფრული ყდა (ხედა მოცილებულთ); დაზიანებული (მე-2 ფ.-ის ნახევარი მოხეული აქვს); ნუსხური (სათაურები ოქროს წამლით); ტექსტი ჩამშლელა შემოხაზულ ჩარჩოებში (2r—64v-მდე); მოიპოვება 2 თავკახმულობა (2r და 53r) და 72 მინიატურა; 1681 წ. (61r); გადამწერი—მიქელი (61r); დამკვეთი—კათალიკოსი ნიკოლოზ (61r); დაუწერელია: 73v.

„იკონსი წმიდისაჲ ღთისაჲ მშობლისანი, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების ქართულად, ხოლო ბერძულად აკატისატონი, კად, ე, ი.—ზეშთა მბრძოლისა ჩისთვს და მოღაწისა უძლებელისა ვითარცა მენ მიერ კსნილნი განსაც-

დელთაგან, სამადლობელსა აღწერად ღისმშობელო ქალწულო შენდა მომართ ქლაქი შენი...“ 2r—85v.

შენიშვნა: ა. ერთის «ქორონიკონები» (86r—87v); ბ. მინიატურების ქვეშ აქვს მხატვრული წარწერები, რომელშიაც იხსენიება დამკვეთი.

ანდერძი: „დიდებამ ღმერთსა ყოვლისა კეთილისა წარმმართველსა, რომლისა შეწვენითა აღვაწერინე წმიდაა წიგნი დაუჯდომელი მისის შედეგებითა და ზიარების ლოცვანითა, შევამკვე და დავახატინე მე ამილახორის შეიღმან კათალიკოზმან პატრონ-მან ნიკოლოზ ცოდვათა ჩნთა შესანდობლად და [დ]ღუთა ჩნთა წარსამართებლად, მე-ფობასა პატრონის გიორგისსა, ქკსა: ტაო, კელითა მიქელისათა. უფალო, შეიწყალო მეფიად ცოდვილი მიქლი, ამინ“ (61r)

99

კრებული—XIX

116 ფ.; 17X10; ქალაღი; ტყავადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: 1r, 115v, 116r-v.

1. «აღექსანდრე (კაბუჯი) ამილახვარი: ისტორია გიორგიანთა»: „მოთხრობისაებრ ძუელთა მისისტორიეთასა დაშენებულ არს ქუცყანად ჩუგნი თესლისაგან უმრწემისსა ძისა ნოესსა აფეთისა...“ 5r—72r.

2. „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩნისა ნინა მოციქულისა მიერ. პირველად ვახსენოთ ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩნისა და ყოვლისა ქართლის განმანათლებელისა ნინა მოციქულისა, რომელი-ესე თვით მანვე მოგვითხრა ჟამსა აღსრულებისა მისისასა, რომელი აღჰსწერა მორწმუნემან დედოფალმან სალომე უჯარმოელ[ქ]მან, ძის ცოლმან მირიან მეფისამან და ასულმან თრდატ მეფისა სომეხთასამან, რომელი-ესე იკითხების იანვარსა 14, გ. მ.—და იყო მათ ჟამთა შინა, ოდეს წჰიდა გიორგი კაბადუკიელი იწამა ქრისტისთს, კაბადუკიით ქალაქით კაცი ვინმე მთავართა შესაბამი, მონაღთისა, სახელით ზაბილონ...“ 72r—115r.

შენიშვნა: გიორგიანთა ისტორიას წინ უძღვის: ა. თავდურცელი: „ისტორია გიორგიანთა კაბუჯისა მთავრისა ამილახვაროვისათჳს, მოკლდითა ვიდრემე დამეტებითა ისტორიისა მუნებურისა ქუცყანისათა დასაბამით ვიდრე აწინდელ საუკუნეთამდე, რომელსა მოუთხრობს უსიმოს ვეპარი ანატოლიელი თანამომეტთა თჳსთა პირად-პირადთა მოთხრობათა შორის. თარგმანებულ არს როსსიულით ქართულსა ენასა ზედა, სანქტუტერბურლსა შინა, 1779 წელსა (2r); ბ. მიმართვა ავტორისა პოტიომკინისადმი „უგანათლებულესა მთავარო, უუმოწყალებსო კელმწიფე გრიგორეოს აღექსანდრესსო.—ტულთარე ჟამთა იყო ჩუღულება, ვითარმედ ნაზრომსა თჳსსა, ანუ კელნაქმსა მიართმიდან ესეგურათა ვიდრემე კაცთა, რომელნი გულსგმა ჰყოფდენ ნივთთა მათ და გულსმოდგინებასა მიმრთმეველისასა... უგულსმოდგინესი მიმრთმევი თხზვისა ამის მთავარი აღექსანდრე ამილახვაროვი“ (3r-v); გ. [ვეპრის განცხადება, თუ როგორ წარმოიშვა ეს გეორგიანთა ისტორია]: „ვიჳვრა ჰროსსთა ქალაქსა ასტრაქანს. რომლი-სამე საკომეროასა საქმასათჳს გამოვედ დილეულ საგანით ჩემით და ქალაქად მავალსა, წინა შემემთხვიენეს მე ორნი კაბუჯნი, ახლად მოსრულნი ქალაქსა მას შინა, რომელნიცა ვჳსცან მე იგინი შესამოსთა გამო, ვითარმედ იყუნეს იგინი კაცნი გიორგიანნი, რომელ-

თავა თაყუანის ვეც და ვჭკითხე, სადეთჲან აქუსთყე მეგზავობად თჳსი. მათ მომიგეს მე, რამეთუ მოვლენან იგინი იმერეთით, რომლითმე კერძოათ გეორგიეთით, რომელი არს ჩუენსა ქალაქსა. დავსდგე მკითხველად ვიდრემე მუნებურისა მიდმოქცევისათვის, ხოლო მათ მომიტზრეს. ამასთანავე ვჭკითხე ვინაობა მათი, მაგრამ მათ არა უნდაყე გარემოებით მოთხრობად მისი, მაგრამ დაეუტევე თვისი საქმედ და შევექენე სახიდ ჩემსა სტუმრად და მოვიყვანენ რა იგინი ჩეჴთა სახლთად და მეყუსთად, მოვსდრიკენ იგინი მას ზედა. რათამცა მაუწყონ მათ თვისნი გარემოებანი და რათამცა იგინი იყუნეს, ვინამცა ჰსინანდა, რომელ იგინი იყუნეს კეთილშობილთა და საჩინოთა კაცთაგანნი, დაღათუ იყუნეს მწირი უცხოთა ჭუშყანასა. რომლისათვისცა გურქუთა უხუცესმან ძმამან აღექსანდრე: ვიცი ძმანო, რამეთუ თქუენ გინდაყე ცნობად ჩუენი ისტორიად, თუ ვინა ვართ და სადეთ და რასთვის აქა მოვედით, რომლისათვისცა არა მენებამცა თქვენ ჩემთა კეთილის მყოფელთა განმწარებად ესვეითართა მიმოთქმითა, რომლისა ძლითცა ქუაქმნილსა გულსაცა ძალედუამცა მოდრეკად წუზილისა მოძართ. ხოლო პატიოსანთა კაცთათვის ფრიად განმამწარებელ არს. ხოლო თუ სადამე გონავსყე და გინებს ცნობად ჩვენდა, მაშა წარმოგატოხრენ პირველითგან ჩვენის ქუშყანისათვის მოკლედ აწამდე, რავდენდა ძალ მიძს და მოვისხენებ, რომლისა გამო თქუენ უფროსადრე კელ-გეწიფებისყე ცნობად ვინაობად ჩუენი და თუ ვითარსა უბადრუკებასა შინა ცულ ვართ აწ. მან კელ-ჰყო ისტორიასა თვისსა შემდეგითა ვიდრემე სახითა“ (4r—5r).

შინაწერი: „თავადი აღექსანდრე ამილახვაროვი იშუა 1730 წელსა, 20 ოქტობერსა“ (1v).

100

დავითნი — XVIII

I+234 ფ.; 14×9; ქაღალდი; ტყავადაკრული მოცილებული ხის ყდა; თავნაკლული; დაზიანებული (ამოვარდნილია ზოგიერთი ფ.-ლი); ნუსხური (სათაურები სინგურით; 3—5 და 100—109 ფ. ფ. სხვა ხელითაა ნეწერი); [XVIII ს.].

[დავითნი]: „...რს კურთხევაა შენი, დიდებაჲ. ფსალმუნი დავითისი. დასასრული დ. ხადილსა ჩემსა ესმა ჩემი დმერთსა...“ (4,1) 1r—234v.

შენიშვნა: პირველი რვეულიდან შემორჩენილია მხოლოდ ერთი ფ.-ლი.

101

კრებული — 1858

I+143 გვ.; 22,2×17,6; ქაღალდი; ტილოგადაკრული მუყაოს ყდა; ნაკლული (აკლია გვ.გვ. 31—34.); დაზიანებული (ამოვარდნილია: გვ.გვ. 47—50; 63—64); მხედრული (სხვადასხვა ხელით); 1858 წ. (Ir).

„ქართული სიმღერები“:

1. „ბესარიონ გაბაშვილის ნათქვამი მუხანბაზი ხუთშირიად, თითო შიირი ცხრა ტაეპია და თითო ტაეპი ათი მარცვალი.—სევედის ბალს შეველ შენაღონები...“ 1—2 გვ.
2. „ბესარიონ გაბაშვილის ნათქვამი. თეჯლისი.—შავნი შაშენი შავ-

გალიას შემსხდარნი...“ 2—3 გვ.

3. „ზაალ ბარათოვის ნათქვამი. მუხანბაზი.—ბულბული მწუხარეობს, ვარდ-
შემომწყარალია...“ 3—4 გვ.

4. [ალექსანდრე ჭავჭავაძე] „ვაჟ, დრონი, დრონი, ნაქებნი მტკბარად...“ 4 გვ.

5. [ალექსანდრე ჭავჭავაძე] „ლოთებო, ნეტავი ჩვენა...“ 5 გვ.

6. „თქმული ესე ლექსი თამარ მეფეზედ კათალიკოზ პატრიარქისა მეფის
ძის ანტონისაგან დავითიან ბაგრატიონისა.—ამისა ბროლსა ნათელსა აყაყი (!)
შუა რეოდა ..“ 6 გვ.

7. [ეპიტაფია] „დავით აღმაშენებელისა.—როს ნაჭარბაგვეს მეფენი შვილნი
მე პურად დამესხნეს...“ 6 გვ.

8. [ეპიტაფია] „თამარ მეფისა.—უბის ავაგე საყდარი, უწყლოსა წყალი
ვადინე...“ 6 გვ.

9. [ლექსი]: „ბაგე ვარდო ნამით სველო...“ 7 გვ.

10. [ლექსი] „მიკვირს, ასრე რად გამწირა სოფელმან...“ 7 გვ.

11. [ალექსანდრე ჭავჭავაძე]: „მაისის ვარდმან ფურჩენილმან...“ 7—8 გვ.

12. [ლექსი]: „მუხანბაზი.—ბულბული მოდის მწუხარებით ცრემლის-
დენითა...“ 8—9 გვ.

13. [ალ. ჭავჭავაძე] „მიველ წალკოტს სანუგეშოთ, ჰკლავს ჩემს გულს
სევდა ესეა...“ 9 გვ.

14. [ლექსი]: „შენდა შეყრამდის ვით გასძლებს გული...“ 10—11 გვ.

15. „ტატი: ბარათაშვილის ნათქვამი.—სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩე-
მად წინამძღვრად...“ 11—12 გვ.

16. [ალექსანდრე ჭავჭავაძე]: „თავსა უფლად ნურვინ ჰკონებთ...“
12—13 გვ.

17. [ლექსი]: „მუხთალმან ამა სოფელმან ასე შემქმნა მომტირალი...“
13 გვ.

18. [ლექსი]: „მუხანბაზი.—ცეცხლი მოედოს, ვინც რომ ენდოს ლამაზსა
ქალსა...“ 14 გვ.

19. [ალ. ჭავჭავაძე]: „მშვენიერთა ხელმწიფავ, მკლავს სიშორე შენითა...“
14—15 გვ.

20 [ლექსი]: „ვეტრფი მე ვარდსა დაღონებული, ზალუმ ჰეი...“ 15—16 გვ.

21. [გიორგი იასენ-ძე ერისთავი]: „დავკარგე ფერიოთა მდიდრათ შემკული,
ესტერი, მიმეფარა...“ 16—18 გვ.

22. «ივანე აქიმოვი»: თავი ვამონე სატრფოსა...“ 18—19 გვ.

23. ალექსანდრე ჭავჭავაძე: შენთან არს გული მნათობო, ვიყო სად
გინა...“ 19—20 გვ.

24. [ალ. ჭავჭავაძე]:

„სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს, რომელ არ მონებდეს...“ 20—26 გვ.

25. «ალექსანდრე ჭავჭავაძე»:

„უწყულები [არ] კირთა ბაღვას, ღუმისს, ოხვრას და კრძალვას...“

22—23 გვ.

26. «ალ. ჭავჭავაძე»:

„როს აღმოპოვდინდა ბადრი მთვარე მანათობელი...“ 23—24 გვ.

27. «ალ. ჭავჭავაძე»:

„არვის მართებს მისი ვარდის მიხვედრა...“ 24—25 გვ.

28. «ალ. ჭავჭავაძე»:

შენს ღირსებას ნატრულობენ ყოვლნი ქალნია...“ 25—26 გვ.

29. [ლექსი]:

„მფარავს ღრუბელი, ვეძლევი ბნელსა...“ 26—28 გვ.

30. [ლექსი]:

„ბაგე ვარდო ნამით სველო, მსურველთათვის მომსურველო...“

28—29 გვ.

31. [ლექსი]:

„ფეიცავ კრონოზი დიადა...“ 29—30

22. [ლექსი]:

...„მხსნენო წმიდათ სულებისა

ჯერ ხარ მამა, მერე შვილი...“ 33 გვ.

შენიშვნა: დასაწყისი აკლია, გადარჩენილია მე-12 და მე-13 სტროფები.

33. [გრიგოლ ორბელიანი]: „ალბომში ჩაწერილი ღრაფინა ოპერმანი-სათვის.—

„შესტრფი საღამოს,

ტკბილ სუნნელ მყუდროს...“ 35—38 გვ.

34. «გიორგი ერისთავი»: „ავერ ცაში მზე ბრწყინვალეებს...“

შენიშვნა: ლექსის ბოლოს სწერია „ალექსანდრე ჭავჭავაძეს“. პოეტი ი. გრიშა-შვილი აშიაზე აწერს ფანქრით: „გიორგი ერისთავისა“ (38—39 გვ.).

35. [ალ. ჭავჭავაძე]:

„უწყალო სიყვარულო, რათ მკოდე ესდენ ძნელად...“ 39—40 გვ.

36. [ლექსი]:

„როს გიყვარდი სურვით შეყვარებულსა...“ 41—42 გვ.

37. «ალექსანდრე ჭავჭავაძე»: „ეს ცეცხლი რომ მეგრზნება(!)...“ 42 გვ.

38. [ალექსანდრე ჭავჭავაძე]:

„ეს სოფელი სამყო ძნელი, მჩვენებელი კმუნის ალთა...“ 42—43 გვ.

39. «ალექსანდრე ჭავჭავაძე»:

„მსძგერს გლახ გული, საყვარელო, მლოდე შენი უწყლავს თმენას...“

43—44 გვ.

40. «დიმიტრი მდივანი» [თუმახიშვილი]:

- „ახალო აღნაგო სულო და
ედემში აღმოსულოდა...“ 44—45 გვ.
41. «დავით ბატონიშვილი»: „სარჩული სჯობს საპირსა, მე ეს მითქვამს მართალი...“ 45—46 გვ.
42. «თუმანოვი»: ჩრდილოეთის მტრედო, ფრთა გაშალე მალეღი...“ 46—47 გვ.
43. «ბესარიონ გაბაშვილი, ნათქვამი მდივანბეგზედ» [მხეჭაბუკ ორბელიანზე]: „რამაჲლო ლეშო, თვალ-ხენეშო, გულ-ლაღარაო...“ 47—48 გვ.
44. «იოსებ მელიქოვი»: „შენ უფასო მარგალიტო, სადა გპოო თეთრო ვერიტო...“ 48—50 გვ.
45. [ლექსი]: „საყვარელსა განმაშორა სოფელმა...“ 51 გვ.
46. „ბესარიონ გაბაშვილისაგან თქმული. — შავ-გლახ გულსა საყვარელო, ვისთვის იწვი მუღამით...“ 51—52 გვ.
47. [ლექსი]: „ვარდო, რათ ხარ თავდახრილი, რად მარიდებ პირსა მშვენსა...“ 52—53 გვ.
48. [ლექსი]: „ქეკლუტა ვენერავ, ნულარ მწვავ ალით, შვება მომფინე შალვით...“ 53—54 გვ.
49. [ლექსი]: „ქალნო, გლახ გირჩევთ აწ მე რას, ყურს უპყართ ჩემსა სიმღერას...“ 54—55 გვ.
50. [ლექსი]: „მოდით ძმანო, გითხრათ, ვინ ამჩენია, სიყვარული ც-ცხლისა გამჩენია...“ 55—56 გვ.
51. [ლექსი]: „როს არშიცი საყვარლისა ხილვას ეშურვებდოეს...“ 56 გვ.
52. [ლექსი]: „ჟი! გაბადრულო მთვარე, ბნელსა ვზი მამეხმარე...“ 57—58 გვ.
53. [ლექსი]: „აღვალო, ბაგე საბრალომ, წარმოვსთქვა ჩემი ჭირია...“ 58—59 გვ.
54. [ლექსი]: „რადგანც გახუნდა ვარდნი იანი, გბრალდესთ ბულბული ბედ-ბუნდიანი...“ 59—60 გვ.
55. „მაჯამა უან მხანბაზი. — ვინ გქმნა მაგ სახედ, ჩემს გულს მანედ, რას მერიდება...“ 60—61 გვ.
56. [ლექსი]: „ესე ხელ-ხება მამენება, ხელი ვყოთ კალამს, ვიწყოთ ქება...“ 62—63 გვ.

57. [ლექსი]:
„მე ვით გავსდლო უშენოდ,
მითხარ რა ვქნა უშენოდ...“ 63—65 გვ.
58. [ლექსი]:
„შენდა შეყრამდინ ვით გასძლებს გული,
სევდამ უწყალოთ მიმატა წყლული...“ 65—66 გვ.
59. [ლექსი]:
„რა ჰქნას გულმან, როს კმუნვა არ მოეხსნეს...“ 66—67 გვ.
60. [გრიგოლ ორბელიანი]:
„არავეისთვის მე დღეს არა მცალიან,
სალომესთან სადილათ მეძახიან...“ 67—69 გვ.
61. [ლექსი]:
„გებრლოდეთ, მე ცრუ სოფელმან სატანჯავათ მიმიწვია,
ზე აღმიტაცა, თან ვზდიე, აწ უცებ ქვე დამიწვია...“ 69—70 გვ.
62. [ლექსი]:
„მასმენს ნუგეშს ის არა, გული ეკლით ისარა...“ 70—71 გვ.
63. [ლექსი]:
„ორსა ბროლსა ბურჯსა შუა შიგან უფასო თვალთა...“ 71 გვ.
64. [ლექსი]:
„ან. ალვით ნაზარდო ნორჩო, ბან. ბროლო ნათალ მინაო...“ 71—72 გვ.
65. [ლექსი]:
„როს ვნახე შენი თვალეზი, ტრფიალთა დამამთვრალეზი...“ 72—73 გვ.
66. [გრიგოლ ორბელიანი]:
„გულით ერთნო მოლხინენო, აწ შეკრბით
ვინ თასით, ვინ ჯამით აზარფუშით...“ 73—75 გვ.
67. „ქნინა რახიელისაგან თქმული.—
„უგვანთა ტრფობა, უგრძნო ტრფობა, თუ ვის გსმენია...“ 75—76 გვ.
68. „დავით ბატონიშვილისაგან ნათქვამი.—
განმიფრინდა სიხარულის ფრინველი, ნელიმ...“ 76—77 გვ.
69. [ლექსი]:
„რადგან მეგობრად არ მიკმარეო,
გასწი განზედა, გაიარეო...“ 77—78 გვ.
70. [ლექსი]: „ყაჯარ ბაიათი.—
ვიგლოვდი პირ-მთვარე შენ სიშორესა...“ 78—79 გვ.
71. [ლექსი]: „ახალი ოთური მუხანბაზის ხმაზე.—
ბანოვანთ ხელმწიფათ,
ტურფათა ლამაზ ქალთა...“ 79—81 გვ.
72. „ალექსანდრე ქავქავაძისაგან თქმული.—
უპყრივარ ჰირსა მალვას... ნელიმ... დუმოლ ოხვრას დაკრძალვას...“
82 გვ.
73. „ალექსანდრე ქავქავაძისაგან თქმული.—
ვითა ზენანი დათმენანი გემონებთან...“ 83—84 გვ.

74. „სვიმონ წინამძღვრის შვილისაგან თქმული.—
როს მეღირსა შენი ცნობა, მყისვე საგნით მექმნა ტრფობა...“ 84—85 გვ.
75. „ზაალ ზაალოვისაგან თქმული.—
მნათობო, სხივნი შენნი ნელიმი...“ 85—87 გვ.
76. [თეიმურაზ II] „ხილების ქება.—
მარწყვმან თქვა, მოვალ პირველად, მე ვერ მომისწრობს ხილია...“
87—92 გვ.
77. [ღესიკი]:
„მოდით მიჯნურნო, მსოფლიურნო, ვინ ხართ დაგულნი...“ 92—93 გვ.
78. [ლექსი]:
„აი მარალო, მარალო, რა შენ ჩემგნით წახველი...“ 93—95 გვ.
79. [ლექსი]: „მუხანაზი.—
დაპკოდს ისარნი და ლახვარნი ეშხით პურულ გულსა...“ 95—97 გვ.
80. [ალ. ჭავჭავაძე] „მუსტაზადი.—
ისმინეთ მსმენნო, ქირთა მთმენნო, მომიპყართ ყურნი...“ 97—98 გვ.
81. [ლექსი]:
„ვამ ეს დრონი, საყვედრონი, მომცემს წყენასა...“ 99—100 გვ.
82. [ალექსანდრე ჭავჭავაძე]:
„ვისაც გსურთ ჩემთა ახმათა ცნობა,
მისმინეთ ქირში ფლობილს...“ 100—101 გვ.
83. „სვიმონ წინამძღვრის შვილის ნათქვამი.—
კმაყოფის გზანი დაეკარგე, ვერა ვპოვე სად არია...“ 101—102 გვ.
84. „სვიმონ წინამძღვრის შვილისაგან ნათქვამი.—
უშენობით კენესის გული,
შენგან დამწვარ დადაგული...“ 102—103 გვ.
85. „ხელოქა ტაინოვისაგან შინაწერი წიგნი თავის საყვარელთან.—
მითხარ, თუ ვახლო თავმა რა ქეასა...“ 104—105 გვ. (შდრ. „ალ.
ჭავჭავაძე. გამოც. გრიშაშვილისა, გვ. 285).
86. [ალექსანდრე ჭავჭავაძე]:
„ქუთუნის მახვილი გულსა მსომია.
მიკვირს, თუ სული რათ არ მხდომია...“ 105—106 გვ.
87. „მამუკა ყაფლანის შვილის ნათქვამი.—
მოგოგონებ ჩემს გვრიტს სიცოცხლეს...“ 106—108 გვ.
88. „მამუკა ყაფლანის შვილის ნათქვამი.—
ნუ შმაგობ ფიქრო, ცეცხლებრ აღგზნებულ...“ 108—109 გვ.
89. „ოცნება პუშკინისაგან“, თავადი ალ. ჭავჭავაძისა:
„სადა არიან ოცნებაო სიტკბონი შენნი...“ 109—110 გვ.
90. [ლექსი]: „ნაფას იხტილათი.—
კრონოსის დღესა, ნათელ მზესა, სახე ვესების, ლაწვ ვეარდების...“
110—111 გვ.
91. [ლექსი]: „ნაფას მუხამაზი.—
პირ-ბაღრსა ჰშვენის ელვარება ტრფიალებისა...“ 111—112 გვ.

92. «რ. ვახვახოვი» „ნინას დაბადებაზე.—
მომილოცამს ქალის ყოლა, დღეობა...“ 112 გვ.
93. «ეუკოვსკიდან, აღ. ქავჭავაძე»:
„ოჰ სოფელო! რად ხარ ესრეთ მდიდარ ოცნებით?...“ 112 გვ.
94. «ბუშკინიდან, აღ. ქავჭავაძე»:
„ამა სოფელს დამშთომიეს მხოლოდ ესე სანატრელი...“ 113 გვ.
95. „თარგმანი რუსულის ლექსისა.—
შენ გეტრფის გული მნათო, სრულო არვის ვადარებს...“ 113—114 გვ.
96. „ჩახრუხაული მუხანბაზი ბუ დ ა რ ა ს ნატქვაი.—
ეშბით დამწველო, ლერწამ წელო, აღზრდილო სარო...“ 114—115 გვ.
97. «ალექსანდრე ქავჭავაძე»:
„მას წალკოტსა მშვენიერსა, სად მდელონი შენაკობიან...“ 115 გვ.
98. «გ. თუმანოვი»: „თახმისი.—
ვარდო, ამაყო, დამწვარ ვარ, მე სურვილითა სრულითა...“ 116—117 გვ.
99. «გ. თუმანოვი»: „თახმისი.—
ამხმელი თვალთა, განვიციდი ცათა ცთომილთ დასადარებს...“ 117—118 გვ.
100. «გ. თუმანოვი»: „ღუბეთი.—
დილით თვალთა აღმხილველი აჭროდიტ ესქერეტ ნამკროლოვარებს...“ 118 გვ.
101. «გ. თუმანოვი»: „ღუბეთი.—
მუხთალმან ამა სოფელმან ასე შემქმნა მომტირალი...“ 118—119 გვ.
102. «გ. თუმანოვი»: „მუსტაზადი.—
ეპა ნნაფობო, ცთომილთ მჯობო, გეტრფი სულითა. .“ 119—120 გვ.
103. [ლექსი]: „ოსმალის ყაიდა.—
ცე სიყვარულო, ნუ დამწვავ მე მძაფრისა ალითა...“ 120—121 გვ.
104. [ლექსი]:
„ვთუ ჩემმან, გლახ შავმან ბედმან, აქ განმისაზღვრა მეც აღსას-
რული...“ 122 გვ.
105. [ლექსი]:
„მინდა ლექსი ვსთქვა, ქალო, მაგნიტიზმური...“ 122—123 გვ.
106. [გრიგოლ ორბელიანი]:
„ახ! დილავე, დილავე, კვლავ სანატრელო...“ 123—124 გვ.
107. [ლექსი]:
„სანიმ სანი გიულ გიორდშ...“ 124—125 გვ.
108. „ბერანეეს თხიზულეზიდგან(!) გარდმოთარგმნილი რუსულიდგან 1858-ს წელს, იანვრის 30-სა დღესა, გრიგოლ მუხრანბატონისაგან. კეთილ მცნობი სენატორი.—
ვარ მე სულით და გულით ცოლთან შეთვისებული...“ 125—129 გვ.
109. «სვიმონ წინამძღვრიშვილი»: „წარმკითხველთან.—
შიირთვი ესე თარგმანი ბერანეეს სტიხებისა...“ 129—130 გვ.

შენიშვნა: აკროსტიხული ლექსია, კიდურწერილობა იძლევა „მიხაილ“-ს.

- 110 „ბაბილონის დარღვევისა და ენათა შერევის დროს მიწერილი მუხან-
ბაზი ისაიასთან, სვიმონ წინამძღვაროვის თხზულება.—
სად გაეშურე ტფილისიდან პარუნ ისაი...“ 130—131 გვ.
111. [ალექსანდრე ქავჭავაძე]:
„მართას ავათყოფობა და ექიმის ნახვა.—
ოდეს პირველმან კაცმან მცნებისა გარდახდომით...“ 132—137 გვ.
112. [ლექსი]:
„საბრალო გულო, რად მღვლეარებ ტრფობისა ვნებით...“ 137—138 გვ.
113. [ლექსი]: „ქოროლბის დასტალული.—
უჯა დაღლარინ ბაშინან იაზ ბირიანნან ყიშ ბირიანნან...“ 138—140 გვ.
114. [გრიგოლ რჩულიშვილი]:
„ახ მთვარევე, ძთვარევე, დამწვართ იმედო...“ 141—142 გვ.
115. [თურქული ლექსი]:
„ახირდი ჩიხდი მეშადან
გუნ თუთულდი თამაშადან...“ 143 გვ.

102

ბასილ დიდი: მიცვალება ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა — XIX

32 ფ.; 21,5×16; ქაღალდი; უყდო; მხედრული (სათაურები სინგურით); [XIX ს.].

„თა აგვ[ი]სტოსა იე. მიცვალება ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა, თქმუ-
ლი წმიდისა მამისა ჩუც[ნისა] ბასილისა კესარიელისა, რაჟამს იგი აღვ[ი]დოდა
ქყნით ზეცად.—რაჟამს სულისაგან წმიდისა ღმრთისმშობელსა მარიამს გულისკმა
ეყო ჟამი განსვლისა მისისა ამიერ სოფლით, მაშინ მზიარულ იქმნა სიბრძნითა
საღოთოთა...“ 1v—32r.

თხზულებას ბოლოს ერთგის „შენიშვნა: ეს ხელთნაწერი წიგნი ვიპოვენ მამიჩე-
მის წიგნებში, თუმცა ნათქვამია წმ. ვასილი კესარიელისა, მხოლოდ ნაწერი ვისია არა
სხამს. არც ატყვია წელიწადი, თუ რომელს წელშია დაწერილი. მხოლოდ ვინაზამ ისე,
როგორც ძველი ხელთნაწერი ქართველებისა, საჩვენებლათ. მერეთის სამინისტრო სკო-
ლის მასწავლებელი მღვდლის შვილი პეტრე გიორგის ძე მახარობლიძე, 1900 წელსა,
ავგისტოს 8 დღესა, გორის მახრა“ (32v).

103

გიორგიმეშაძის ტრაქტატი—XIX

II+26 ფ.; 16,2×10,3; ქაღალდი ლურჯი; მუყაოს ყდა; ბოლონაკლული; მხედრული
(სათაურები სინგურით); [XIX ს.]; I-II და მე-14 ფ. დაუწერელია.

„სახელითა ღმრთისათა, ყოვლისა შემძლებელისა ერთისა სამწმიდაობისა შინა
დიდებულისათა.—ადრიდგან ერთმორწმუნეობამან ყოვლისა რუსეთისა იმპერია-

ისა თანა ქართულელთამან მსახურა მფარველობითა, შემწეობითა და შესავედრე-ბელობითა მათ ერთა და უგანათლებულესთა მათთა მფლობელთათა წინააღმ-მდგომად მაჰირუცხელთა, რომელთაცა ქუცშე შევედრომ იყუნენ იგინი მეზო-ბელთაგან თვსთა, მფარულობამან ყოელისა რუსეთისა თვთმპყრობელთამან მეფეთა მიმართ საქართულელთასათა, ნათესავთა და ყმათა მინიჭებულმან გამოი-ჟუანა მოკიდრება იგი უკანასკნელთა ამათ პირველთა მათგან, რომელი იხვე-ნების რუსეთის იმპერატორისაგან ტიტლოსაგან. აწ ბედნი:რად მფლობელმან იმპერატორებისა მისისა დიდებულებამან ცხად უყო ერთა მათ ნაძტვილითა სახითა მონარხობითი თვისი კეთილნებობა..." 1r-13v.

შენიშვნა: დართული აქვს ბოლონაკლული „ტრაბტატი“,—ქართლისა და კახეთის თავად-ახნაურთა სია 310 გვარის დასახელებით.

104

პაბტანა VI: სამართალი—XVIII

55 ფ.; 23×16; ქალაღი; ჟუდო; თვენაკლული; მეტად დახიანებული (ქალაღი დაშლი-ლი, დასაწყის 4 ფ.-ს ზედა ნაწილი მოხუელი აქვს); [XVIII ს.]; დაუწერელია 50r-v.

...„[ხ] მოგვიხსენებ[ნია, ამისთანას კაცს დაეჯერების], კაცი თუ არის, და ათსა და ოც[სა ან ერთ პირ სოფელსა მოწმობას] დაუჯერებენ...“ (მე-13 მუხ-ლიდან) 1r-49v.

შენიშვნა: ა. ტექსტს, რომელიც სო მუხლს შეიცავს, დართული აქვს ჩაძიებულ ანბანზე რიგზე (51r-54v);

ბ. სამართლის წიგნთან ცალკე ფურცლად მოიპოვება ქართველ მეფეთა და მთა-ვართა ქრონოლოგიური ნუსხა (ვინ ვის შემდეგ იყო და რამდენ ხანს იმეფა), იწყება ამხასპით და წყდება მეფე დავითზე, რომელიც „ქართ. რა-ს გამეფდაო“ (55r-v).

105

ქრებული—XIX

30 ფ.; 22,2×17,5; ქალაღი; ჟუდო; ნაკლული; მხედრული; [XIX ს.]

1. „ისტორია ა...ექსანდრე მაქედონელისა აღმოსავლეთისა, დასავლეთისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა თვთმპყრობელისა მეფეთ-მეფისა.—მაკედონიის მეფისა აღ(?) არს ესე ძე იგი ეგვიპტისა მეფისა ნექთანაფისა ფილიპეს ცოლისა დე-ლოფლისა ალიმპიადეს(!) მიმართ შემთხვევ[ი]თა მით ესრეთიბა, ვითარმედ იყო მეფე ეგვიპტის ნექთანაფ მისნობისა და ვარსკვლავთ-მრიცხველობისა ხელოვ-ნებითა განვსწავლული(!) ფრიად...“ 1r-16v.

წყდება „...ათინის ქალაქი, არც ერთისა ვისგანმე აღებულ არს ესე. და ოდესმე დიდი ვინმე მეფე მოვიდა მრავალს წელს ბრძოლად, ვერა რა უყო: არამედ უფროს ჩვენ მიერ იძლივნეს“... 16v.

2. ისტორია ხენძილ იტაო მშენიერისა ქალისა და ვაჟისა.—რომელსამე ფრიად მდიდარსა ვაჭარსა, მცხოვრებსა ერთსა საუცხოვისა და დიდ[ლ]სა ქალაქსა, ჰყვა ექვსნი შვილინი: სამნი ძენი და სამნი ასულნი...“ 17r—30v.

„შესავალი ღრამმატიკისა. § 1.—ღრამმატიკა არს სწავლა მართლ-უბნობისა, წერისა, კითხვისა და გულისკმისყოფისა მათისა თჳსებისამებრ ხმარებისა ენათასა. სხოლიო: ლექსი ესე ღრამმა არს ელინებრი და დაჰნიშნავს წიგნსა, ანუ წერილსა, ანუ ასოსა, და ამისთჳს ღრამმატიკა არს სწავლა თჳსებათათჳს და ხმარებათა ასოთასა...“ 1r—4r.

წყდება: „...საქმე უმცირესი, ანუ ფრიად მცირე, ანუ ყოვლად უმცირესი, ფრიად უმცირესი და სხუანი“... (§ 23-დან).

274

ხსენება ღვთისთავის ალმაშენებლისა—XIX-XX

2 ფ.; 35×22,5; ქალაღი; უყდო; მხედრული; [XIX—XX ს.]

„თეგსა იანვარსა კვ. კსენება კეთილმსახურისა მეფისა დავით მესამისა ყოვლისა საქართველოჲსა და ზედწოდებულისა ალმაშენებლისა, გ. მ.—ხოლო იყო წა დავით ძირთაგან კეთილრტოვანისაგან დავითიანისა, აღმოცენებული ძველთაგან, მართლისა სარწმუნოებისა შობილი. და ოდეს მოიწია უსჯულო აგარიანი აღმოსავლეთით წარსატყვენელად ჩრდილოეთისა მხარეთა, მას ჟამსა წა ესე იყო უსრული ასაკითა და ივლტოდა მთად ოსეთისა... 1r—2r.

წყდება: „...სულარი ერთი და მას თანა მოგვთაგან შეწირული ოქრო, რომელი შობასა უფლისასა შესწირეს ქრისტესა“...“

275

ქილილა და დამანა—XIX

416 ფ.; 31,5×20,5; ქალაღი; ტყავადაკრული მუყაოს ყდა; ბოლონაკლული; მხედრული (სათაურები სინგურით); [XIX ს. დასაწყ.]

„ქილილა და დამანა: „ვიწყევით პირველი არაკი იგავთა თვალ-მარგალიტთა, მებაზრეთა და სიტყუა-კელოვანთა, გამომჩრცკელთა და უცხოთა არაკებთათვის პირის ამღებთა და საკვირველთა, შემჭევრებითა თქმულთა შემაწყობელთა, ამა ამბისა თავი ჰაი, ჰაი ასე მოურთავსთ ქებულისა და გამოჩენილისა კაბადონთა, დასაწყის ფურცელი უცხოთ რამ შეუწყვიათ, რომელსა პირველსა ჟამთა და დროთა ჩინეთისა ქვეყანასა ერთი მეფე ყოფილა, რომე მისი ბედ-სვიანობა და მისის სახელდიდების კმა ყოველგან განუფილ იყო...“ 10r—415v.

წყდება: „...რალასლა ვეძებ სახვეწრად კლდესა, ტყესა და მახესა, რაც ვერგოთ ჩემის ამ საქმით, აწლა თვითანცა ნახესა“...“

(1886 წლის გამოცემის მიხედვით ნ. გვ. 586, 17; აკლია მარტო უკანასკნელი სტროფი).

შენიშვნა: წინ უძღვის: ა. „ქარი პირველი ქილილა-დამანასი, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმნები მეფის ვახტანგისაგან:

მეც მიყვევ სპარსთა ზღაპარსა თარგმანებისა მძებართა.

არავინ მიშვებს გარეგანმთათა და გინა მე ბართა...“ (1r). ბ. „დასაწყისი პირველი წიგნისა ამის, შესავალად თქმული ბრძენისა [ანუ]რი სილიისა.—სრული სიბრძნე ამისად შემსავსებულად საფუძველად...“ (1v—3r); გ. [წინასიტყვაობა სპარსული ვერსიისათვის] (3r—6r); დ. „ანდურომი დიდს ჰირსა შინა მყოფის მეფის ვახტანგისა. ჟამსა მას პატიოსნისა და ამაღლებულისა, დიდათ შუნიერისა თვითმპყრობელისა და დიდ

გვირგვინოსანისა მეფეთ-მეფისა თამარისა ესე წიგნი ვთარგმნათ, რომელი ცხოვრებასა ქართლისასა წერილ არს, ამითიც საცნაურ არს...“ (6r—7v); ე. [წინასიტყვაობა „ქილილა-დამანას“ ქართული ვერსიისათვის]: „ეს წიგნი ჭირმანს, ისპანს, შეჭირვებაში მყოფსა და უსაქმო მზრუნვასა, გონების ურვის წამლად მოგებუშავა, მეფეს ყახტანგასა სპარსულისაგან ქართულად ვთარგმნინა...“ (7v—9v; ეს წინასიტყვაობა 1886 წლის გამოცემაში არ იბოვება); ვ. [სარჩევი...] (9v—10r).

შიგადაშიგ თავისუფალ ფურცლებზე ჩაწერილია ძველი და ახალი თაობის—„მამათა და შვილთა“—პაექრობა (43v—44r; 57r; 172v—173r; 184v; 416r).

ხელნაწერი დატოვებულია თავისუფალი ადგილები სურათების ჩასახატავად.

276

რუჰათის მემე ალექსი მიხვილის ძე: სამართლის წიგნი—XVIII

400 ფ.; 13×20; ქალაღი; ტყავადაკრული ხის ყდა (ზედა ყდის ფიციარი დაკარგულია, დარჩენილია ტყავი); თუნაკლული (აკლია პირველი ოთხი ფურცელი); დაზიანებული (პირველი ათი ფურცელი ამოვარდნილია და ნაწილობრივ დაზრულია ქიისაგან); მუდრული (სათურებო სინგურით); [XVIII ს.]; დაუწერელია: 62v—64v, 68v, 397r—400v.

[სამართლის წიგნი]: „თავი ა. ამაში არის თ განჩინება მლთის მემობელთათვის და ეკლესიათა აღმაშფოთებელთათვის.—ა. თუ ვინმე სხვამ სჯულსამ, როშლისაც იყოს სჯულსამ(!), და ანუ რუსმან კაცმან დასდეს გმობა უფალსა ღმერთსა და მაცხოვარსა ჩვენსა იესოს ქრისტესსა ზედა და ანუ მშობელსა მისსა, ყოვლად წმინდასა დედოფალსა ჩვენსა მლთისმშობელსა და მარადის ქალწულსა მარიამს ზედა, ანუ პატოისანსა ჯვარსა ზედა, და ანუ წმინდათა მისთა ზედა, ამისთვის გამოიძიონ ყოვლის გამოძიებითა მაგრაღ...“ 69r—396v.

შენიშვნა: სამართლის წიგნი შედგება 25 თავისაგან.

წინ უძღვის: ა. «თავთა» და მის შემადგენელ «განაჩენთა» სარჩევი (1r—62r);

ბ. [წინასიტყვაობა სამართლის წიგნის შემდგენელთა]: „პატრონმან მეფემან და დიდმან მთავარმან ალექსიმ მიხვილის შვილმან, ყოვლის რუსეთის თვითმპყრობელმან, მეტყესა წელსა მასაკისა თვისისასა და მესამესა წელსა მლთივ დატულსა შეფობისა მისისასა ზრახვა ჰყო...“ (65r—68r).

277

ჭინელონი: ბარდასავალი თელემეკისა—XVIII

140 ფ.; 19,7×16; ქალაღი (სხვადასხვა ფერისა); ტყავადაკრული ხის ყდა; ბოლონაკლული; დაზიანებული; მუდრული (სხვადასხვა ხელით); [XVIII ს.]; დაუწერელია: 1v, 2v, 6v, 120v—140v.

„გარდასავალი თელემეკისა ძისა ულისესი, წიგნი პირველი.—ულისესს წარსელის უკან კალიპსო ვერლარა ნუგეშ იცემს მწუხარებითა თავსა თვსსა, საწყალს ეძახის, რომელ უსიყუდილო არს, ქებასა მისსა ტკბილი კმოვანებანი სახიობისა არლარა არიან...“ 7r—120r.

წყდება: „...მოკლე სიტყვითა გამომიჩინა ცხადად, რომე მას მასთან მას(!) შეგობრობა აქენ შეურყეველი“... (მე-13 წიგნიდან).

შენიშვნა: თხზულება 13 წიგნისაგან შედგება.

წინ უძღვის: ა. თავფურცელი: „გარდასავალი თელემაკისა ძისა ულისესი, კმნული უფლისა ქენელონისა მიერ, ძრანტუხის კოროლის შვილთა მასწავლებლისა, რომელი იყო მერმე არხიეპისკოპოზი კამბრეისისა და მთავარი რომის იმპერიისა“ (1r); ბ. „არღუმენტი, ესე არს გამოცხადებანი წიგნთა, რომელ არიან პირველს ნაწილსა შორის. წიგნი პირველი.—მინერვა თანა ზღვეს თელემაკს სახითა მანტოროისათა...“ (3r—6r).

278

ბრიგოლი: ცხოვრება ბასილისი და თეოდორასი—1703

120 ფ.; 19,2×15; ქალაქი; ტყავადაკრული მუყაოს მოცილებული ყდა; თავნაკლული (აკლია პირველი ოთხი ფურცელი); მხედრული (სათაურები სინგურით); 1703 წ. (119v); ტექსტში მრავლად არის გაშვებული ადგილი ილუსტრაციებისათვის; გადამწერი —გალობელი პეტრე (119v); ადგილი—მოსკოვი (119v).

[გრიგოლი: ცხოვრება ღირსისა მამისა ჩუენისა ბასილისი და მკეელისა მისისა თეოდორასი].—...სისა მიერ. ხოლო მათ შეიპყრეს იგი და შეუკრნეს კელნი მისნი და ეგრეთ მიიყვანეს წინაშე მფეისა და თვითოეულად ყოველივე აუწყეს მისთვის მფეისა და ჰრქვეს...“ 1r—119v.

ანდერძი: „ხოლო აღწერა საღთო ესე წიგნი მოხილვისა სამეფოსა ამას ქალაქსა შინა მოსკოს, კელითა მგალობლის პეტრესითა, დასაბამითგან ვიდრე აქამომდე წელთა გარდასრულთა შვიდი ათას ორას და ათერთმეტსა, ხოლო კრისტეს აქათ—ათას შვიდას სამსა. გვედრები ყოველთა, შენდობას ჰყოფდეთ ჩემ უღირსისათვის, ოდესკინმე მიემთხვეოდეთ, რამეთუ ფრიადნი კირნი მინახვან ამის გამართვაზედა“ (119v).

მინაწერი მოიპოვება 120r-ზე.

279

კრებული—XIX

141 ფ.; 21×17,2; ქალაქი (ცისფერი); ტყავადაკრული მუყაოს ყდა; თავბოლო ნაკლული; დაზიანებული (1 და 2-ფ.-დან უმნიშვნელო ნაწილიდაა დარჩენილი, ხოლო მე-3 ფ.-ისა კი—ნახევარი); მხედრული; XIX ს. (კვირინიშანი: 1817).

1. [საბა-სულხან ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა]: „...ჩვენი გზირი დაურჩევითო. გამოუსივეს კაცი სოფელსა მას, ათასი მარჩილი წაართვეს, დაუწყეს გინება გზირსა,—ცოცხალმან მოგვთხარა და მკედარმან აღგვთხარა. თქვა რუქამ არაკი...“ 3r—83r.

2. [თიძსარიანი]: „კარი მეორე, დასაწყისი. ინდოთ კელმწიფისა ანბავი, მფეის, პატრონის დიდის თეიმურაზისაგან სპარსთა წმინდათასა ქარ-

თულად გამოთქმული.—იყო კელმწიფე ერთი ინდოეთისა, ნათესავად წიგნთა(!) ძველთა გვართა კელმწიფეთა შვილი, და ერქვა სახელად თაყყარჩხან...“ 83v—140r (შდრ. 1939 წლის გამოც., გვ. 196,1)

წყდებდა: „...ერთმანეთს შევარიგოთ და მართალი გამოვიყვანოთ. პებერ-მან ასე უთხრა: შენ მიდი...“

მიწერილი მოიპოვება 140v-სა და 141r-v-ზე.

280

მანბანბ VI: სამართლის წიგნი—XIX

70 ფ.; 21,3×17; ქალაღი; ტყავადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათაუ-რები სინგურით); XIX ს. (კვირინშანი: 1815); გაღმწერი—სფირიდონ იაშვილი (ხეჯლაღ-ან); დაღწერელია: 1v—2v, 3v, 67r—70v.

„თქმული და ნაღვაწი და ნასიბრძნი ნეტარად სახსენებელის მეფის ვახ-ტანგისა ჟამსა უფლისწულობისა მისისასა, რომლისა საუკუნო იყავნ კსენება მისი. შესავალი პირველი.—მყოფისა უმყოფისა, არსისა და უარსისა და მარ-სისა მჭები, არა თუ ღირსად, არამედ შეძღებისაებრ ჩემისა მჭებელი და მძო-ნებელი...“ 4r—61v.

შენიშნა: ბოლოში დართულია: „ხანდუკი წიგნისა ამის...“ (62r—66v).

ანდერძი: „ღღმწერი წიგნისა ამის სფირიდონ იაშვილი“ (66v).

მიწერილი მოიპოვება 3r-ზე.

281

სირინოზიანი—1837

169 ფ.; 32×19; ქალაღი; მუყაოს მოცილებული ყდა; დაღლილი (პირტყმოა ჩაკინძული. 27—37 ფ. ფ.); ნაკლული; მხედრული (სათაუოი სინგურით); თავბოლო კახმულობანი (1r, 38v, 41v, 43r, 44v, 47rv, 48r, 54r, 56v, 102r, 104v); შიგაღაშიგ ჩართულია ფერადებით მღარად შესრულებული ილუსტრაციები (1r, 69r, 71r, 105v, 106v); 1837 წ. (70v, 168v); გა-ღმწერი—პავლე ოსეფიჩი (70v); ადგილი—სოფ ახმეტა (168v); დაღწერელია: 169v.

„კარო პირველი. მაშრიყის კელმწიფის არღაფის და ძისა მისისა სირი-ნოზისა ამბავი, შესაკევეად სასწენი.—იყო კელმწიფე ქუტყანასა ვაშრიყისასა, რომელსა ეწოდებოდა სახელად არღაფ. ესე იყო დიდი და მალალი კელმწი-ფე...“ 1r—168v.

ანდერძი: 1. „სრულ იქმნა პირველი კარი 1837 წელსა, თებერღლის 24-სა, კელ-თა ჩემითა, დაღწერა პავლე ოსეფიჩისა მიერ“ (70v); 2. „ღასრულდა კარი მეორე სირი-ნოზისა და მარისისა. ამისა მსმენელნო და წამკითხველნო, თქვენჯა დაღსრულებელ იყვენით ქვეყანასა ზეღ ბენდიერებით. სრულ გჰყავი თელღის უღბდის სოფელს ახმეტა-სა შინა ყოფასა ჩემსა, მარტის 19 დღესა, განზორციელებითღან სიტყსა ღთისა 1837-სა წელსა, ხიღო კართულსა კორონიკო[ნ]სა... წელსა“ (168v).

კრებული—1800

327 ფ.; 16,3×10,5; ქალაღი (სხვადასხვა ფერისა); ტყავგადაკრული ტვიჭრული ხის ყდა; დაზიანებული; ნუსხური (სათაურები სინგურით); 1800 წ. (56r); გაღმწერი—ხუცესი სუმუნ (56r, 106v, 161v, 181r, 226r, 250r, 272r); დაწერელია: 107r-v, 181v, 272v, 284v.

1. „თა აგვისტოსა ვ. წმიდათა შორის ნეტარისა მამისა ჩნისა ევოემ ასურისა სიტყუად ფერისცვალებისათვს უფლისა ღმ და მაცხოვრისა ჩნისა იესუ ქრისტესი, მ. გ.— აგარაკისაგან მკა სიხარულია, ხოლო ვენახისაგან ნაყოფნი სანოვაგეთანი, და წერილთაგან სწავლანი [ცხ]ოველსყოფელნი...“ 1r—9v.

2. „თა აგვისტოსა იე. მიცვალებად ყოვლად წმიდისა უბრწუნელისა და უმეტეს კურთხეულისა დედოფლისა ჩნისა ღმმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა ქუცყნით ზეცად ამოღებისათვს, თქმული წმიდისა მამისა ჩნისა ბასილი კესარიელ მთავარეპისკოპოსისა. ქუცყნით ზეცად აღსლვსა და მისთვისცა, რათა საიდუმლო აღესრულა საკვრველი ცასა და ქუცყანისა წმიდისა მიერ დედისა ღმ, გ. მ.—სამებაწან წმიდამან, ცხოველმან, დიდებულმან, დამბადებულმან ყოველთა დაბადებულთამან, რომელ არს მამა, ძე და სული წმიდად, ერთი უფალი და ერთი ღმერთი, ამან სახიერმან ღირს მყო მე ძიებად საშინელსა საიდუმლოსა ...“ 10r—56r.

3. „თა მარტსა თ. წამებად წმიდათა ორმეოცთა სევასტიას წამებულთა, რომელთა სახელები ესე არს, გ. მ.—დომენტიანოს, კვირილე. ვალენტი, ევტუქი, ევლიკოს... ჟამთა მათ ნოკეკის(!) მეფისათა იყო დევნულება დიდი ქრისტიანეთა...“ 56r—68v.

4. „მეხუთესა კუთშაბათსა. ცხოვრებად წმიდისა და ნეტარისა მარიამ მეგვკტელიისა, რომელი იყოფოდა უდაბხოთა მათ იორდანისათა, მ. გ.—საიდუმლოთა მეფისათა დამარხვა კეთილ არს, ხოლო საქმეთა ღათა ქადაგებად სარგებელ არს და დიდებულ...“ 69r—106v.

5. „ღიდსა პარასკევსა. საკითხავი ჯუარცმისათვს დმ დფლვსა უფლისა ჩნისა იესუ ქრისტესი, თქმული ნეტარისა მამისა ჩნისა გიორგი ნიკომიდელი მთავარეპისკოპოსისა, მ. გ.— მალალსა და აღმარებულსა სახილავსა აღიწია ქადაგებად იგი სახარებისა და ვითარცა კმამ მალლითა ნესტვსა ღალადებითა სასმენელად თვისსა ტკბილისა სწავლისა ყოველთავე მიუწოდს...“ 108r—140v.

6. „ღიდსა პარასკევსა, შუადღე. საკითხავი ვნებისათვს და სიკდილისა, მოსაკსენებელი მაცხოვრისა ჩნისა იესუ ქრისტესი, თქმული ანანი ებრაელისა, მ. გ.—რამეთუ ვცან უფლისაგ ჩნისა იესუ ქრისტესი წიგნთაგან სალოთთა და სარწმუნოებით გულსმოდგინედ ვისწრაფე და აღვსწერენ მოსაკსენებელნი...“ 141r—155r.

7. „განჩინებად პილატესი სიკდილისათვს ივსა.—ნათესავთა შენთა თქუცს შენი მეფობად, ამისთვ სცა განაჩინა შენი სიკდილი და მაშინღა ცემა. შოლტითა მისი სჯულისათვს უძლეველთა მეფეთა...“ 155r—161v.

8. „წმიდათა შორის მამისა ჩინისა ეპიფანე კვპრიელ მთავარეპისკოპოსისა სღა კორცთა უფლისა ჩნისა იესუ ქრისტესათა დაფლესათეს და იოსებ და ნიკოდიმოსისათეს და ჯოჯოხეთად შთასლესათეს უფლისაჲ ყოვლად განმაცხოველებელისა ვნებისა მისისა, რომელი-ესე იკითხების დიდსა შაბათსა, მ. გ.—რაჲ არს ესე დღეს დუმილი ქუცყანასა ზედა, დუმილი მრავალი ქუცყანასა ზედა, და მყუდროებაჲ მრავალი, დუმილი მრავალი, რამეთუ მეფუცესა სძინავს...“ 162r—181r.

9. „თ[უცსა] დეკემბ[ე]რისა ვ. ცხოვრებაჲ და მოქალაქობა წმიდისა და საკვრველთ-მოქმედისა მამისა ჩნისა ნიკოლოზ მთავარეპისკოპოსისა მირიან ქალაქისა, რომელ არს ქუცყანასა ლუკისსა, მ. გ.—ცხოვრებანი და მოქალაქობანი ღთ-შემოსილთა და წმიდათა მამათანი მსგავს არიან მაგალითსა მხატვართასა, რამეთუ ვითარცა ივინე განიცდიან პირველ გამოსახულსა მას სახესა, და კელოვნებით მიამსგავსებენ გამოწერილსა მას...“ 182r—226r.

10. „უწყებაჲ პირველთა, გამოწულილთ შეკრებილი ნეტარისა იოანეს-გან ზუცისა და მონაზონისა დამასკელისა, საკითხავი შობისათეს უფლისა ჩნისა იესუს ქრისტესისა, მ. გ.—რაჲამს ზაფხული მოიწიოს, ყოვლისა სოფლისა ნიეთნი კულად განახლებად მოიქცევან და კაცნი წესიერებითა აგებულებისათა შეზავებულნი სიმრთელესა გუ[ამ]ისასა შეიწყნარებენ...“ 226v—250r.

11. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩნისა გრიგოლი დისმეტყველისა, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა, ნათლისღებისათეს უფლისაჲ ჩნისა იესუ ქრისტესისა, მ. გ.—კდ იესუ მაცხოვარი ჩემი და კდ საიდუმლო, არა საცთურებანი, არცა უმკობელი, არცა საწარმართოსა მის ცთომილებისა და მთვრალობისა...“ 250v—272r.

12. „თა ნოქ[ემ]ბერსა ე. წმიდათა შორის მამისა იოანე ოქროპირისა, კოსტანტინეპოლელ მამათმთავრისა, თქმული სერაფიმათეს, გ. მ.—ძლით-და სადმე განვლეთ ოზისთესი (!) უფსკრული, ხოლო ძლით განვლეთ არა გზისა სივრცისათეს, არამედ სწავლის მაცხოვარებისა თქნ თქნთა ნავით მავალთასა...“ 273r—284r.

13. „მოთხრობაჲ მეორედ დატყვევებისათეს დიდებულისა და სამეფუცოსა ქალაქისა, რომელ არს კოსტანტინეპოლელ და ახალ პრამად წოდებული, რომელმან ტყუც კო მაჰმად მეორემან სულთანმან თურქისამან მერყესა წელსა ქრისტეს აქეთ ჩუნგ, თარგმნილი რუსულისაჲან ქართულად გრიგოლ წინამძღუროს-სამ(!) მოსკოვს, ჩადიე.—მაჰმად სულთანი თურქისა ისევ სახელი მეორე მომკვდრისა მამისა თვისსა ამუსატისა, არის მხრიდგან ბეთანიისა, ქალაქითან ბურსიისა...“ 285r—322r.

14. „თა მამისა კბ. სიტყუაჲ წმიდისა და დიდისა ათანასი მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა მელქისედეკისათეს.—მეფესა მელქილს, ვითარცა თქმულ არს, უკდოდა ორნი ძენი, სახელი პირმშოსა ძისა მელქილს, სახელითვე მამისა თვისსა, ხოლო უმრწემესა ძესა მელქისედეკ...“ 322v—327r.

ანდერძი: „წელსა ქრისტეს აქეთ ჩუ, მ[ა]ის კბ, დმრთოო შეიწყალე ამისი მწვრალი, ცოდვილი ხუცესი ნ (=სემეონ) მფულლით, ძით და ასულით, ამინ, ამინ“ (56r)

283

ღაზითენი—XVII

117 ფ.; 9,5X6,5; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნაკლული (აკლია ფსალმ. 2-ს ან მუხლიდან ე-ს ე მუხლამდის); ნუსხური (სათაურები სინგურით; 4r—5r-სხვა ხელით არის შემდეგში ჩამატებული); [XVII ს.]; დაუწერელია: 3v, 5v—6v.

„და ვით წწრმეტყველისა და მეფისა გალობა, კანონი ა. ფსალმუნნი დავითისი, ზედწარწერილი ებრაელთა შორის, ა.—ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა, და გზასა ცოდვითასა არა დადგა და საჯდომელსა უსჯულოთასა არა დაჯდა...“ 4r—114v.

შენიშვნა: ხელნაწერის თავსა და ბოლოს მოპოვება ლოცვა ღვთისმშობლისადმი (1r-2v; 115r-116v.).

მინაწერები: 3r, 19r, 36r, 59r, 69r, 74r, 80r, 106r, 117r.

284

იბაკონი ღვთისმშობლისანი—1609.

138 ფ.; 9X6,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური (სათაურები სინგურით); თითოეული გვერდი შემოხაზულია მოთქროვილი ჩარჩოთი; 1609 წ. (137v); გადამწერი—ქუთათაყვის წინამძღვარი ავალიშვილი იოანე (137v—138r); ადგილი—[ქუთათაყვი].

1. „იბაკონი ყოვლად წმიდისანი, დაუჯდომელნი.—ზეშთა მბრძოლისა ჩნისათვის და მოღვაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ კსინილი განსაცდელთაგან, სამადლობელსა აღვსწერთ ღვთისმშობელო ქალწულო შენდა მამართ...“ 2r—47v.

2. „ლოცვა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა მამართ. უკეთუ გსურის ხილვა მისი ჟამსა სულისა შენისა განყოფისასა.—შეიწყნარე აწ დიდებულო დედოფალო ჩხო, სახიერო, გლახაკი ვედრება ჩემი...“ 48r—61v.

3. [გალობანი ღვთისმშობლისანი]: „მიწყალე მე და გალობაჲ. გალობაჲ: ზღვა უალი. წიგნად სიტყვისა ღმ...“ 62r—91r.

4. „ლოცვაჲ დღითი-ღღე სათქმელი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა მამართ, თქმული მარკოზ მონაზონისა.—მრავალნი და დიდებულნი ნიქნი მომეცნეს მე დამბადებელისაგან და ღისა ჩნისაგან...“ 91r—107v.

5. „ლოცვა წმიდისა იოანე ოქროპირისა. უკეთუ ვინმე ღვთისმშობლისათა გულითა წარიკითხვდეს უცქველად. ცოდვანი მისნი აღეკაცნეს ღვთისმშობლისათა წმიდისა იოანე ოქროპირისითა.—გმადლობთ შენ უფალო ცხოვრებისა ჩნის, იესუ ქრისტე, ძეო მხოლოდ შობილო...“ 108r—128r.

6. „ლოცვა ძილად მისულისა თქუ.—წმიდაო ანგელოზო უფლისა ჩნისა იესუ ქრისტესო, მცველო და მფარველო მადიდებელისა სულისა და კორცთაო, როდენი რაჲ გმგამწერე(?), ანუ შეგაწუხე, დღენინდელსა (!) ამას დღესა, სიტყვით ანუ საქმით, ანუ გონებით, შემინდევ...“ 128v—137r.

ანდერძი: „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა და ამეგობელე დედოფალთ დედოფალი პატრონი ქეთაონ, რომლისა ბრძანებითა აღიწერა წმიდა ესე წიგნი დღით-დღე სალიცველი, ქორონიკონსა სუჲ. მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი, ამინ. კელითა ფრიად ცოდვილისა ქუათავევის წინამძღვრისა ავალის-შვილისა იოანე სითა“ (137r—138r).

მინაწერი მოიპოვება 1r-v, 2r-სა და 138r-v-ზე.

285

კრებულნი — 1852

403 ფ.; (806 გვ.); 32,6×20; ქალაღი; ტყავდააკრული მუყაოს ყდა; სრული; მხედრული (სხვადასხვა ხელით, სათაურები სინგურით); თავბოლო კაზმულობიანი (გვ. გვ. 1635, 654, 671, 694, 713, 733, 746); გადაწერი—ელისაბედ იოანე ჯანდიერის ასული რუსიევისა (796 გვ.); დაუწვავლია: გვ. გვ. 562, 732, 799 — 806.

1. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა თქმული იგავისა მისთვის მეზეერისა და ფარისევლისა, მ. გ.—საყუარელნო, ორნი კაცნი აღვიდეს ტაძრად ლოცუად, ერთი ფარისეველი და ერთი მეზუცრე...“ 1—7 გვ.

2. „წმიდათა შორის მამისა იოანე ოქროპირისა სიტყუა უძღებისათვის შვილისა, მ. გ.—მარადის თანამდებ ვართ ქადაგებდ კაცთმოყუარებასა ღისსა, რამეთუ მის მიერ ცხოველ ვართ, ხოლო უფროსლა აწინდელსა ამას ქამსა...“ 7—18 გვ.

3. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ანასტასი სინგელისაა ქრისტეს მიერ შესტუნებულთა და სარწმუნოებით დაძინებულთათვის, მ. გ.—რაა არს ესე დღეს, ზ საყუარელნო, ვითარ მოსწრაფებით და ღირსებით შემოკრებულ ვართ...“ 19—27 გვ.

4. „წმიდისა და ღვთიე განბრძნობილისა მამისა ჩვენისა იოანე დამასკელისა სიტყუა ქრისტეს მიმართ შესვენებულთათვის და რათა სამარადისოდ აღვასრულებდეთ კსენებასა მათსა, მ. გ.—საზრდელთა გემოვანთა წინადაგებანი მრავალგზის არა ხოლო მშვიერთა ქამად თვსსა მიიზიდვენ, არამედ ოდენსე თვთ ჯანმადლართაცა აღსძრვენ...“ 27—44 გვ.

5. „კერიაკესა ხორცთა აღებისასა. საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ეფრემ ასურისა, მეორედ მოსლვისათვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, მ. გ.—საყუარელნო, ნურარას პატივსცემვით უფროს შეუორკულეგელისა სიყვარულისა, რამეთუ ფრიად ვსცთებით დღით-დღე...“ 44—57 გვ.

6. „წმიდათავანისა მამისა ჩვენისა ვასილი მთავარეპისკოპოსისა კესარიისა კაბადუკიისა მარხვისათვის, სიტყუა ა, მ. გ.—დაჰნესტუცთ, იტყვს, აკალ თუცსა შინა ნესტუსა კეთილ შესწავებულსა, დღესა დღესასწაულისა თქუენისასა, ესე ბაიაობად არს საწინასწარმეტყულო...“ 58—66 გვ.

7. „წმიდათავანისა მამისა ჩვენისა ვასილი მთავარეპისკოპოსისა კესარიისა კაბადუკიისა მარხვისათვის, ვიდრე სიტყუა მეორე, მ. გ.—ნუგეშინის

სცემდით, იტყვს, მღუღენლი ერსა. იტყოდით ყურთა მიმართ იერუსალიმისათა, კმაა არს ბუნებაჲ სიტყვსაჲ...“ 68—76 გვ.

8. „თქმული ანასტასი მონაზონისა სინელისა შემოსვლისათჳს მარხეთასა და მეექუსისათჳს ფსალმუნისა, მ. გ.—შემსგავსებული მარხეთა დაწყებისა და ჯეროვნისა სინანულისა მიზეზი მრულებიეს ეკლესიასა მეექუსე ფსალმუნი...“ 76—106 გვ.

9. „წამება წმიდისა მოწამისა თეოდორესი, მ. გ.—ტკბილ არს და საწადელ კსეებაჲ მოწამეთა და სავსე საღვთოთა მადლითა, ამისთვისცა, რომელნი სურვიელად ცნებასა მათსა აღასრულებენ...“ 107—119 გვ.

10. „წმიდისა მამისა ჩვენისა ნექტარი კოსტანტინეპოლით მამათმთავრისა საკითხავი, რომელი-ესე აღწერა სასწაულისა მისთვის წმიდისა თეოდორესსა მიერ აღსრულებულისა, რომელი-იგი აღასრულა ყოვლად ქებულმან და უძლეველმან მოწამემან ჟამთა ივლიანე განდგომილისათა, რომელი-ესე იკითხების პირველსა შვაბთსა წმიდათა მარხეთასა, მ. გ.—ბრწყინვალე არს და შუცნიერ დღეს მგალობელთ-მთავრისა დავითის თანა გალობად ჩვენდა და თქმად...“ 119—133 გვ.

11. „პირველსა კვირიკესა წმიდათა მარხეთასა. თხრობად სასწაულსა მას, რომელი აღსრულა აბიგრიტიას ხატისა მიერ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა და სიტყუა სწავლისა მარხვასათჳს და მოწყალებისა, მ. გ.—ბივრიტად არს ქალაქი რომელიმე, მყოფი საზღვართა ტუროსისა და სიდონისათა და იმწყსების და განეგების სახელგანთქმულისაგან და დიდისა ქალაქისა ანტიოქიისა...“ 133—148 გვ.

12. „თხრობად დიდებულისა სასწაულისა, რომელი იქმნა წმიდასა მას ზედა ჯორჯულსა დიდისა ეკლესიისასა სოფია წმიდას საუფლოსაგან და პატრიოსნისა კატისა უფლისა და ღისა და მაცკოვრისა ჩუტნისა იესო ქესსა, და მუნ მისრულისა მისთვის პატრიკისა და ქრისტეს მოყუარისა მწიგნობრისა მისისა, მ. გ.—არარად ესრეთ არს მაკარებელ სულთა ღის მოყუარეთა, ვითარ საქმეთა ღისა მიერ საკვრეველებით აღსრულებულთა და სიტყვისა მიერ მოქცევისა ჟამთასა...“ 148—155 გვ.

13. „თხრობად სუოთა სარგებელ[ი] სასწაულისა მისთვის, რომელი იქმნა კალკულრატისა პატრიოსნისაგან და წმიდისა კატისა ქრისტესისა, რომლისა მიზეზისათჳს ეწოდა მას თავსმდებ, და თეოდორესთვის მენავისა და აბრაჰამ ჰუარიისა, მ. გ.—სამეფუფოსათა სასწაულთა სახსენებელი წარმოგვდგა დღეს და უხმს მას გულსმოდგინებით მსმენელთაგან...“ 155—171 გვ.

14. „წმიდათა შორის მამისა ჩუტნისა და ნეტარებით მოხსენებულისა იოანე მონაზონისა და ხუციისა დამასკელისა, სიტყუად კატათთვის, თავი მეორე, მ. გ.—მეტ მე შენდობად მეძიებელსა შენდობისასა, მეუფენო ჩემნო, და მითუალეთ გულსავსებისა სიტყუად ჩემ მიერ, რომელი-ესე ვარ უნდო და უხმარ მონა ღისა ეკლესიისაჲ...“ 171—184 გვ.

15. „თხრობა, მოღებული წმიდათა და სამსაკურებელთა კატათთვის და თუ ვითარ, ანუ რომლისა მიზეზისათჳს განეწესა დღესასწაული მართლმადიდებლობისაჲ, რომელი მიიღო წლითი-წლად აღსრულებულად წმიდამან და დიდმან

ლისა კათოლიკე ეკლესიამან. პირველსა კვრიაკესა წმიდათა მარხუათასა, მ. გ.—მეფესა თეოფილეს მის ჟამისა რად იგი თვთმპყრობელობისა ბერძენთამსა დაეპყრა მთავრობად მიხუცებითა ლისადთა უჯეროსა მის და ბოროტისა ლისა დაძლევისა სკორის მოსაველისა...“ 184—197 გვ.

16. „წამება წმიდათა ორმოცთაჲ, სევასტიას წამებულთაჲ, სახელები მათი ესე არს: დომენტინე, ვალენტი, ვესუქი, ელანოს, სამარაგდე... თეოფილე, გ. მ.—ჟამთა მათ ლიკინოზის მეფობისადთა იყო დევნულებაჲ დიდი ქრისტიანეთა ზედა...“ 197—205 გვ.

17. „წმიდისა მამისა ჩუტნისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარიაკაბადუკიელი სისა შესხმა წმიდათა ორმოცთა მოწამეთაჲ, მ. გ.—მარტულთა კსენებითა ოდენმცა იქმნა განძლომაჲ მოყუარისა მათისაჲ, რამეთუ საკუთართა ძათდა საყუარელთა მონათა მიმართ მეფუისათა პატივი სხუთა მათდა უდარესთა მონათაჲ...“ 205—214 გვ.

18. „წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ ქება ეკლესიად მიმავალთაჲ და კეთილწესიერებისათჳს დიდების მეტყუცლებადთა შინა და სიტყუსა მისთჳს, ვითარმედ: ვიხილე უფალი მედომარედ საყდარსა ზედა მალალსა და აღმატებულსა, მ. გ.—მრავლისა მოსწრაფებისა მჩუცნებელად გკედავ საქმედ მო უანებისათჳს ჩვენ მიერ პირველთა თქმულთაჲსა, ამისთჳსცა უცონელად ვსთესავთ თესლთა მოძღუოებისადთა...“ 215—226 გვ.

19. „თბრობად მარგებელი, ძუელთა თბრობათაგან შეკრებულ[ი], მაუწყებელად საკსენებელსა საკვრელებით ქმნილია სასწაულისასა, რაჟამს სპარსნი და ბარბაროსნი დედოფალსა ამას ქალაქსა ბრძოლად მოადგეს და წარსწყმდესცა სამღვთოთა ბჭობითა განშჯითა, ხოლო ქალაქი ესე უწინებლად დაცული მეოხებითა ლისმშობელისადთა მიერთვან წლითი-წლადსა ვალობს სამადლობელსა დაუჯდომელ სახელ მნებელი დაჲაჲსმის, მ. გ.—წელთა ერაკლის ბერძენთა მეფობისადთა ხუასრო სპარსთა სანთავროს მქონებელმან წარმოავლინა სარვაზრონ მედართ მძღვანველი თჳსი ძალითა მძიმითა...“ 226—235 გვ.

20. „ნეტარისა ვესუქი ხუციისა იერუსალიმლისაჲ შესხმაჲ კარებისათჳს ყოვლად წმიდასა ლისმშობელისა, მ. გ.—ყოველი ვინ კეთილგონერი ენად სამართლად მოიკითხავს ქალწულსა ლისმშობელსა და გეროვნად ძალისაებრ მიემგავსების მთავარანგელოზსა გაბრიელს...“ 235—239 გვ.

21. „იოანე მთავარეპისკოპოსისა თესალონიკელისაჲ სიტყუა განკაცებისათჳს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტისისა და ბარებისათჳს ყოვლად წმიდისა ლისმშობელისა, გ. მ.—ღამე წარხდა, ხოლო დღე მოგუჯახლა, ხმობს მოციქული. უჩინო იქმნა ღამე ცოდვისაჲ და მოიწია დღე განკაცებისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტისი...“ 239—242 გვ.

22. „მარტკე. წმიდათა შორის მამისა ჩუტნისა სოფრონი იერუსალიმელ პატრიარხისა სიტყუაჲ კარებისათჳს ყოვლად წმიდისა უბრწუნელისა დედოფლისა ჩვენისა ლისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, გ. მ.—ხარებაჲ არს, ძმანო, კარებაჲ და კუალად ვთქუა კარებაჲ. არა ხოლორომელ ყოველთა კარებაჲთა უმაღლეს არს...“ 242—271 გვ.

23. „წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა სიტყვაჲ კარებისათჳს ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩვენისა ლისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, მ. გ.—კულად სიხარულისა კარებაჲ, კულად განთავისუფლებისა უწყებაჲ, კულად აღმოწოდებაჲ, კულად აღმოსლვაჲ...“ 271—274 გვ.

24. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ანდრია ეპისკოპოზისა სიტყუა ლაზარესთჳს, ოთხ დღე მომკურისა, რომელი აღადგინა უფალმან, მ. გ.—ლაზარე შემოკრიბაჲ აწინდელი ესე შესაკრებელი და ეგულვების სერობისა ყოფად და ტაბლამსა განამზადებს ღირსებით ტრფილთათჳს სათნოებისაჲთა და წადიერთა ჯეროვნისა რაჲსმე კილვისაჲთა...“ 274—291 გვ.

25. „წმიდათა შორის ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოზისა საკითხავი, თქმული ბზობისათჳს, მ. გ.—საკვრველთაგან საკვრველებად (!) და სასწაულთაგან სასწაულთა მიმართ უფლისათა ვიდოდით მშანო და მიევიწინეთ, რაოდენ შესაძლებელ არს, ძალითი-ძალად...“ 291—299 გვ.

26. „იოანე მდაბლისა მონაზონისა და კუცისა დამასკელისა სიტყუად ლელვსათჳს განკობილისა და იგავისა მისთჳს ვენახისა. აღტჳმა დიდსა ორშაბათსა, მ. გ.—აღმძრავს მე სიტყუად ერთარსი სიტყუად ლისა მამისა, რომელი-იგი მამულთა წიაღთა არაოდეს განეშორა და საშოსა ქალწულისაჲსა გარეშეუწერელად მუცლად ღებულ იქმნა, რომელი-იგი ჩემთჳს ჩემ საცე იქმნა...“ 299—306 გვ.

27. „წმიდათა შორის ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა სიტყუა დიდისა ხუთშაბათისა, განცემისათჳს იუდასაგან და მიცემისათჳს წმიდათა საიდუმლოთა და რათა არა ვიკსენებდეთ ძვირსა, მ. გ.—მცირედ საჭირო არს დღეს თქუენისა მიმართ სიყვარულისა თქმად, ხოლო მცირედ საჭიროება ვთქუ...“ 307—327 გვ.

28. „წმიდათა შორის იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოზისა საკითხავი დიდისა ხუთშაბათისა, განცემისათჳს უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი.—გქმუნვარედ ვხედავ დღეს ეკლესიასა სახითა და ფრიალცა შეწუხებულად...“ 327—332 გვ.

29. „წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ანდრია იერუსალიმელისა, კრიტელ მთავარეპისკოპოზისა, სიტყუა ბზობისათჳს და იერუსალიმად შესლვისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მ. გ.—გუშინ მეუფისა თანა ლაზარე მისტუმრნა ჩუენ და სერობად წინა დაგვგო მის ზედა ქმნილი იგი საკვირველება...“ 332—367 გვ.

30. „დიდსა პარასკევსა. საკითხავი ჯუარცმისათჳს და დაფლვისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესისა, თქმული ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი ნიკოშიდელ მთავარეპისკოპოზისა, მ. გ.—მაღალსა და აღმატებულსა სახილველსა ღიწია ქადაგება იგი სახარებისაჲ და ვითარცა კჳმა-მაღლითა ნესტუსა დღად-ღებითა...“ 367—396 გვ.

31. „წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოზისაჲ სიტყუა ვენებისათჳს მაცხოვრისა ჩვენისა

იესუ ქრისტესისა, ძისა ღისა, და ვითარმედ ღღესა რომელსა განაგლინა ადამ სამოთხით, მასვე ღღესა შევიდა ავაზავი სამოთხედ, მ. გ.—გუშინ აღთქმულსა მას ვალსა ღღეს მნებაეს აღსრულებად, საყვარელნო, და ვეძიებ, თუ სადა დაეჭბუქნეთ მაშინ სიტყვა, რამეთუ ესე იყო, გახსოვს განაღა, ვითარმედ: განიზრახეს ჰურიათა უფლისათვს, რათა წარწყმიდონ...“ 396—406 ვვ.

32. „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ეპიფანე კვპრელ მთავარებისკოპოსისა სამღვთოთა კორცთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა დაფლვისათვს და იოსებ და ნიკოდიმოსისთვს და ჯოჯოკეთს შთასღვისათვს უფლისა შემდგომად განმაცკოველებელისა ენებისა მისისა, რომელი-ესე იკითხვის დიდსა შაბათსა, მ. გ.—რა არს ესე ღღეს ღუმილი მრავალი ქვეყანასა ზედა, ღუმილი მრავალი ქვეყანასა ზედა და მყუღროებად მრავალი...“ 406—431 ვვ.

33. „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა [გრიგოლი] ნოსელისა მკუღრეთით აღღვომისათვის უფლისა ჩუენისა ივ ქესისა, მ. გ.—რაოდენიცა მამათმთავართა კურთხევად სულსა სულისა მიერ დამტკიცებულ არს, რაოდენიცა სულიერისა შუჯლისდებისა კეთილი აღთქუმისა მიერ...“ 430—454 ვვ.

34. „აღვსებთვან, შემდგომად ამბორის ყოფისა, ესე საკითხავი ერსა ზედა იკითხების, თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა, მ. გ.—რომელნი კართ ქრისტეს მოყუარენი და მორწმუნენი, მიიღეთ კეთილისა ამის ღღისა კრებად...“ 454—455 ვვ.

35. „თუესა აპრილსა კვ. წამება წმიდისა და დიდებულისა მთავარმოწამისა გიორგისა, მ. გ.—მაცხოვრისა ჩნისა იესუ ქრისტეს პირველ საუკუნეთა მგუფებისა არა არს დასაბამი ღღეთა, არცა დასასრული ცხოვრებისა...“ 455—471 ვვ.

ანდროსი ავტორისა: „ბოლო მე პარეკრატოს (!) მონად წმიდისა გიორგისი, პირველითვანვე შეუღღე უფალსა ჩემსა და აღვსწერე წამება მისი კეშმარტიად. და ნეტარ არს რომელსა პრწყმენს ქრისტე ღმერთი და მკსნელი ჩინი, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“ (471 ვვ.).

36. „უწყება საკვრეველებათათვს წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა გიორგისა, მ. გ.—რომელნი ჩიქთა ღისათა მიმთხუცვად სურვიელ ხართ საკსენებელსა და კრებასა წმიდათასა შეუოგულებელითა სარწმუნოებითა, მხურვალითა სიყვარულითა ღღესასწაულობად ნუ უღებ ვიქმნებით...“ 471—496 ვვ.

37. „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა სიტყუა ამალღებისათვს იესო ქრისტესასა(!), მ. გ.—ბრწყინვალე არს ყოველი ღღესასწაული უფლისა განგებულებისა და განმამბრწყინებელ გულებსა მორწმუნეთასა...“ 497—501 ვვ.

38. „მისვე წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარებისკოპოსისა სიტყუად ამალღებისათვს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა, მ. გ.—სამნი განსაკვრეველნი საქმენი და არა საცნაურნი კაცობრივისა ბუნებისავან თანა შემოათხზნა ბუნებასა ჩნსა საცხოვრებელად...“ 502—504 ვვ.

39. „წმიდათა შორის მამისა ჩვენისა გრიგორი დისმეტყუელისა მეერგასიქათვს და სულისა წმიდისა, გ. მ.—დღეს დღესასწაულისათვს მკირედ ვჭილოსოფოსობდეთ, რათა სულწერად ვაღვსასწაულობდეთ, რამეთუ სხვათა სხუა კრებამ, ხოლო სიტყვის მსაკურისა სიტყუად და სიტყუად შესატყვისი ჟამისა...“ 504—515 გვ.

40. „თუცა იენისსა კდ. თქმული წმიდისა მამისა იოანე ოქროპირისა დაღუმებისათვს ზაქარიასა და შობისათვს წინამორბედისა, სიტყუა შესხმითი, გ. მ.—მოსე დიდმან მსაკურმან ლისამან, წინასწარმეტყველთა თავმან, ზღვს მოგ-ზაურმან, რანდმან ჰაერისამან, ტაბლა მყოფელმან მანანასამან, ჰსჯულისმდებელმან ლისამან, რომელმან მიიხუნა ფიცარნი დიდებულნი...“ 515—521 გვ.

41. „თუცა იუნისსა კთ. წმიდათა შორის მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა, კოსტანტინეპოლელ არხიეპისკოპოსისა, შესკმა წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, გ. მ.—ცისა და ქუცყანისა ურთიერთარს შესწორებისათვს კდომასა ვჰხედავ დღეს, მოწვენილსა ამას დღესასწაულსა, ჰკსენებასა წმიდათა მოციქულთასა...“ 521—528 გვ.

42. „თუცა აგვსტოსა ვ. ღირსისა მამისა ჩვენისა ეფრემ ასურისა სიტყუა ფერისტუალებისათვს უფლისა ღისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესა, გ. მ.—აგარაკისაგან მკად სიკარულისა, ხოლო ვენახისაგან ნაყოფნი სანო-ვაგეთანი, და წერილთაგან სწავლანი ცხოველს მყოფელნი. აგარაკსა ერთი ჟამი აქუს მკისა და ვგოეთვე ვენაკსა კრეფისა...“ 528—536 გვ.

43. „თთუცა აგვსტოსა იე. საკითხავეი ყოვლად წმიდისა ღისმშობელისა მიტუალებისათვს, თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა ვასილი ქესარიელისა, რაჟამს აღვიდა ქვეყნით ზეცად, მ. გ.—რაჟამს სულისაგან წმიდისა ღისმშობელსა მარიამს გულისკმა ეყო ჟამი განსვლისა მისისა ამიერ სოფლით, მაშინ ხიარულ იქმნა...“ 536—572 გვ.

44. „თთუცა იანუარსა გ. ცხოვრება და მოქალაქობა და სასწაულნი წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა სილიბისტროს ჰრომთა პაპისა, მ. გ.—ეესე-ბიოს პამფილიელმან საეკლესიონი წიგნი აღწერნა მრავალნი და ძველთაგან თხრობათა შემოკრიბნა კეთილად...“ 573—634 გვ.

45. „თთუცა ნოემბერსა კე. წამება წმიდისა ეკატერინასი, რომელი იყო ასული კოსტა მეფისა, გ. მ.—წელსა ოცდამეათორმეტესა მეფობასა ულთო-სა და უსჯულოდსა მეფისა მაქსენტიანესა შური დიდი იყო კერპთმსახურებისა, რომლისათვსცა დაჯდა მეფე საყდართა ზედა ქალაქსა შინა აღექანდრისა...“ 635—653 გვ.

46. „თთუცა დეკენბერსა დ. წამება წმიდისა ბარბარასი, გ. მ.—იყო მათ ჟამთა მეფე, რომელსა სახელი ერქუა მაქსიმიანოს, და კელმწიფე ჰყო აღმოსავლით კერძო კაცი, რომელსა სახელი ერქუა მარკიანე...“ 654—670 გვ.

47. „თთუცა ივლისსა კე. წამება წმიდისა და სამგზის სანატრელისა ჭებრონიასი.—იყო დღეთა დეოკლიტიანე მეფისათა ანთიმოს მთავარი და იყო იგი უძლურ კორცითა და იდგა იგი ცხედარსა ზედა...“ 671—694 გვ.

48. „თთუცა ივლისსა კდ. წამება წმიდისა ქრისტინასი.—იყო ვინმე ქალი ერთი ნეტარი წმიდა ქალაქსა შინა ტვროდსა სასოებითა ღისათა ქალ-წული, სახელით ქრისტინა...“ 694—712 გვ.

49. „თთუცსა ივლისსა იჲ. წამება წმიდისა ქალწულ-მოწამისა მარინა-სი.—შემდგომად ამაღლებისა უფლისა ჩნისა იესო ქრისტესა დიდებით ზეცად და მამისა თანა ჯდომისა წმიდათა და სანატრელთა მოციქულთა აღასრულეს...“ 713—731 გვ.

50. „თთუცსა ჭებერულსა იე. ცხოვრება და სიმკნე წმიდისა დიდისა ეფფროსინასი და მოქალაქობა მამისა მისისა პაფნოტისი.—იყო ვინმე ალექსანდრიას კაცი აზნაური და სახელი მისი პაფნოტიოს. ესე იყო მოსწრაფე მცნებათა ღისათა. ამან მოიყვანა დედაკაცი ცოლად თჳსად შემკული და ყოფლითა ღირსი...“ 733—745 გვ.

51. „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მარიაშ მეგვპტელისა, აღწერილი სოფრონის მიერ იერუსალიმელ მთავარეპისკოპოსისა, გ. მ.—საიდუმლოთა მეფისათა დღეგრევაჲ კეთილ არს, ხოლო საქმეთა ღისათა ქადაგება—დიდებულ, რამეთუ ესრეთ ჰრქუა ანგელოსმან...“ 745—784 გვ.

52. „თქმული ჟამსა სიკუდილისასა ვოლტერგსაგან ფრანციულსა ენასა ზედა, ხოლო ქართულად გადმოთარგმნილი ალექსანდრე კავკავაძისა მიერ.—ჰე მალალო, ვის ვერ ვინმე მიგწოთმიეს ჯერეთ ცნობად...“ 785 გვ.

ანდერძი: „ახლიადრე გარდმოღებული როსიის ხმით ქართულსა ენასა ზედა სა-მენგრელისა მემკვდრის დავითის მიერ, წელთა ჩუღდ-ს, ივნისის თო, ტფილისს. ბოლო გაიამბიკოებულ ჰყო პეტრე ყარბმან, ლაჩაძემან“ (785 გვ.)

„წინასიტყვაობა გამსტიხებელისა. იამბიკო.

ჴ სარწმუნოვ, ერთსა შინა მღუთაებას,

ერთ დასაბამის, დაუსაბამობას...“ 785—789 გვ.

53. „ოდა ბოლა, რომელ არს მღეთისადმი ვალობითი ქება ქებათა, თქმული რუსეთის მწერლის ვაბრაილ დერეჯავინისა მიერ, ხოლო ქართულად სიტყვითი-სიტყვად გარდმოღებულ არს თავადის დიმიტრი გაბრილის ძის მაღალოვისა მიერ, იანვრის ი დღესა, ჩუღა წელსა, სოფელს მატანს, თელავის უეზდში.—ღმერთო, ჴ შენ სივრცითა დაუსრულებდლო...“ 789—792 გვ.

54. „სემინარიის მოწაფეთა მიერ შესხმა, თქმული საქართველოს ექსარხოსის თეოფილაქტესადმი პასეჴში.—მაღალ ყოვლად უსამღვდლოესო ექსარხოსო! უკეთუ შეიღნი ძველისა ისრაილისანი დღესასწაულობდენ პასეჴსა, ანუ განელასა ეგიპტით ქვეყანასა შინა აღთქმისასა, და გრძნობითა გარეშემოუწერელისა სიხარულისათა განცკრომით ღალადებდენ უფლისადმი...“ 792—793 გვ.

55. „ჟამსა კურთხევისასა ტახტსა ზედან მეფობისასა როსიის იმპერატორის და პოლვის მეფის ნიკოლაოზ პირველისა, სრულიად როსიის კელწიფისა მიერ თქმული მოსკოვის სობოროსა შინა, და აჴ ქართულად გარდმოღებული.—ღმერთო, ყოვლად ძლიერო, მამო მამათა ჩემთაო, მეუფეო მეუფეთაო, შემოჴმელო სოფლისა ამის სამღვრთოჲთა სიტყვითა შენითა...“ 793—794 გვ.

ანდერძი: „რუსულიდამ ქართულს ენაზედ გადმოღებული თავადის დიმიტრი გაბრილის ძის მაღალოვისა მიერ, რომელიცა წერილ იყო „ვესტნიკ ევროპასა, შინა, და თარგმნილ არს მარტი“ იბ დღესა, ჩუღბ წელსა“ (794 გვ.)

56. „მეგობარი სიკაბუკისა, პირი გაზაფხულისა.—განიღვიძე ყოვლად კურთხეულო შემოქმედო ბუნებისაო, და აღიდებდენ მამასა ქვეყანად შობილ-თასა ყოველნი ქმნულნი სულმცენარენი ცათა ქვეშე...“ 794—795 გვ.

შენიშვნა: ერთვის: „ხანდუკი“ (797—798 გვ.).

ანდერძი გადამწერისა: „აღიწერა წიგნი ესე მეტაფრასი, რომელ არს უდიდეს-თა დღესასწაულთა დიდთა და მცირეთა ჰრჩევით გამოჩრეულთა საწადი და სასურველი, უნდოსა და ყოველთა მდებრთა შორის უნარჩევისა კენინა რუსი ევისა და თავადის იოანე ჯადიერთვის(!) ასულის ელისა ბედისა გან. ყოველნი აღმომკითხველნი, ლოცვთ მომიხეხებდით ძითა და ასულბითურთ და ცთამისათეს ნუ მწყევთ. სრულ იქმნა წელსა ჩუნბ, სექტემბრის [გ] დღესა“ (796 გვ.).

286

კრიბული—1853

424 გვ. (212 ფ.); 34X21; ქალაღი; ტყავადარული ტვიფრული მუყაოს ყდა; სრულ-ლი; მხედრული (სათურები სინგურით); თავკაბულობა (93 გვ.); 1853 წ. (421 გვ.); გადამ-წერი—ჯანდიერი-რუსიშვილი ელისაბედ იოანეს ასული (421 გვ.); დაუწერელი: Ir, 92 გვ.-და 424 გვ.

1. „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა ნინა მოციქულისა მიერ.—პირველად ვახსენოთ ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა და ყოვლისა ქართლისა გან-მანათლებელისა ნინა მოციქულისა...“ 1—44 გვ.

2. „თუესა აგვისტოსა გ. წამება და ღვაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაჟღენისა, რომელი იწამა ჯამთა დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისათა(!) სპარსთა მიერ ქართლს შინა, სოფელს წრომს.—მოწამეთა კსენებითა ვითარმცა იქმნა განძლობა ღისმოყუარეთაგან და მარტულთმოყუარეთა, რამეთუ მოწამენცა განუძღომელითა სიყუარულითა მეუფისა მათისათა მრტყინარე იყუნეს უმძაფ-რეს ცეცხლისა...“ 45—60 გვ.

3. „თუესა სეკნდებერსა კ. სიმკენ და მოთმინება და შემდგომად წამება წმიდისა მოწამისა ევსტათისი, გკხ მამაო.—მესამესა წელსა მარკიანე მე-ფისასა იყო სპასპეტი ერთი, მკენ ფრიად, რომელი მძლე იყო მარადის ყოველ-თა მბრძოლთა...“ 60—72 გვ.

4. „ცხოვრება წმიდისა ნეტარისა მამისა იოანესი, რომელი გლახაკ იქმნა ქრისტესთვის მონასტერსა მას დაუძინებელთასა, გკხ მამაო,—იყო ქალაქ-სა შინა კოსტანტინეპოლისასა კაცი ვინმე კურთხეული ღისა მიერ, შემკული სიტყვთ და საქმით...“ 73—85 გვ.

5. „ცხოვრება და მოქალაქობა ევფემიანესი და ძისა მისისა ალექსი კაცისა ღისა.—იყო ვინმე ჰრომს ქალაქსა შინა კაცი მორწმუნე, და მართალი და მდიდარი ფრიად, და სახელი მისი ევფემიანე...“ 86—91 გვ.

6. „თუესა იანვარსა ეფ. თაყუანისცემა პატროსანთა ჯაჭუთა წმიდისა პეტრე მოციქულისათა და უწყება, თუ ვითარ შოიწივენეს ჰრომით კოსტანტი-

ნეპოლედ და მუნ ქმნილისა მისთვის საკრეველებისა, გკხნ მამაო.—ქამთა პირ-ველთა იპოვა ძუკლი წიგნი კლემენტოსის თანა, ფრად მოკუცებულისა კაცი-სა ძილოსოიქოსისა, რომელი იყო პატივითა ახკრიტი...“ 93—100 გვ.

7. „თუცსა იანვარსა კვ. ცხოვრება ქსენეფორესი და შვილთა მისთა — არკადი და იოანესი და მეუღლისა მისისა, გ. მ. — კაცი ვინმე იყო მთავარი და წარჩინებული, დიდებული, ქალაქსა კოსტანტინეპოლისასა; და კაცი ესე იყო სეფეწული, და საკელი ერჭუა ქსენეფორე...“ 100—114 გვ.

8. „თუცსა ა ფემერვალსა ი. წამება წმიდისა მღუღელმონაშისა ხარალაძესი, რომელი ითარგმანების სიხარული ბოწყინვალე.—მეუფებასა უფლისა ჩუტნისა იესუ ქრისტესსა ყოფელი საცთური ეშმაკთა დაკნდა. იყო ვინმე მას ეამსა შინა მღუღელი, საკელით ხარალაძოს...“ 114—127 გვ.

9. „ცხოვრებისაგან წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩუტნისა და ნიშებ-შემოსილისა პალადისა, გ. მ. — კაცი ვინმე იყო დიდუპარი ქალაქსა შინა ანტიოქიას ასურეთისასა. ამან მსგავსად ჩვეულებისა თვისისა შეშადა სავაპრო თჯი და აღავსო მით ნავი თსი, რომელი იყო დიდ ფრად, და წარემართა იგი ქალაქად დიდად პრომედ...“ 127—146 გვ.

10. „თუცსა აგვისტოსა ჯ. დაძინება შვილთა ყრბათა ეფესოს დეკოზ უსჯულოსა მეფისა ზე, გ. მ. — მათ დღეთა შინა მეფე იქმნა უღმერთო დეკოზ სამე-უფოსა ზედა პრომთა და ბერძენთასა...“ 147—161 გვ.

11. „თუცსა აგვისტოსა კვ. წამება მოწამეთა ანდრიანესი და ნატალიასი მეუღლისა მისის, გ. მ. — მეფობასა უღმერთოჯსა და უსჯულოჯსა მაქსიმიანესსა, ქალაქსა შინა ნიკომიდიას, დაიდუა ბრძანება მის მიერ, რათა სადაცა იყოს ნათესავი ქრისტიანეთა და არა თაყუანისცენ კერბთა, ძვრ-ძვრითა სატანჯველითა აღესრულენ...“ 161—175 გვ.

12. „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა შიოსისი, რომელი იყო ანტიოქიად შუამდინარისად ასურეთისად, ბოლო მოიწია ქვეყანად ქართლისა და დაემკვდრა სარკინისა მღვიმეს, რომელი-ესე აღსწერა ღირსმან მარტური, რომელსა პდ ეწოდა იოანე. რომელი იყო მოქაფეთაგანი წმიდისა იოანესთა, კოსტანტინეპოლით, გკხნ მამაო.—ქსენეზითა წმიდათა თანა ოდეს-მცა სადა იქმნა განვრომა ცნობის მქონებელთაგან, არა თუ ვინმე სრულიად ზარტყვენო იყოს გონებითა ეშმაკისა მიერ, რომელთანი და თვალნი სული-სანი აქვადეს ყოვლად უშკედველო, რამეთუ წერილ არს, კსენება მართლისა ქებით აღესრულების...“ 176—220 გვ.

13. „თხოობა სასწაულთათვის წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა შიოსთა, რომელი-ესე სხუათა მიერ აღწერილი ადგილ-ადგილ ერთად შემოპკრიბა ბასილი კათოლიკოსმან, ძემან ღიდისა პატრიკისა ვარესმან, გ. მ. — მეუფემან მან დიდებისმან იესუ ქრისტემან, ქეშმარიტმან ღმერთმან, ინება კსნა კაცთა ნათესავისა წმიდათა და საცხოვრებელითა ვნებითა და სი-კუდილითა თვისითა...“ 220—237 გვ.

14. „თუცსა სეკნდებერსა (!) იზ. წამება წმიდათა დედათა სოფიასი და სამთა ასულთა მისთა: პისტოსი, ელპიდისი და ალაპისი, გ. მ. — შემდგომ დედათა განაწინისა ქადაგებისა მას ცხოვრებისასა და ყოველთავე აღ-ვსებისა მეცნიერებითა უფლისათა, ვითარცა ნაწილმან რაჟმანმე უღვთოებისმან, ვგრეთ დაიპყრა მეფობა რომთა ანდრიანე...“ 237—249 გვ.

15. „საკითხავი სარტკლის დაღებისაიჯს უფროსად კურთხეულისა დიდებულისა და ყოვლად ქებულსა ღიმშობელისა, დედოფლისა ჩუცნისა და მარადის ქალწულისა მარიაშისა, რომელი იკითხების ივლისის ბ, გ. მ.—ჟამთა მათ ლეონ დიდისა მეფისა შის მორკუმებისა ბერძენთასა, რომელი-იგი შემდგომად მარკიანესა მეფობდა, იყუნეს ორნი ერისთავი...“ 249—256 გვ.

16. „თუცსა დევნებრსა კზ. წამება წმიდისა მოციქულისა პირველ-მოწამისა და არხიდაკონისა სტეფანესი, რომელი-იგი აღსწერა ლუკა მახარებელმან საქმესა შინა მოციქულთასა, მ. გ.—და იყო მათ დღეთა შინა განმრავლებასა მოწაფეთასა, იყო დრტკნვა წარმართთა ებრაელთა მიმართ მორწმუნეთა...“ 257—260 გვ.

17. „მეორე საკითხავი. წამება წმიდისა სტეფანესივე პირველ-დიაკონისა, მ. გ.—სახსენებელი კეთილი ჩვეხ წინა გკძს, საყუარულნო, ვაიძულე დაწერად ქრისტეს ეკლესიათათვს წმიდისა პირველ-მოწამისა სტეფანესსა ჩვენდამო ქმნულსა მოქალაქობასა და სოფლისათვს მეოკება...“ 260—266 გვ.

18. „საკითხავი წმიდისა სტეფანესი თვს და გლაკაკისა ლუკიანეს-თვს და პოენისათვის წმიდათა ნაწილთა პირველ-მოწამისა და პირველ-დიაკონისა სტეფანესი, გ. მ.—სტეფანე სავე იყო მადლითა და სარწმუნოებითა, იქმოდა ნიშება და სასწაულებსა დიდ-დიდსა...“ 266—274 გვ.

19. „წარხმა ნაწილთა წმინდისა სტეფანესი და კოსტანტინეპოლის; მ. გ.—შემდგომად რვისა წლისა ცოლმან-ალექსანდრესჰან მოიგონა წარხმა ნაწილთა ქრმისა(!) თვისისათა კოსტანტინეპოლის, თვსა დაბასა...“ 274—286 გვ.

20. „თუცსა ნოემბერსა იბ. წმიდისა მღუდელ მოწამისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელი იწამა ცეცკის მსაკურთა მიერ ქართლს, თქმული არსენი დიდისა კათოლიკოზისა.—ხოლო ჯერ-არს, რათა მცირედ შუა შემოვილოთ კსენება წმიდისა და უბიწოსა მღუდელთ-მოძღურისა და მოწამისა...“ 286—291 გვ.

21. „თუცსა სეკნდებერსა (!) იგ. წამება ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთავანისა, რომელი იწამა სპარსთა მეფისა შაპბაზ(!) უსჯულოსა მიერ ქალაქსა შირაზისასა.—საქმისა რაჟსამე კეთილისა დამწყებელსა გონება კეთილი უკვს და ფრიადითა სიბრძნითა აღსავეს...“ 292—314 გვ.

22. „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი და უწყება წამებისა, მათისა.—მოწამეთა სიბრძნემან გარე მომიცულს ჩვენ მრავლითა რათვე ბრწყინვალეებითა და გარდამატებულითა ჰაეროვნებითა და ჰნებაჟს ჰენნიერი რაჟმე შესხმა დიდებულთა ლუწულთა...“ 314—328 გვ.

23. „თოცსა ოქტობერსა(!) ლა. წამება და ლუწული წმიდათა დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი, რომელი იწამნეს ქვეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებსა არგვეთისასა, საბრძანებელსა ქართველთასა, შემდგომად დიდისა და მადლისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა მიცვალებისასა, რომელმან მეფობა ყოვლისა ქუცყანისა განაგო.—მეფობასა ბერძენთა ზედა ლის მსაკურთისა ირაკლისას, ოდეს იგი განაგებდა საბრძანებელსა თვსა კუკრთხითა

მეფობისა თვისისათა, განილაშქრა სპარსთა მეფემან ხუასრო ქალაქსა ზედა ღივ დაცეფულსა წმიდასა იერუსალიმსა...“ 328—339 გვ.

24. „შესხმა და სასწაულნი წმიდისა და საკვრველთ-მოქმედისა ნიკოლოზ მთავარეპისკოპოსისა მირონ ქალაქისა, თქპული წმიდისა მამისა ჩვენი-სა ანდრია კრიტელ არხიეპისკოპოსისა.—კაცი ღისაო, სარწმუნო და მნეო ქრისტეს სიიღწელოთაო, საუფჯეო მადლთა მათ სულისა წმიდისათაო, შეიწირე სიტყუა ესე ჩვენი, ვითარცა ძღვენი უხდოა...“ 339—348 გვ.

25. „ცხოვრება ქალწულისა კანონიკისი, რომელი იყო ასული მთავრისა კოსტანტინუპოლისისა და იქმნა განშორებულ.— იყო ვინმე მამათავანი, რომელსა ერქუა სილოვანე, და სჯდა იგი ქუაბსა შინა მონასტერსა ფარანს...“ 349—352 გვ.

26. „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა ნისიმესი, რომელი იყო ასული მეფისა მეგვტეტელთასა, და იქმნა იგი განშორებულ.— იყო ქალი ვინმე ქალწული სახელით ნისიმე, და ცუო კელსა ქელსე მისსა ათორმეტი ქალაქი ყოვლითურთ დაბით და სანაფებით...“ 353—357 გვ.

27. „თხრობა სულიერი ფრიად სარგებელი სულთა ღის მოკვარეთა.— იყო ვინმე ბერი წმიდა და ღმერთ-შემოსილი, დიდად სახელოვანი მოღვაწებითა და ფრიად პატიეცემულ ყოველთა ნიერ, სახელით დანიილ...“ 358—390 გვ.

28. „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩვენი-სა მარკოზ განშორებულისა, რომელსა გვითხრობდა წმიდა მამა ჩვენი სერაპიონ, გ. მ.— ესე წმიდა სერაპიონ იყო კაცი ღისა და ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა უდაბნოთა მათა და ქუაბთა და კურელთა ქვეანისათა...“ 390—399 გვ.

29. „ცხოვრება წმიდისა მამისა ჩვენი-სა ონოფრი განშორებულისა და სხვათა მეუდაბნოვეთა, რომელნი იხილნა მამამა პაფნოტი, გ. მ.— ცხოვრება სამღვთო და სანატრელი და საქმენი სარგებელნი სულისანი ისმინეთ, საყუარელნი ძმანო...“ 399—410 გვ.

30. „თხრობა ღმობიერი ეპისკოპოსისათჳს განშორებულისა.— მოგვთხრობდა ეპისკოპოსი სუხენისა ქალაქისა ესრეთ. ოდეს ვაყავ უდაბნოსა შინა მონაზონ, დღესა ერთსა ვინებე უმინაგანესთა უდაბნოსა წარსულად, უკეთუშკა ვპოვო მუნ მსაკური ქრისტეს მეუფისა და ვიკურობო მის მიერ...“ 410—412 გვ.

31. [ცხოვრება წმიდისა თეოდორესი]: „სირობისა ქვეყანასა, რომელსა სახელ სდებენ ბულღარად, ამას სარას ქალაქსა შინა იყო კაცი ერთი, რომელსა ეწოდებდა(!) თეოდორე...“ 413—420 გვ.

შენიშვნა: ერთისი: „ზანდუკი“ (422—423 გვ.).

ანდერძი: „ექმნები მოსავთა შენთა მსწრაფლ შემწე ჯანსაცდელშიო. ლავინი მადლთა შენთანი აღსავსედ სდის მღვიმეშიო, იგი მე მასვი უკვებით აფსამეტ მამაო შიო, სული ჩემი აღმოშობე სინანულის ემბაზშიო. ამა წიგნისა მწერალი არ შთავხდე სატანჯველშიო, ბანოვანი ვარ უტები, მყოფი ცოდვისა ტევოშიო, ვეას ვალ ქვეშ დაშთომილი სიკუდილის საწვრტელშიო დღეთა თანანადებით დასჯილი საღმობაშიო.

წმინდის შიოს ცხოვრების დასასრულში უნდა დამეწერა, მაგრამ დაიწყოებითა მომივიდა.

აღწერა ესე წმიდათ მამათ-ცხოვრება წელსა ჩუნგ. თვესა აგვისტოსა ცხრასა, კელითა თავადის ჯანდიეროვის იოანეს ასულის, კნენა რაშაზ რ უ ს ი ე ე ს ე ლ ი ს ა ბ ე - დ ი ს ა თ ა. ყოველნი ამოშკითხულნი, თუ ცთომა იხილოთ, ნუ მწყევთ, არამედ ლოც- ვით მომიხსენებდეთ ძით ჩემით იოანეთურთ“ (421 გვ.).

მინაწერი მოიპოვება I v-ზე

287

კრებული—1817

83 ფ. (176 გვ.); 33,5×21; ქაღალდი (ლურჯი): ტყავადაკრული რეიფრული მუყაოს- ვდა, მოცილებული; დაწლილი; დახიანებული (ფურცლების კიდეები შემოცვეთილია, ხოლო ფ. ფ. 18 და 19 შუაში ამოწვარია): მხედრული (სათურები სინგურით, დასაწყისი— მიმართვა. მკითხველთადმი—ასომთაერული ხუცურით, ხეულად); 1817 წ. (168 გვ.); გადამწერო—ანდ- რია, გვ. გვ. 168, 175).

1. „ისტორია ანგლიელისა მილორდის გიორგისა, თავი ა.—წარსრულსა დროსა ევროპიელნი, არა სრულიად ქრისტიანობისა მიმღებელნი, ჰსცხოვრებ- დენ კერპთმსახურებასა შინა...“ 1—8ბ გვ.

შენიშვნა: წინ უძღვის წინასიტყვაობა მილორდიანისათვის მათე კამაროვისა: „კეთილ გონიერო მკითხველნი! რწმუნებულ ვარ მე, რომელ ათას შუდას ცხრას წელი- წადს დაბეჭდილი ჩემი წიგნი, რომელშიაც აღუქმურე ჰამბაგნი კეთილთა და ბორბთა საქმეთა ვანკა-კანისი, მაშინ მრავალთა მკითხველთა კეთილად მიიღეს იგი და ამის მადლობისათჳს განვიხრახე. რათა შემსახურნა წიგნითაცა ამით...“ (1 გვ.).

2. „წიგნი სიბრძნე სიცრუისა, თქმული საბა ორბელიანისა, ჟამსა სიკაბუკისა მისისასა.—იყო კელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არავისგან მოიგონებოდენ, რომლისა სიკეთისა და სიქულისაგან ეგოდენი მოწყალება- ნი შეიკრიბნა გულსა თჳსსა, რომელ კაცისაგან არა აღირიცხოდა...“ 87—168 გვ.

3. [გაბაშვილი ზაქარია, თავისა და კატის ომი]:

„კატას დასდვა ცხელი საჯი, მაჰმადს გიგავს ბეწვის ბლავი.

და გულ კოფაქით მიევერბავი, პირში რალათ დაიბლარჯი...“ 169 გვ.—

175 გვ.

ანდერძა: „დასრულდა ესეცა წიგნი. უკეთუ მხილულთა ცთომა რამე იხი- ლოთ, ნუ მწყევთ, რამეთუ არა მცირედი შრომა მიხილავს. სრულ იქმნა ქრისტესით 1817-სა, ხოლო ქართულსა ქორონიკონსა ფვ, თთუცსა იენისსა 22-ს დღესა. თუ რამ- მრუდია, დედნის ბრალია. ანდრია“ (ზევულად; 168 გვ.).

მინაწერი მოიპოვება 175 v-ზე.

288

„გომთა რუსთაველი: ვეფხისტყაოსანი—1829

106 ფ.; 31,6×20,4; ქალაღი; მუყაოს გაყვეთილი ყდა (ყდა და წინა ფურცლები ქიისაგან არის დაზიანებული); სრული; მხედრული (სათაურები სინგურით); მრავალგან მოიპოვება თავბოლოვანბულოვანი; 1829 წ. (104 r-v); გადამწერა—დიაროქი ზაქარია გაგუნოვი (104r-v).

„ამ ამბისა დასაწყისი ბირველი, ამოდ სასმენელად შეენიერი ჰსწავლი-სათეს მოზირეთასა, ტარიელის და ნესჯარ-დარეჯანისა, ვეფხისტყაოსნობით.—რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა...“ (ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის რედაქციისა არის) 3r—104r.

შენიშვნა: თავსა და ბოლომ აქეს საფარველი ფურცლები (1-2; 105-106) ტექსტით, რალად პოეტური ნაწარმოებდინ.

ერთვის:

ა. ელისაბედ რუსიევი, ლექსი შეილებისადმი.—

„ქეთავანს მარამითურთ ეტოფილება დარია...“ (104); ბ. თ. სვიმონ მაყაევი, ოთბტაგოვანი ლექსი.—„ესრეთ შეენის შეილთა მახნელსა, ძეს ვეფხისტყაოსნის...“ (104v).

ანდერძი: 1 „განსრულდა, დიდება ღმერთსა, ამბავი ესე საშთა მეფეთა, რომელ არს ვეფხისტყაოსანი, კლითა დიაროქი ზაქარია გაგუნოვისათა, ჩყოს-ს წელსა ფელისის ოს- (104r).

2. „ყოველნო მკითხველნო, ამა ვეფხისტყაოსნისანო, თუმცა შეტომმა რამეე იხილთ, ზოგი დედნის ბრალი არს და ზოგი ჩემი, ამ მწერლისა, ამისთვის რუმელ ჩქარა ვსწერდი. არც მელანა ვარგოდა და შავთაც მინდოდა. შეტომისათეს ნუ გწყევთ, არამედ ლოცვთ მომისხეებდეთ, რათა თქვენცა მოგეტყვენს შეტომანი თესნი. ჩყოს-ს წელსა, იელისის ოსა, დიაროქი ზაქარია გაგუნოვი“ (104v).

289

ბესარიონ გაბაშვილი: ვჴული და ბრჭობა
სძალ-დედამთილისა—XIX

11 ფ.; 21,3×19; ქალაღი; უყდო; სრული; მხედრული (სათაურები და სტროფთა დასაწყისი ასოები სინგურით); [XIX ს.].

„ვჴული და ბრჭობა სძალ-დედამთილისა.—

ამბეგსა ქველსა მოგიბზრობ. გულისა ამოდ მლხენელსა,

გახარებთა შეგაქევეთ, ამა ამბისა მსმენელსა...“ 1r—11r.

290

კრებული—XIX

404 ფ.; 34,5×21; ტყავაკაჯრული ტვიფრული ხის ყდა; ბოლონაკლული; მხედრული ძხვადახევა ხელით); [XIX ს.].

1. „ამბავი ყარაშანისა, სპარსულისაგან ქართულსა ენაზე გადმოთარგმნული სალთ ხუტყის და სარდლის დავით ორბელიანისაგან, რიტორთა

ენითა შეწყობილი ყოვლითურთ.—პირველ ჟამად სპარსეთშიგან იყო ხელმწიფე დიდი, რომელსა ეწოდებოდა თანხმურად. ეს იყო მაღალი და აღმატებულად ყოველსა ზედა სპარსეთისა...“ 1r—340r.

2. „აქა ერთი პირველი დასაწყისი ძლიერის ინდოეთის მეფის ფრიდონისა და ძისა მისისა მშენიერისა გულასპისა, რომელიც შეუდგებთან შემდგომნი სიტყვანი(!).—დიდისა სამეფოისა შინა ინდოეთისა იყო ხელმწიფე ერთი, დიდისა სამეფოისა შინა ინდოეთისა მორკმა-დიდებისა მქონებელი, სიბრძნე-მეცნიერებითა...“ 341r—403v.

წყდებოდა: „...ესრეთ სიყვარულისა ბადესა შინა მისევე ყოველი იხილესა საქირო იყო მისთვის, რომ...“

291

ბასილ დიდი: მიცვალება ღვთისმშობლისა—1813

38 ფ.: 20,8×16,2; ქალაქი (ცისფერი): მუყაოს ყდა; სრული; მხედრული; 1813 წ. (37r); გადაწერილი—დიაკონი იოსებ (37r-v); ადგილი—წმიდა ნინოს ეკლესია (37v); დაუწერებელია 38 r.

„თათუცა აგვისტოსა იე. მიცვალება ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიაშისა, თქმული წმიდისა წამისა ჩუგნისა დიდისა ვასილისა.—რაჯამს იგი სულისაგან წმიდისა ღვთისმშობელსა მარიაშს ჟამი განსულისა თჳსისა აპიერ სოფლით გულისკმა ეყო განსულად, ესეინ მხიარულ იქმნა სიბრძნითა სამღროთათა“... 1r—37r.

ანდერძი: 1. უფალთ იესუ ქრისტე. ღმერთო ჩხო, წმიდათა შერთა შორის საკრველო, მეოხებითა ყოვლად წმიდისა. დედისა შორისათა (!) შეიწყალე აღმწერელი ამისა, ყოვლად უღირსი დიაკონი იოსებ. 1813“ (37r).

2. აღიწერა პატრიარხი ეფ. წიგნი წმიდისა ნ ნას ეკლესიასა შინა, კელითა ჳლახაის დიაკონის იოსებისათა. მხილველთაგან შენდობას ვითხოვ“ (37v).

მინაწერი მოიპოვება პირველი ყდის v-სა და 38v-ზე.

292

სულხან-საბბა ორბელიანი: სიბრძნე სიცრუისა—XIX

